

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XXXVI

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქ უ თ ა ი ს ი

2016 წლის 21-22 ოქტომბერი

თბილისი

2016

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება 2016 წლის 21-22 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №69)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **გ. გოგოლაშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა**

**რეგისტრაცია**  
**21 ოქტომბერი, 11-დან 12 საათამდე**  
(მწვანე დარბაზი)

**სესიის გახსნა**  
**21 ოქტომბერი, 12 საათი**

მისალმებები: პროფ. **გ. დავთაძე** – ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
აკად. **ა. არაბული** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

წარდგინება წიგნისა „დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიების ბიბლიოგრაფია“ – პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

**I სექცია**  
**21 ოქტომბერი, 12<sup>30</sup> საათი**  
(მწვანე დარბაზი)

თავმჯდომარე პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

- რ. ჭ ი კ ა ძ ე – პარატაქსული კონსტრუქციის ჩამოყალიბების კვალი ქართული ენის შავშურ დიალექტში
- ა. ა რ ა ბ უ ლ ი – ხევსურული კილოკავების განმასხვავებელი ერთი მოვლენის ისტორიული ღირებულებისათვის
- რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე, მ. კ ი კ ვ ა ძ ე – ხატოვანი სიტყვა-თქმანი ფაზარის ჰამიდიეს ქართულში
- მ. ფ ა ღ ა ვ ა – ექსპედიცია მუჰაჯირთა შთამომავლებთან და მაჭახ-ლური კილოკავის დიალექტური სტატუსის შესახებ
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე – გურული კილო ნ. დუმბაძის პროზაში („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)

- ნ. მ გ ე ლ ა ძ ე – პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა საქართველოს შავიზღვისპირეთში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი შემთხვევისათვის გურულში
- მ. ბ ე რ ი ძ ე – ბაკურიანის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის
- ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე – ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხისათვის

## **21 ოქტომბერი, 15 საათი**

თავმჯდომარე პროფ. **მ. ფაღავა**

- მ. მ ი ქ ა ძ ე – იმერხეველთა მეტყველების ზოგიერთი დეტალი (მა- მია ფაღავას წიგნის „მავშური ჩანაწერები“ მიხედვით)
- ნ. მ ე ლ ი ქ ი ძ ე – ასპინძის მუნიციპალიტეტის გვარსახელები ისტორიული წყაროების მიხედვით
- მ. თ ე თ რ ა ძ ე – ნასესხები ლექსიკა ქართული ენის სამხრულ დიალექტებში და ადაპტაციის თავისებურებანი
- მ. მ ი ქ ა უ ტ ა ძ ე – ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებებისათვის ტაოურში (ასიმილაცია, დისიმილაცია)
- მ. კ ა ჭ კ ა ჭ ი შ ვ ი ლ ი-ბ ე რ ი ძ ე – დიალექტი და თანამედროვე პროზის ენა
- მ. ჩ ო ხ ა რ ა ძ ე – ქართული დასახლებები ამასიის პროვინციაში
- მ. კ ა კ ა ჩ ი ა, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, მ. ჯ ლ ა რ კ ა ვ ა – „ტირილის“ კონცეპტი ქართველურში
- ლ. დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი – სოფელ სულორის ტოპონიმია
- მ. კ ო ბ ე რ ი ძ ე – ფრონეს ხეობის ქართლურის შესწავლის ისტორიისათვის

## **22 ოქტომბერი, 10 საათი**

თავმჯდომარე აკად. **ა. არაბული**

- მ. ჩ უ ხ უ ა – უფროობითობის -ილ სუფიქსისათვის სვანურში და მისი ზანური შესატყვისი

- ნ. ს უ ლ ა ვ ა – ზოგიერთი ფონეტიკური პროცესისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში
- კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა – მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“ ლექსემის შემცველი იდიომებისათვის
- ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – ჯ ~ ხ კორელაციური ოპოზიციისათვის თუშურსა და ქიზიყურში
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ნ. რ ა ზ მ ა ძ ე – დიალექტური მასალის ასახვისათვის სინონიმთა ლექსიკონში
- ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – სულთან, ჯელთან, ფებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური და იდიომატური გამოთქმები ქიზიყურ კილოკავში
- ლ. ფ ა ჩ უ ლ ი ა, მ. ნ ა ჭ ყ ე ბ ი ა – მიმართვისა და რეფერენციის ფორმათა ფუნქციონირების საკითხისათვის მეგრულში
- ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა – დანაწევრებითი რიცხვითი სახელის შესახებ მეგრულში
- ს. ბ ე რ უ ლ ა ვ ა, ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა – მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლექსიკა ლაზურში
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – ერთი საინტერესო ტენდენციისათვის ქართულ დიალექტებში

## II სექცია

### 21 ოქტომბერი, 12<sup>30</sup> საათი

(საკონფერენციო დარბაზი)

თავმჯდომარე პროფ. **გ. შენგელია**

- მ. ქ ა ც ა რ ა ვ ა – ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური საკითხები შ. ძიმიგურის შრომებში
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ერთი ატიპიური სტრუქტურის სუფიქსის შესახებ მეგრულში
- მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე – მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართული მეტყველების ზოგიერთი თავისებურებისათვის
- ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე – კვლავ სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის შესახებ
- ე. დ ა დ ი ა ნ ი – მასალები მეგრული ლექსიკონისათვის; მეგრული ლექსიკონების შედგენის პრინციპები

- ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ინტერნეტენა და ქართული დიალექტები
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი – ხევსურულ გვართა წარმოქმნისა და დიფერენციაციის შესახებ
- მ. ბ უ კ ი ა – მეგრული მწყემსური ლექსიკიდან – საქონლის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში
- ნ. ლ ო ლ ა ძ ე – დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ქართული ენის დიალექტებში
- მ. კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე – სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში

## **21 ოქტომბერი, 15 საათი**

თავმჯდომარე პროფ. **მ. ზერიძე**

- დ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი – პირის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლების გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე
- ი. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ქართული ჭიდაობის მეგრული ვარიაცია და ტერმინები
- დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი – მახვილი და ინტონაცია კახურში (ყვარლის მეტყველების მიხედვით)
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – თანდებულები გურულ დიალექტში
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა – ტოპონიმ მზულუს ეტიმოლოგიური ანალიზი
- ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი – კახური დიალექტის სალექსიკონო მასალა სოფ. კარდენახის მეტყველების მიხედვით
- გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე – ლექსიკური იზოგლოსები თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებებსა და იმერულ დიალექტს შორის
- ი. კ ე კ ე ლ ი ა, მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა – ნასოფლარები ლეხურის ხეობაში (ტოპონიმური მასალების მიხედვით)
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა – წვიმასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში
- ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – ქსნის ხეობის ანთროპონიმები წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით

## 22 ოქტომბერი, 10 საათი

თავმჯდომარე პროფ. თ. ლომთაძე

- დ. ლ ლ ო ნ ტ ი – ქართ. ერთ-ისა და ქართ. ცალ-ის დიალექტური ვარიანტულობა
- მ. კ უ ხ ა ლ ა შ ვ ი ლ ი – იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალისათვის
- ი. რ უ ს ა ძ ე – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესავსებად
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – დიალექტიზმები – როგორც გამომსახველობითი საშუალება ანა კალანდაძის ფშაური ციკლის პოეზიაში
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – „მეგლი“-სა და წმინდა გიორგის ქართველური სახელების ურთიერთმიმართებისათვის
- ნ. ს ა ა კ ა ძ ე – სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით)
- ნ. ფ ხ ა კ ა ძ ე – ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური დიაპაზონისათვის დიალექტებში
- ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – ზერთული წინადადებებისათვის სვანურში
- ი. კ ე კ ე ლ ი ა – ტოპონიმები ქსნის სათავეებთან
- რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი – აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკის კვლევის ზოგი საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე – ენა და იდენტობა ქართველ ებრაელებთან





## ავთანდილ არაბული (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### ხევსურული კილოკავების განმასხვავებელი ერთი მოვლენის ისტორიული ღირებულებისათვის

ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც ხევსურულის ორ კილოკავად (პირაქეთულ-არხოტულად და შატილურ-მიღმახეურად) წარმოდგენას განაპირობებს, არის მეშველი ზმნის ორგვარი ფორმით გამოვლენა: შატილურ-მიღმახეურში – „ვარი“, ხოლო პირაქეთულში – „ორ“ (< „ვარ“) (ალ. ჭინჭარაული). როგორც ცნობილია, ამ ზმნის შერეული პარადიგმის ორივე ეს ვარიანტი ძველ ქართულშივე ჩანს, როგორც ორი დიალექტური წრის დანაშრევი.

ამავე განსხვავებასთან არის დაკავშირებული ენკლიტიკის მოვლენისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აღნიშნულ კილოკავებში და თანმხლები ფონეტიკური პროცესი: შატილურ-მიღმახეურში – „კაც ვარი“, ხოლო პირაქეთულში – „კაცი-ორ“ (< \*კაცი-ვარ).

მეშველი ზმნის ეს ჩვენება გადაჰყვება აბსოლუტური ზმნების აღწერითს წარმოებასაც: შატილურ-მიღმახეურში – „მასულ-არის“, ხოლო პირაქეთულში – „მასულ-ას“ (< „\*არს“).

გარდა „არსებობის“ ზმნის არსებითი განსხვავებისა ერთი დიალექტის ფარგლებში, გამოდის, რომ მისი მონაწილეობით მეშველ-ზმნიანი ფორმების ჩამოყალიბება სახელური ნაწილის ბრუნვის ფორმასაც განასხვავებდა: შატილურ-მიღმახეურში ე. წ. წრფელობითა საყრდენად აღებული, ხოლო პირაქეთულში – სახელობითი.

თუ ამ ფაქტს ისტორიულ მონაცემებთან შევჯერებთ, უნდა დავასკვნათ, რომ დიაქრონიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე: მასალობრივ დადასტურებულა, რომ ცოცხალ ქართულ ენაში მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩამოყალიბებისა და მეშველი ზმნის „ცვეთის“ პროცესი მე-9 საუკუნეში არსებითად დასრულებული უნდა იყოს. ადრეული მაგალითები:

*შენდა ხუედრ[ებუ]ლა ქალწული ესე უფლისაჲ მიყვანებად და დამარხვად თავისა შენისა (ხანმეტ. იაკობ. IX. 1. AB). შემკულა და შემოსილ პირად-პირად შუენიერი (ფსალმ. 114.a.10) (b: შემკულ არს). ...უკუეთუ თავი მოკუეთილა პავლესა ანუ არა... (სინ. 252, 33). რო-*

მელნი წერილთა აღმოიკითხვენ, რომელ დაწერილა ღმრთისა მიერ მართლ... (სინ. 48, 4).

შდრ.: **თქუნია** (ლუკა 6, 20 C); **მადლია** (ლუკა 6, 34 C); **სამართალია** (ფსალმ. 219, ა, 5); ეგე **მართალა** (სინ. 130, 23); **უადვილესა** (მათე 19, 24 C); **საკმარა** (ნოველ. 1. 95, 10)...

**ნოდარ არდოტელი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)


## **ხევსურულ გვართა წარმოქმნისა და დიფერენციაციის შესახებ**

1. ხევსურულ გვართა წარმოქმნისა და მისი დიფერენციაციონტეგრაციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ორი მოსაზრება: ა) როგორც ეპონიმურ, ისე ტოპონიმურ გვართა წარმოშობა და გამსხვილება ხდებოდა ძვალ-გვარიდან (თავდაპირველი გვარიდან) ახალი ძირების (resp. მამანი, მამიშვილობა) ჩამოყალიბებით, რომელთა გამრავლებითაც დამოუკიდებელი გვარები ყალიბდებოდა და ა. შ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რ. ხარაძე ხევსურულ გვართა დიფერენციაციის კვლევისას არც ხელოვნური დანათესავების წესს ხარ-ქვაბით შეყრის ტრადიციას ტოვებს ყურადღების გარეშე [ხარაძე 1949: 192, 196...]; 2) გვარები წარმოიქმნებოდა საოჯახო თემიდან. საკვლევ გვართა ჩამოყალიბებასა და გამსხვილებაში წამყვანი ადგილი ეჭირა ხელოვნურ დანათესავებას, რომელიც მიმდინარეობდა: ა) ამანათის გვარში შეკედლება-მიღებით და 2) მრავალრიცხოვან გვარებში მცირერიცხოვან გვართა გაერთიანებით [კოვალევსკი 1990: 73; თოფჩიშვილი 1987: 68-71...].

2. ჩემი შეხედულებით, უფრო მართებული ჩანს რ. ხარაძისეული მოსაზრება, თუმცა იგი მოითხოვს დაზუსტებას როგორც გვართქმნადობისა და მათი სამეგანძურო გვარისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ისე ცალკეული გვარების წარმოქმნისა და მათი უცხოეთნიკური წარმომავლობისადმი კუთვნილების თვალსაზრისითაც. კერძოდ, მცდარია ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ **-ელ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმური გვარები (ლიქოკ-ელ-ი) მხო-

ლოდ ხელოვნური დანათესავების გზით მიიღება (sic!), მდრ. **ორბელ-ი, ზაი-ელ-ი, არდოტ-ელ-ი...** ცხადია, ამ გვარების გენეალოგიაში სხვა გვარების არსებობა გამოირიცხება. ამასთანავე, არ შეეფერება სინამდვილეს მოსაზრება ჭინჭარულებთან მურღვათა ხელოვნური დანათესავების შესახებ (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, არ ჩანს ბოლომდე მართებული ლიქოველთა საგვარეულოში გაერთიანებული ცნობილი გვარების (**სისაური, ოჩიაური**) ჩრდილოკავკასიური წარმომავლობა. ხშირად გვარს შეყრილ-დანათესავებული უცხოეთ-ნიკური ელემენტი ან რუსულად გაფორმებული გვარი ბადებს უცხოური წარმომავლობის ვერსიებს.

3. მართალია, ხევსურული გვართქმნადობის პროცესში ადგილი ჰქონდა ცალკეულ გვართა შეყრა-შემძობის იშვიათ შემთხვევებს (ხოხიკური > ჭინჭარული, რკინაული > არაბული...), მაგრამ ხარკვებით შეყრა უმთავრესად ნიშანდობლივი იყო ზოგი მამიშვილობისა და თავ-მეთავეობას გარიდებული პირებისათვის. რაც შეეხება პატრონიმულ გვართა დიფერენციაციას, სანიმუშოდ მოგვყავს მურღვათა გვარის გენეალოგიის სქემა:



სწორედ ზემოწარმოდგენილი დიფერენციაციული სქემის მიხედვით ვითარდებოდა და მრავლდებოდა ხევსურულ გვართა აბსოლუტური უმრავლესობა.

მოხსენებაში წარმოდგენილია ძირ-გვართა დაშლა-წარმოებისა და ნაყარ (ახლადწარმოქმნილ) გვართა წარმოშობის მიზეზების დადგენის ცდა.

## დიანა ახვლედიანი (ბათუმი)

### პირის ნიშანთა ხმარების თავისებურებანი მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლების გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე

დარღვევები პრესის ენაში ყოველთვის თვალში საცემია. პრესის ენის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ სალიტერატურო ენის მდგომარეობის შესახებ. ჩვენი მიზანია, ქრონოლოგიურად დავაკვირდეთ პერიოდულ პრესას, გამოვავლინოთ, რა მდგომარეობა იყო აღნიშნულ პერიოდში სალიტერატურო ენაში; რა ტიპის დარღვევებთან გვქონდა საქმე; რა ახდენდა გავლენას პრესის ენაზე; დროთა განმავლობაში რა შეიცვალა, გაუმჯობესდა თუ არა მდგომარეობა ამ მიმართებით და რა ვითარებაა დღეს.

მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლების გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე პირის ნიშანთა ხმარებისას შეინიშნება მთელი რიგი თავისებურებანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიჭრელე პირის ნიშანთა ხმარებაში: კერძოდ, ანგარიში არ ეწევა ზმნის პირიანობას და ყველანაირ ზმნას დაერთვის ობიექტური მესამე პირის ნიშანი.

1. ერთპირიან ზმნებს უგამონაკლისოდ დაერთვის პირის ნიშნები: **სწარმოებს, სწერდა, სდგას, სჩანს, სტკებთა, შესდგა, სწყდება...**
2. ობიექტური პირის ნიშნები დაერთვის ორპირიან და სამპირიან გარდამავალ ზმნებსაც: **შესწირეს, გამოსკედეს, დაჰყარეს, ჰბოჰავდა, უზრუნველჰყონ, ჩასწერა, სცვლიან, დასტოვოს, დაჰფარა, სტოვებენ, გადასჭრეს...**
3. ობიექტურ პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარების ტენდენცია იმდენად მძლავრია, რომ ის ფორმები, რომლებშიც სწორადაა გამოყენებული, იშვიათია. ისინი გააზრებულად არ უნდა გამოიყენებოდეს და ამ საერთო ტენდენციის ნაწილი ჩანს: **ჰყავს, მოჰყვა, მოჰვიდა, მიჰზაბა...**

## მაია ბარამიძე (ბათუმი)

### მაჭახლელ მუჭაჯირთა შთამომავლების ქართული მეტყველების ზოგიერთი თავისებურებისათვის

მუჭაჯირთა ქართულში გამოიყოფა რამდენიმე კილოკავი. ერთ-ერთია მაჭახლური – მაჭახლის ხეობიდან თურქეთში წასული ქართველების შთამომავალთა მეტყველება.

ბუნებრივია, მაჭახლურში დაცულია საერთოდ სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, დასტურდება თავისებურებებიც.

ფონეტიკიდან: ბგერის დაკარგვა: *თავი არ ევა თავამა* (<თავალმა>); *ჩვენ დევწავლეთ* (<დევსწავლეთ <დევისწავლეთ < დავისწავლეთ>); *ამა* (<ამას> *ვაწორებთ* (<ვასწორებთ>); *ყურ* (<ყურს>) *რატონ* არ *მადღევთ?* *მაილი* (<მარილი>) *დააყარე*; *ძველებური სუფრა გვალი* (<მრგვალი>) *იყო*; *ზემ* (<მზემ>) *ამოვდა*, *ზემ ჩეიწია*; *ბუზი'და* (*ბუზი უნდა*) *მოვკლა*; *პური დადვა'ნა* (*დადვა უნდა*); *მე რა ვი* (<ვიცი>).

ასიმილაცია: *იგ ზე* (<იქზე) *დაგაჟდუმლე*; *მაგ ზე* (<მაქზე) *სველია*; *თვალი ეცემა*, არ *მოქცემს* (<მოგცემს>); *აქ მომკტარა* (<მომკვდარა>); *იმ ჰერსს* (= *სიბრაზეს*) *მეერიო'ნა* (<მოერიო უნდა>); *ვირის სათხოვნელად მოკლა მოზობელი* (<მეზობელი>); *გაბლეზდებოდა*, *შიმირიგდებოდა* (<შემირიგდებოდა>).

დისიმილაცია: *ბევრი არალი* (<არ არის>); *ვერ უქნიან*, *წაკინდრულან* (<წაკინდლულან>).

მეტათეზისი: *იღმერებენ* (<იმღერებენ>), *მე რა'ნა ვიღმერო?*

ბგერათა შერწყმა: *ქომო* (<ქვემო>) *არიან ძმანები*.

მორფოლოგიიდან: სალიტერატურო ქართულისა და მისი ზოგიერთი დიალექტის მიხედვით კუმშვადი და კვეცადი სახელი უკუმშველი და უკვეცელია: *ქათამის ჩორბას ვაკეთებთ*; *ქათამის ხორცია*; *საბანის გარედან გადაკრილი არი*; *ემიაშვილი ბაბაას ძმას ბაღანაა*;

-**ებ** მრავლობითობის სუფიქსი ერთვის ზმნიზედას აქ: *ჩემი შინი აქებში არაა*.

ზოგი თავისებურებით ხასიათდება სიტყვაწარმოება. ვინ ჯგუფის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება -ელ და -ურ//-ულ სუფიქსები: *ნენეძე ქვაბითაველია*, *მაჭახლულია*; *ნენეძე ჩვენებური იყო*, *მაჭახლელი იყო*; *დიდ დედეს*, *იმას*, *ბათუმურას*, *ოსმანაძე* [ქვი-

ოდა/. -ელ მაწარმოებელს ზოგჯერ ერთვის -ა სუფიქსიც: *ეს აჭარელაა, მე მაჭახლელოა ვარ.*

სახელისაგან **თურქ** -ურ//-ულ სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავს ამ სუფიქსების წინ ერთვის -ებ: *ახლებმა არ იციან, თურქებურაა იწავლეს, იმისთინ; წინ-წინ თურქებულაა ვერ დეილაპარიკებდენ, ახლა ჩვენებურ ვერ დეილაპარიკებ... თურქებულაა, ჰემ ჩვენებურაა.* ხაზგასმულ სახელებს ზმნიზედის მნიშვნელობა აქვთ: თურქულად.

აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი -ობა სუფიქსი დაერთვის ძირეულის სრულ ფორმას: *რა ფუხარაობით გავზარდე.*

-მდე თანდებული დაერთვის აქ ზმნიზედის -ობა სუფიქსით ნაწარმოებ ფორმას, მისი მნიშვნელობაა – **ამ დრომდე**: *აქობამდე ჩვენ ენა კარქათ შევნახეთ, ამის იქეტ გაზორდა.*

ზოგი თავისებურებით ხასიათდება ზმნის ფორმათა წარმოება.

დასტურდება -ავ და -ებ თემის ნიშნების მონაცვლეობა: *ვერ ვაფერავ; გაგლახებენ.* აკრავს ფორმის ნაცვლად არის აკრის: *სიმინდი ჭადი აკრის.*

ფუძედრეკავადი ზმნების პირველი სერიის ფორმები ნაწარმოებია **o** გახმოვანებით, -ავ თემის ნიშნით: *თხილი გაგვინავთ; თხილებს ერთათ ვკრიფავთ.* -ავ თემისნიშნიან ზმნებს უწყვეტლის სამივე პირში ეცვლება თემის ნიშნის ხმოვანი -ავ>-ევ: *ადრე პურ ვთესვდით; იმა ნახვდით; ყავარს დაახურევდენ; უწინ შეხედევდენ.*

ზოგი თავისებურებაა სინტაქსში. პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაშია პირველი სერიის ფორმებთან: *ახლა ჩაი ვაკეთებთ; აქ შავი არ იცმენ; სიმინდი ჭადი აკრის; ჩვენ ამას თევში ვებნევით; ამას წითელი ვაშლი ვებნევით.*

მაჭახლურში თურქული ლექსიკის ნიმუშებია: *ზეჰმესი (იანვარი), ქომუში (კამეჩი), ზენგინი (მდიდარი), ჰამა (მაგრამ), ხანე (კომლი)...*

შეგნიშნავთ, რომ თურქიზმი აქ ისე ბევრი არაა, როგორც შავშურში, კლარჯულში.

საკუთრივ მაჭახლურის თავისებურებად ჩანს შემდეგი: -ე ნაწილაკი წინადადების სხვადასხვა წევრთან როგორც კითხვით წინადადებაში (უშეტესად), ისე სხვა სახის წინადადებებშიც: *-ჩვენებურაა სიმღერა იცის, სულ კაა. -ვინ-ე? -მას-ე? (=მას) რა ვიცი, რა ქვია; ჩვენ რო ცოტა შორ ვართ-ე; ჩვენ-ე მაჭახელი ვართ; რა ქვია მაგ ბიჭ? -იმას-ე? - ჩვენ-ე? არაფერს, გურჯი-და.*

შევნიშნავთ, რომ ეს თავისებურება ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს მაჭახელის მეტყველებისათვის. ქედ-ქედი: *თქვენ გცხელან-ე? მაგას პაწა დაარტყი, დედეს-ე (<დავიდეს); რამ-ე, გო, ვინ თქვა? აჭარისაღმართი: ვაწვენ-ე, ვინ და დაცავოს? ყვით-ლები დააწყეთ ლამაზათ-ე.*

მთელ სამხრულში **ერთად** ზმნიზედის მნიშვნელობით გავრცელებულია **ერთპირად**, რომელიც მუჰაჯირების მაჭახლურში ფონეტიკურად შეცვლილია: *თლათ ერთპილაღ მოსულან.*

**დიდვანები** იხმარება **წინაპრების** მნიშვნელობით: *ჩვენი დიდვანები ბათუმიდან გამოსულები არიან.*

**დაშენება** დამკვიდრებას, დასახლებას ნიშნავს: *შენ იქა დაშენდი, მე აქა დავშენდი.*

მოკითხვა შელოცვის მნიშვნელობითაა: *მე ერთი ამელიეთი გავხდი და ხოჯამ მომკითხა.*

**ყველიდედა** მხოლოდ მაჭახლურში ჩანს კვეთის (ყველის ამოსაყვანი) მნიშვნელობით: *ყველიდედა თხისა ფენა (=ძალიან) კადა.*

**შინი** საკუთარ კერას, ოჯახს აღნიშნავს: *ახლა შინ მივალ, ჩემი შინა აქებში არაა.*

ურთიერთობის გაფართოებამ ბევრი რამ შეცვალა მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში. მაჭახლურში გვხვდება ისეთი ფორმები და ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნიშანდობლივია მაგალითად ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებისათვის: *ჩვენი გოგო რაიზა არ მივეციტ? რაფერ ლაპარიკობს, რას მიგნებიანო (=მეუბნებიანო); შვილები – ხუთი: გოგო ვოთხი, ერთი ბიჭი.*

ეს ურთიერთობა თანდათან აახლოებს ერთმანეთთან ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების კილოკავებს.

**კახური დიალექტის სალექსიკონო მასალა**  
**სოფ. კარდენახის მეტყველების მიხედვით**

სოფელი კარდენახი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გურჯაანიდან 14 კილომეტრის დაშორებით.

კახური დიალექტის კარდენახულ მეტყველებაში დაფიქსირებული სალექსიკონო მასალა შედარებულია შემდეგ ლექსიკონებს: არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი „ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ)“, ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე „ქართული დიალექტოლოგია, I (დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)“, უ. სახლთხუციშვილი „გარეკახური ლექსიკონი“, სტ. მენთემაშვილი „ქიზიყური ლექსიკონი“. წარმოდგენილია ერთი მხრივ ისეთი მასალა, რომელიც არ გვხვდება ამ ლექსიკონებში, ან გვხვდება, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით, ხოლო მეორე მხრივ მსგავსი (იდენტური) მნიშვნელობის სიტყვები, მაგრამ ფონეტიკურად განსხვავებული (ეს განსხვავება ხშირად მინიმალურია, ერთ ფონემას არ აღემატება. ზოგჯერ ამ განსხვავებას ფონეტიკური პროცესი უდევს საფუძვლად).

შესაძლებელია, წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები სხვა სოფლების (როგორც გურჯაანის, ისე კახეთის დანარჩენი მუნიციპალიტეტების) მეტყველებაშიც ისმოდეს და მათი გავრცელება მხოლოდ ერთი სოფლის მასშტაბით არ შემოიფარგლებოდეს.

მასალა დალაგებულია ანბანის მიხედვით.

**აჩოჩხება** – აჩოჩება, აბობღება, გაჭირვებით ასვლა რამეზე (ხეზე, კიბეზე...).

**გამღავრება** – ჭრილობის, დამწვრობის, მუწუკის, ნაკბენის გამიზეზეება (ქიზიყ. გამღავრება „ჭრილობის დაიარაგება, ჭრილობის გართულება“).

**გაპაპაჯორება** – ფეხმორთხმით ჯდომა, ადგილიდან დაუძვრელობა; გადატ. განებივრება, გაბატონება (გარეკახ. გაპაპაჯვრება).

**გამენძვა** – გავსება, გატენვა; (შდრ. გარეკახ. გამენძვა – 1. „გაცვეთა“; 2. „ძალიან გაძღომა“).



**გონგორა** – ქიზიყურ და გარეკახურ ლექსიკონში დაცული განმარტების თანახმად გონგორა, გონგორაზე სიარული, მოგონგორავენა ნიშნავს: „რთვლის დამთავრების შემდეგ ხელახლა დავლა ვენახში და დარჩენილი მტევნების შეგროვება“. კარდენახელთა ყოფაში გონგორაზე სიარულია არა მხოლოდ ყურძნის შეგროვება, არამედ მზესუმზირის, საზამთროს, ნესვის... შეგროვებაც.

**დაბუტება** – ბატიბუტად ქცევა (გარეკახ. დაბატება).

**დაზუ[ვ]ება** – სწრაფად გაქცევა (გარეკახ. დაზოვება).

**დანაქვრა** – ძალიან შეციება (შდრ. ქიზიყ. დანაქვრა – „დაშინება“).

**დაღუება** – გაქცევა (შდრ. ქიზიყ. დაღუება – 1. „ღორი რომ თავს დაღუნავს და ჭყვივით გაიქცევა“; 2. „ადამიანის დაზარალება, სახლ-კარის დაღუპვა; უპატრონოდ ყოფნა, მგლოვიანობა“).

**დამაკრაულება** – სააღდგომოდ შეღებილი კვერცხის დარტყმა კვერცხზე (გარეკახ. დაკრაულება; ქიზიყ. დამაკრავენა).

**თათო** – ხელი ბავშვის ენაზე (გარეკახ. თათუა).

**თათრულა** – მხალი (გარეკახ. თათრი[ს] მხალი/თათრული მხალი).

**ნებრიცუცა** – მეტად ნებიერი, ძალიან განებივრებული (ქიზ. ნებრუცა).

**ზნაყიზნუყი** – უღიმღამოდ, უგულოდ ლაპარაკი, გადაწყვეტილებას მოკლებული ლაპარაკი (გარეკახ. ნაყენაყე, ქიზიყ. ნაყინუყი).

**ოღლაჭიჭობა** – პატარა ბავშვების გუნდი (გარეკახ. აღლაუჭობა; შდრ. ბალლაუჭი „ბავშვი, ბალლი“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი), ქიზიყ. აჭალბუჭულა „წვრილი ცოლ-შვილი, გოგო-ბიჭები“).

**სიშხნაკ[ვ]ე** – ბოროტება, შხამობა, ენაძწარობა (ქიზიყ. სიჩხნაკვე).

**სიშხნატე** – იგივეა, რაც სიშხნაკე.

**ღორი[ს] ვაშლი** – მაჟალო, ვაშლის ერთ-ერთი ჯიში. იზრდება ტყეებსა და ტყისპირებში, ნაყოფი პატარა ზომისაა და ძალიან მჟავე. საჭმელად არ ვარგა. იყენებენ ღორის საკვებად.

**ჯარდანა: ჯარდანა ტომარა** – დიდი ნაქსოვი ტომარა.

## **მერაბ ბერიძე (ახალციხე)**

### **ბაკურიანის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის**

1. ბაკურიანი პირველად გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. იგი გაუკაცრიელებული სოფელია. სახელის დაწერილობაში შეცდომაც არის დაშვებული და არ უზის დიაკრეტული ნიშნები.

2. ვახუშტი ბატონიშვილი მას უწოდებს ბაკულიანს. ოღონდ არ იგულისხმება დასახლებული პუნქტი. სამჯერ მიუთითებს ბაკულიანის მთას. ერთხელ ბაკულიანის წყალს და ერთხელაც ასახელებს ბაკულიანს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგულისხმება მთა, რადგან დანარჩენი ორიენტირები მთებია.

3. ბაკულიანს უწოდებს აგრეთვე იოანე ბაგრატიონი. სავარაუდებელია, რომ იოანე ბაგრატიონი ეყრდნობა ვახუშტის.

4. ბაკულიანიდან ბაკურიანის მიღება გარკვეული სემანტიკური გადააზრების შედეგად შეუძლებელი არ არის ყოველგვარი ფონეტიკური პირობების გარეშე, რადგან ბაკურიანი ცნობილი სახელია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ლ/რ მონაცვლეობა გვხვდება ქართულ ტოპონიმიაში. ნიკოლაწმიდისაგან მიღებულია ნიკორწმინდა. ნიკოლაწმიდა დასტურდება ბულგარეთის ქართველთა მონასტრის პეტრიწონის ტიპიკონში და ასე უწოდებს დღევანდელ ნიკორწმინდას ვახუშტი ბატონიშვილი.

5. ასევე წყაროებში დასტურდება თანამედროვე წალვრის ისტორიულ-ლინგვისტური ვარიანტები: წალვი, წალვლი, წალველი და ეტიმოლოგიურად უკავშირდება წიაღველს.

## **სოფიკო ბერულავა, ეთერ შენგელია** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ლექსიკა ლაზურში**

მეფუტკრეობა საქართველოში ოდითგანვე განვითარებული იყო. ქართული ჯიშის ფუტკარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული თვისებებით. ამ მხრივ საყურადღებოა ისტორიული ლაზეთი. სამეცნიერო ლიტერატურაში მწირად მოიპოვება ამ დარგთან დაკავშირებული ლაზური მასალა. ივანე ჯავახიშვილს ნაშრომში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ აღწერილი აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მონაცემები ამ დარგთან დაკავშირებით, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ლაზურის ვითარება. ამდენად, აღნუსხული მასალა საყურადღებოა. კვლევა ემყარება გამოცემულ ტექსტებს, ლექსიკონებსა და ჩვენ მიერ ლაზეთში (ხელვაჩაურის რაიონი, დაბა სარფი) მივლინების შედეგად მოპოვებულ მასალას, რომელიც დაჯგუფებულია თემატურად.

გამოიყო:

ფუტკრის ოჯახი **„ბუტკუჯიში ოხოი || ოხოი“**. ფუტკრის აღმნიშვნელად გამოიყენება ტერმინი **ბუტკუჯი || (მ)სკა**. ფუტკრის ოჯახში ფუნქციის მიხედვით შედის: **ნანა ბუტკუჯი** „დედა ფუტკარი“, **მუნა ბუტკუჯი** „მამალი ფუტკარი“, **ასკეი ბუტკუჯი** „ჯარისკაცი, მცველი, დარაჯი“, **ჩალიშანი ბუტკუჯი** „მუშა ფუტკარი“. მუშა ფუტკარი შეიძლება იყოს: **დოლოხე ოჩალიშუში ასკეი** „შიგნით (სკაში) მუშაობის მეთვალყურე“, **გალე ოჩალიშუში ასკეი** „(სკის) გარეთ მუშაობის მეთვალყურე“, **ბუტკუჯიში მოთა** „ფუტკრის ნაშიერი“.

ფუტკრის სახლი **„ოხოი || (მ)სკა || კა(რ)ვანი || კაზრანი** (ჩხალ., ვიწ.) || **ღურნი** (არდ.). ფუტკრის სახლში გამოიყოფა: **ნეკნა** „კარი“, **მაჟუა ახოი** „მეორე სართული“, **რამკა** „ხის ჩარჩო, რომელშიც ფიჭაა მოთავსებული“, **საკუჭნაო** – სადაც ინახავენ ნამეტ თაფლს, სანამ დამატებით ფიჭას გააკეთებენ, **ბალიში, კაფადი** „სახურავი“.

ფუტკრის ნაყოფი: **თოფუი || თოფრი** „თაფლი“, **დინდგელი** (უჩა დინდგელი „შავი დინდგელი, ცვილი“), **თოფუიში მჟა** „თაფლის რძე“, **თოფუიში მტვეი** „თაფლის მტვერი“, **ლუქუნა || ლუქნა** „ფიჭა“.

ლექსიკა მნიშვნელოვანია სხვა ენობრივ და დიალექტურ მონაცემებთან მიმართებით.

მასალა საყურადღებოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. მოხსენებაში განვიხილავთ ფუტკრის საცხოვრებელ პირობებს, დაავადებებს, საკვებს, მავნებლებს, გამრავლების, ფიჭის ამოღების, დაწურვის, ფუტკართან მისასვლელად მზადების წესებს.

**მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **მეგრული მწყემსური ლექსიკიდან – საქონლის ჯიშის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში**

საქონლის ჯიშის მარკირებისთვის ყველაზე ხშირად სელექციონერის (ჯიშის გამომყვანის) გვარი და წარმოშობის აღმნიშვნელი სიტყვა გამოიყენება.

ხშირად პირუტყვის ჯიშის სახელდება ხდებოდა იმ გვარის მიხედვით, რომლის წარმომადგენლებიც მესაქონლეობით იყვნენ განთქმულნი. ჩერქეზულში ცხენის ჯიშის აღმნიშვნელად გვხვდება გვარსახელი. **თრამ, უდგრაშგ, ჯოგნდათ, ჰალოგნდოჯოჲ, შ.ა ჯან-ჯოჲ, აჩათგრ** ცნობილი ჩერქეზული გვარებია, რომელთა წარმომადგენლები მეცხენეები იყვნენ. ეს გვარი დღეს ცხენის ჯიშსაც აღნიშნავს.

ასევე სახელდებული მეგრული ჯიშის ცხენი: **ხაინდრავა / ხანდრა / ხენდრა** ცნობილი მეგრული მეცხენეების, ხაინდრავების გამოყვანილი ცხენის სახელწოდებაა.

იგივე პროცესი მოხდა მსხვილფეხა საქონლის ჯიშის მარკირებისას. სამეგრელოში ცნობილი მესაქონლეები იყვნენ **კვარაცხელიები**. მათ მიერ გამოყვანილი საქონელი აღინიშნებოდა ტერმინოლოგიური შესიტყვებით **კვარაცხელიაშ ჯიშიშ საქონელი**, ზედმ. „კვარაცხელიას ჯიშის საქონელი“. მათ ჯოგში წითელი ფერის ხარძროხა ჭარბობდა. ეს გახდა მიზეზი მათ მიერ გამოყვანილი საქონლის კიდევ ერთი სახელდებისა: **კვარაცხელიაშ ჰითა** „კვარაცხელიას მიერ გამოყვანილი ძროხის ჯიში“. ტერმინოლოგიური შესიტყვება

ზედმ. „კვარაცხელიას წითელს“ ნიშნავს. იმავე ჯიშს აღნიშნავს ნაგენეტივარი **კვარაცხელიაში** „მეგრული ძროხის ჯიში“, ზედმ. „კვარაცხელიას“.

სელექციონერის გვარის მიხედვითაა **სახელდებული ჭილაიაშ ხოჯი** „ჭილაიას ჯიშის ხარი“, **ეცემ თხა** „ცავების მიერ გამოყვანილი თხის ჯიში“.

მეგრულში საქონლის ჯიშის აღმნიშვნელად ხშირად გამოიყენება წარმომავლობის სახელებიც: **მარგალური ლაფშა** „მეგრული ჯიშის ცხენი“, **მარგალური ჩხოლ** „მეგრული ჯიშის ძროხა“, **მარგალური შხური** „მეგრული ჯიშის ცხვარი“; **ყაბარდული** „ყაბარდოული ჯიშის ცხენი“.

უმეტეს შემთხვევაში ჯიშის აღმნიშვნელი ეთნონიმი წინა ვითარების აფიქსებითაა გაფორმებული: **ნამარგალუ** „მეგრული ცხვრის, თხისა და ცხენის ჯიშები“, ზედმ. „ნამეგრელარი“ (**ნამარგალუ/გ ლაფშა** „მეგრული ჯიშის ცხენი“, **ნამარგალუ/გ ცხენი** „id.“, **ნამარგალუ/გ შხური** „მეგრული ჯიშის ცხვარი“, **ნამარგალუ/გ ჩხოლ** „მეგრული ჯიშის ძროხა“); **ნაშონური** „ცხვრის ჯიში, თეთრი ფერისაა, საშუალო ტანის“, ზედმ. „ნასვანარი“, **ნაყარაჩუ ცხენი** „ყაბარდოული ცხენი“; **ნაკარაჩუ / ნაყარაჩუ** ცხვრის ჯიში იყო, უმეტესად შავი ფერისა.

ინფორმატორები ცხვრის ჯიშის აღსანიშნავად მიუთითებენ ფორმაზე **ქურთი** „ცხვრის ჯიშია, შავი ფერის, დიდი ტანისა, დუშა – საშუალო, მატყლი – კარგი“.

ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ცხენის ჯიშის აღსანიშნავად მოჰყავს სინტაგმა **უდაბნოშ რაში** „უდაბნოს რაში, ცხენის ჯიში“. ამ შემთხვევაში სახელდება მეტაფორულია. ჩანს, იგულისხმება ძლიერი, ძნელად დასამორჩილებელი ცხენი.

საქონლის ჯიშის აღსანიშნავად მეგრულში გამოიყენება სიტყვა **კატა / კატარა** „წვრილფეხა, პატარა ტანისა“: **კატა-თხა** „პატარა თხა“, **კატა-ჩხოლ** „პატარა ტანის ძროხა“, **კატა-შხური** „უდუშო ცხვარი; პატარა ჯიშის ცხვარი“, **კატარაშხური** „პატარა ჯიშის ცხვარი“. ეტიმოლოგია ჩვენთვის დაუდგენელია. შესაძლოა, მეგრულ **კატუ**-ს „კატა“ უკავშირდებოდეს, რომელიც ხშირად გადატანითი მნიშვნელობით პატარა, გამხდარ არსებებს აღნიშნავს.

**თეა ბურჭულაძე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი შემთხვევისათვის გურულში**

გურულ დიალექტში, ისევე როგორც ზოგადად დასავლურ დიალექტში, ჭარბობს წინადადებათა გრამატიკული დაქვემდებარების გარეშე გაერთიანებული ჰიპოტაქსური შეხამებანი. თუმცა ასევე გვხვდება მაქვემდებარებელკავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებებიც. გურულში გარკვეული სახეცვლილებებით გამოიყენება თითქმის ყველა ის კავშირი, რომლებიც გვხვდება სალიტერატურო ქართულში.

გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში **როცა** კავშირის ნაცვლად ხშირად **რომ** გამოიყენება. ასეა გურულშიც, რომელშიც უმეტესად **რომ** კავშირით იწყება ხოლმე წინადადება. ეს წყობა ზოგჯერ ისეთ კონსტრუქციებშიც დასტურდება, სადაც წინადადება არც თავისი აგებულებითა და არც შინაარსობრივი თვალსაზრისით არ მოითხოვს **რომ** კავშირით დამოკიდებული წინადადების დაწყებას: „**რომ თათარი მოვიდოდა ბაღნების წასაყვანათ, მორიგეს თოფის სროლა უნდა აეტეხა**“; „**რომ კარგათ შევხონჩლდით, აწი ქეიფი კმარაო**“; „**რომ შეიქმნებოდა ხმაურობა, კარეფს ურდულეებით ამაგრებდნენ**“; „**რო სიცივე აღარ დაამინებდა, შიანთებდა და გათბებოდა**“; „**რომ ჩამოსულარიენ აქანე, ნაწილი დანაწილებულარიენ**“. მოყვანილ მაგალითებში ბუნებრივი იქნებოდა წინადადების დაწყება არა კავშირით, არამედ სახელებით ან ზმნზიზედებით: თათარი რომ მოვიდოდა ბაღნების წასაყვანათ, მორიგეს თოფის სროლა უნდა აეტეხა; აქანე რომ ჩამოსულარიენ, ნაწილი დანაწილებულარიენ; კარგათ რომ შევხონჩლდით, აწი ქეიფი კმარაო; ხმაურობა რომ შეიქმნებოდა, კარეფს ურდულეებით ამაგრებდნენ; სიცივე რო აღარ დაამინებდა, შიანთებდა და გათბებოდა. დასახელებულ შემთხვევებში წინადადებათა ასეთი აგება უფრო სტილისტური შეფერილობითაა გამოწვეული (მოყვანილი წინადადებების გვერდით ასევე მრავლადაა გურულში ისეთი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, სადაც ბუნებრივია **რომ** კავშირით დაწყებული დამოკიდებული წინადადებები).

სალიტერატურო ქართულშიც ბუნებრივი მოვლენაა **როცა** კავშირის ნაცვლად **რომ**-ის გამოყენება, თუმცა ასეთი შემთხვევებში **რომ** კავშირი ძირითადად ისეთ კონსტრუქციაში გვხვდება, როცა დამოკიდებული მოსდევს მთვარს, ან **რომ** კავშირი დამოკიდებული წინადადების შუაშია. ხშირია დამოკიდებული წინადადების მისით დაწყებაც. გურულში კი უმეტეს შემთხვევაში სწორედ **რომ** კავშირით იწყება დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

ცნობილია, რომ **როცა** კავშირი გურულ დიალექტში გვხვდება **როცხა, როიცხა** ფორმებით. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მას კიდევ ემატება კავშირი **რომე**: „**როიცხა რომე** ჭადი არ იყო, პური უნდა გვეყიდა“; „ახლა იმას, **როცხა რომე** მოხინკავ და თავს მუყური, ღერწეფს დაამროგ“. ვფიქრობთ, ორმაგი კავშირის გამოყენება მისი ფუნქციის გაძლიერებისათვისაა გამოყენებული.

## **გვანცა გვანცელამე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **ლექსიკური იზოგლოსები თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებებსა და იმერულ დიალექტს შორის**

ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრობლემა დიდი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას მოითხოვს. ამ სამუშაოთაგან აქტუალურია კონკრეტულ დიალექტთა ლექსიკის სხვადასხვა ნიშნის (ფონეტიკურ-ფონოლოგიურის, მორფოლოგიურის, სემანტიკურის) მიხედვით აღწერა და დაჯგუფება-კლასიფიკაცია.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშების შესწავლა ყოველთვის საშურ საქმეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა ჩვენებურების ქართულის კვლევა სხვა დიალექტებთან მიმართებაში. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თურქეთელ ქართველთა მეტყველებებში ბევრია საერთო სხვა ქართულ, კერძოდ, დასავლურ დიალექტებთან. ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გამოავლინოთ ლექსიკური იზოგლოსები და გავარკვიოთ, თუ რა

მსგავსება და განსხვავება ჩვენებურების ქართულსა და იმერულ დიალექტს შორის.

როგორც მასალის დამუშავებისას აღმოჩნდა, ამ მიკროსისტემების საერთო ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ბევრია. საინტერესო სურათს გვაძლევს მსგავსება-განსხვავებები, კერძოდ, იმერულსა და ჩვენებურების ქართულს შორის ბევრი საერთო ლექსიკური ერთეულია, თუმცა მათ აქვთ რამდენიმე ტიპის განმასხვავებელი ნიშნები. გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

**ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სემანტიკურად იდენტური სიტყვები.** ამ ჯგუფს განეკუთვნება ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენელი სიტყვები: სხეულის ნაწილთა სახელები, ნათესაობის ტერმინთა დიდი ნაწილი, ცხოველთა და მცენარეთა სახელების დიდი ნაწილი, ბუნების მოვლენების სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და სხვანი. ისინი ჩვენებურთა ყველა მეტყველებასა და იმერულში სრულად ემთხვევა ერთმანეთს ბგერითი შემადგენლობითაც, მორფოლოგიურადაც და მნიშვნელობათა მიხედვითაც. ამ საზიარო ლექსიკაში, თავის მხრივ, ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: 1. ქართულ სალიტერატურო ენასა და დანარჩენ ქართულ დიალექტთა უმრავლესობასთან საზიარო ლექსიკა: **თავი, ტანი, ცხვირი, ყური, ძმა, და, ვაშლი, დღე, მზე, მე, შენ, ჩვენ, ვინ, რა, სად, ერთი, სამი, ათი, თივა...**; 2. მხოლოდ იმერულთან, ანდა დასავლურქართულ დიალექტებთან საერთო სიტყვები: **ასთე//ასტე** „ასე, ამგვარად, ამნაირად“, **ზანდალი** „გაჭირვებით სიარული, ბარბაცით სვლა“, **ბიჯგი** „წვრილი ორტოტა ბოძი, რომელიც გამოიყენება რისამე საყრდენად“, **ღლია** „იღლია“, **ვინცა** „ვიღაც“, **ბურღლა** „ბუმბული“, **გაწკაპება//დაწკაპება** „გამწკრივება, რიგრიგობით, მიყოლებით წარმოდგენა, რიგრიგობით დაწყობა“ – **გააწკაპებს** „გამაწკრივებს, რიგრიგობით, მიყოლებით წარმოდგენს, რიგრიგობით დააწყობს“, **გაცარცვა** „გაძარცვა, წართმევა“ – **გაცარცვავს** „გაძარცვავს, წართმევს, წაჭგლეჯს“...;

**ფონეტიკურად იდენტური, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული სიტყვები:**

**ბლაცვი** – 1. ჩვენებ. „სულები, გონებასუსტი, ჩვეულებრივზე მეტად გულუბრყვილო“, 2. იმერ. „შტერი; მოუხეშავი, უხეშად მოსიარულე“;

**ბრუტიანი** – 1. ჩვენებ. „ბარბაცა, წონასწორობაშერყეული“. 2. იმერ. „ბარბაცა; ბრუციანი, ადამიანი, ან პირუტყვი, რომელსაც მხედველობის ნაკლი აქვს“;



**ბრეკა** – 1. ჩვენებ. „ჯიუტობა, თავმოწონება, თვითდაჯერება“. 2. იმერ. „წელში მოუხრელად, ამპარტავნულად სიარული; უკადრილობა; ტრაზახი“, **ნამეტანი იხრიქება** „ძალიან ამპარტავნობს“;

**ახურხვლა** – 1. ჩვენებ. „ხმაურით, უწესრიგოდ ერთად წასვლა“. **ეიხურხლენ** „ბევრნი ერთად წავიდნენ, ხმაურით, უწესრიგოდ“. 2. იმერ. „საგნების უწესრიგოდ შედგმა, დაწყობა ერთიმეორეზე, აკოკოლავება“, **რას აგიხურხლია ე წიგნები?! „რას აგიკოკოლავებია ეს წიგნები?!“;**

**ბუზბი** – 1. ჩვენებ. „დავრდომილი, დავარდნილი“. 2. იმერ. „დავრდომილი; სუსტი, უღონო და ბეჩავი; წელში მოკაკვული“;

**ფონეტიკურად განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ერთნაირი სიტყვები.** ამ ჯგუფს განეკუთვნება მორფოლოგიურ-სემანტიკურად ერთნაირი, მაგრამ ბგერითი შემადგენლობით ოდნავ განსხვავებული ლექსიკა: ჩვენებ. **ხალაგარი** – იმერ. **ხალავერი** „სადირკვლის ქვა“, ჩვენებ. **ბრუდე** – იმერ. **ბრუნდე** „მრუდე, არასწორი; ირიბი, მტყუანი“, ჩვენებ. **დიდვანი** = იმერ. **დიდრვანი** „დიდ-დიდი“, ჩვენებ. **ამფრა** – იმერ. ამფრათ „ასე, ასეთნაირად, ამნაირად, ამგვარად“...;

**სემანტიკურად იდენტური, მაგრამ მორფოლოგიურად განსხვავებული საზიარომიოიანი სიტყვები:**

ჩვენებ. **ახურდულევა** „არევა, არევ-დარევა“, **ახურდულეხს** „ერთმანეთში ურევს დალაგებულ ნივთებს“ – იმერ. **ახურდვა** „არევა, არევ-დარევა“, **ბურდავს** „ერთმანეთში ურევს“;

ჩვენებ. **დაპაიჯავს** – იმერ. **დაპაიჯებს** „დაპატიჟებს“;

ჩვენებ. **დაშტემს (თვალებს)** – იმერ. **დაშტიმავს (თვალებს)** „დააბრიალებს (თვალებს)“;

ჩვენებ. **ეჩაკუნება** – იმერ. **უჩაკუნებს** „ცულით ნელ-ნელა თლის ხეს, ჭრის რამეს“...;

**ფონეტიკურად და სემანტიკურად მცირედ განსხვავებული სიტყვები:**

ჩვენებ. **დაყუყვილი** „ჩამუხლილი, მუხლებში ჩამჯდარი“ – იმერ. **დაყუყული** „ჩაცუცქული, დაყუნტებული“;

ჩვენებ. **დაბლუნზული** „წელში მოხრილი, ოთხად მოკეცილი“. „დაბლუნზული კაცი რომე გევდა ბუზგებიდან, დათვმა დეინახა და ზედ შევარდა“ – იმერ. **დეიბლუნძება** „წელში მოხრილი ძლივს დადის, დალასლასებს“;

ჩვენებ. **დალურსავს** (ყურებს) „ყურებს დაცქვეტს, სმენას გაამახვილებს; განაწყენდება, გული მოუვა“, **დალურსვილი** „გაბუტული, ცხვირჩამოშვებული“, **ილურსება** „თანდათან ბრაზდება“. „ეზადვი ილურსება“ – იმერ. **გალურსვა** „შერცხვენილის გასუსვა, ხმის გაკემნდა“, **გეილურსა** „გაისუსა, ხმა გაიკემინდა“...

**გიორგი გოგოლაშვილი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

**ერთი საინტერესო ტენდენციისათვის ქართულ დიალექტებში**

ინვერსიულ ზმნებში მიცემითში დასმულ პირს მრავლობით რიცხვში ახალ ქართულში **-თ** სუფიქსი დაერთვის: აქვ**-თ**, ჰყავ**-თ**, მიაქვ**-თ**, ჰგონია**-თ**, მოსწონ**-თ**...


დიალექტთა ერთ ჯგუფში **-თ**-ს ენაცვლება **-ენ** სუფიქსი: აქვ**-ენ**, ყავ**-ენ**, მიაქვ**-ენ**, გონი**-ენ**, მოსწონ**-ენ**...

მიცემითში დასმული პირი მორფოლოგიულად მანის რიგის პირის ნიშნით აღინიშნება; მრავლობითში, როგორც ითქვა, მოსალოდნელი იყო (და რეალურად ასეცაა სალიტერატურო ენასა და დიალექტთა ერთ ნაწილში) **-თ** სუფიქსი (აქვთ, ჰყავთ, მიაქვთ, ჰგონიათ, მოსწონთ...). **რა ტენდენციაა ეს?**

ძალიან საინტერესო მაგალითი დასტურდება ინგილოურ დიალექტში; **მიმაქვს** ზმნას აწმყოში ასეთი პარადიგმა აქვს:

სალიტ. ქართ.

ინგილოური დიალექტი





ზმნამ შეიცვალა არა მარტო მორფოლოგიური გამოხატვა, არამედ სინტაქსური კონსტრუქციაც; უფრო სწორად სინტაქსური კონსტრუქცია მოერგო რეალურ ვითარებას: **პეტრე-ს მიაქვს წიგნი-ი** დიალექტში ასეთ სახეს იღებს: **პეტრე მიაქომს წიგნს.**

ინგილოურში ეს ზმნა ყველა კილოკავში პირდაპირი წყობისად იქცევა. გვაქვს მხოლოდ ფონეტიკური ვარიანტები:

- მე მუაქ მას
- შენ მიაქ მას
- ის მიაქს მას...

პირდაპირი წყობისაა ეს ზმნა უწყვეტელსა და | კავშირე-ბითშიც:

**უწყვეტელი:**

- მე მი-ვ-აქომდი მას / მე მუ-აქდი მას
- შენ მი-აქომდი მას / შენ მი-აქდი მას
- ის მი-აქომდ-ა მას / ის მი-აქდ-ა მას

**I კავშირებითი**

- მე მი-ვ-აქომდე მას / მე მუაქდე მას
- შენ მი-აქომდე მას / შენ მიაქდე მას
- ის მი-აქომდე-ს მას / ის მიაქდე-ს მას

ინვერსიული ზმნა „გასწორდა“.

ინვერსიული ზმნის პირდაპირი წყობისად გააზრების მაგალითებს ადასტურებენ ფერეიდნულ დიალექტშიც. ბ. ჯორბენამძე: „ზოგი ინვერსიული ზმნა პირდაპირ წყობისად გაიაზრება – რეალური სუბიექტი ბრუნვას იცვლის: „თავის დედაკაცი (სახ. ბრუნვა) ერთ ოთახში ეძინა (მის ცოლს ერთ ოთახში ეძინა)“...

ინვერსიული ზმნის პირდაპირი წყობისად გააზრების ტენდენციის ამსახველი ჩანს ზემოდასახელებული ფაქტიც: ინვერსიულ ზმნებში რეალურ სუბიექტს მრავლობითობის გამომხატველად მორფოლოგიური სუბიექტის ნიშნები რომ უჩნდება;

ასე რომ, ამ ტიპის ზმნათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაირღვა შესაბამისობა რეალურ და მორფოლოგიურ სუბიექტ-ობიექტებს შორის...

აი, ამ დარღვეული თანაფარდობის „გასწორებას“ ცდილობენ დიალექტები. რეალურ სუბიექტად ქცეული პირი (რომელიც მორფოლოგიურად ობიექტის ნიშნითაა გამოხატული) ცდილობს სუბიექტის ნიშნით გამოიხატოს და პირიქით, რეალურ ობიექტად ქცეულ პირს გაუჩნდეს ობიექტის ნიშანი...

ფაქტის ისტორია ასეთია:

I. ამოსავალში იყო რეალური ვითარების შესაბამისი მორფოლოგიური ვითარება (რეალურ სუბიექტს გამოხატავდა ვინის რიგის ნიშნები, რეალურ ობიექტს – მანის რიგისა).

II. ენობრივი გადააზრიანების შედეგად რეალური და მორფოლოგიური ვითარება აღარ დაემთხვა ერთმანეთს (რეალური სუბიექტი გამოიხატა მანის რიგით და რეალური ობიექტი – ვინის რიგით).

III. წარმოდგენილ მაგალითებში შექმნილი რეალური ვითარების შესაბამისი მორფოლოგიური ვითარება შეიქმნა.

## **ეკა დადიანი (ქუთაისი)**

### **მასალები მეგრული ლექსიკონისათვის; მეგრული ლექსიკონების შედგენის პინციპები**

ლექსიკა ყველაზე ცვალებადი უბანია ენისა, შესაბამისად, ენისა თუ დიალექტის ლექსიკური ფონდის აღრიცხვა და ლექსიკონის შევსება-სრულყოფა უწყვეტად/მუდმივად ხდება. მეგრულში რეალიზებულ სიტყვათა მარაგი აღნუსხულია სხვადასხვა ლექსიკონებ-

ში: ი. ყიფშიძე, მეგრულ-რუსული ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი, 1914; პ. ჭარაია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 1994; გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997; ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2000-2002, 2009; ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010... გამოცემულ მეგრულ ლექსიკონთა ნაწილს (მაგ., პ. ჭარაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონებს) სახელი დარქმეული აქვს დიალექტურ ლექსიკონთა მსგავსად (შდრ. თუშური ლექსიკონი, ხევსურული ლექსიკონი...). ა. ქობალიას ლექსიკონი განმარტებით ლექსიკონთა რიგში განიხილება; ლექსიკონთა მეორე ნაწილი (ი ყიფშიძე, 1914; გ. ელიავა, 1997; ო. ქაჯაია, 2000-2009...) ორენოვანი ლექსიკონის მოდელითაა აგებული.

მოხსენებაში გამოქვეყნებული მეგრული ლექსიკონების მიხედვით გავანალიზებთ სალექსიკონო ერთეულების შერჩევის, ზოგადად, დიალექტური ლექსიკონის შედგენის პრინციპებს და, ასევე, წარმოვადგენთ ჩვენეულ სალექსიკონო მასალას; კერძოდ, ჩვენ მიერ სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში ჩაწერილ მეგრულ ტექსტებში გამოვლინდა ისეთი სიტყვაფორმები და გამოთქმები, რომლებიც ლექსიკონებში არ ჩანს, ან განსხვავებული ფორმოებრივი თუ სემანტიკური ვარიანტით გამოიყენება. მათ შორის არის რუსული ნასესხობებიც. იხ. საილუსტრაციო მასალა:

**არაოდეთ** – მიახლოებით, სავარაუდოდ; **ასვა(ლ)იტი** – ასვალტი; **აჯგა-მუჯგა** – ნაყარ-ნუყარი, სხვადასხვა ჯურის; **ა/ოკობარტყუა** – დაჩუტვა, ჩაფუშვა, გაბრტყელება; **ბიო, ბიო!** – შორისდ. ბატის მოსახლობი; **გეცვატუა** – დაქუცმაცება, გაფხვიერება; **გორდლო(ია)** – მოფერ. თვალეზბრიალა; **მეყარაფა** – მიკარება; **ტორკუ** – ბლომად, უხვად არის; **ყორდოლო/ე** – დონდლო, მსუქანი; **შამბიჯგუა** – სალი, უცვლელი; **შოტე** – ზერელე, საქმის უხარისხოდ მკეთებელი; **ჩვა, ჩვა!** – შორისდ. იხვის მოსახლობი; **ჩიგეგი** – ბებრეწი, ბებრუხანა...

**გამოთქმები: გურქ წვეერეშა მიდართუ** – ძალიან შეეშინდა, ელდა ეცა. ზედმიწვ.: „გული ქვესკნელში ჩავიდა“; **დიხაშ გურს მოსოფუნს** – სწრაფად ამოდის (ნათესი). ზედმიწვ.: „მიწის შუაგულს ხეთქს“; **ტის გოტყაბარანს** – შეუძლებელს შეძლებს. ზედმიწვ.: „ტილს გაატყავებს“; **ღორონს ცაშე გეგმიონანს** – გამეტებით იწყველება, ღმერთს დახმარებას შესთხოვს. ზედმიწვ.: „ღმერთს ციდან ჩამოიყვანს“; **წვალებათ ჩხვარილი** – ბევრი ნაჯავი, ნაწვალები. ზედმიწვ.: „წვალებით გაცეხვილი“; **ჯგირ დო სქვამს მიშახე** – ფუფუნებაში ცხოვრობს. ზედმიწვ.: „კარგსა და ლამაზში ზის“...

**რუსული ნასესხობები:** გრეცა – სათბურა; ზაოდი – წისქვილი; კარჩოკუა – ტყის გაჩეხვა, გაწმენდა; კრანტი – ონკანი; კრიშკუა – მოხუფვა; მისკა/მისკია – ჯამი; სეტკა – მავთულბადე; ფანერკა – ხის თხელი ფურცელი, ფირფიცარი; შურნოკი – თასმა, ზონარი...

## ლ უ კ ა დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი (ქუთაისი)

### სოფელ სულორის ტოპონიმია

სოფელი სულორი მდებარეობს ვანის რაიონში, მდინარე სულორის, რიონის მარცხენა შენაკადის ნაპირზე, ზღვის დონიდან 250 მ. სიმაღლეზე. მისი შემოგარენის მთათა სისტემა მაღლდება 2000 მეტრამდე. სოფელ სულორს 1929 წლამდე დვალიშვილების თემი ერქვა, რაც განპირობებული იყო ამ სოფელში დვალიშვილების გვარის სიჭარბით. სოფელში არის ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. კლდიდან ამომდინარე ბუნებრივი ცხელი წყალი 38 გრადუსამდე ტემპერატურით, რომლის აბაზანებს იყენებენ საყრდენ-სამოძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, რბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

მდიდარი არქეოლოგიური მასალა და გვიანდელი პერიოდის ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ სოფელი უძველესი დროიდან დასახლებული ყოფილა. არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ სოფელი ანტიკური ვანის ალზეგების პერიოდში მდებარეობდა სამხრეთ საქართველოში მიმავალ მნიშვნელოვან საქარავნო გზაზე, რაც უდავოდ ხელს შეუწყობდა მის კულტურულ დაწინაურებას. ამის ფაქტობრივი მტკიცებულება ბევრია.

სოფელ სულორის ტოპონიკა და ისტორიული გეოგრაფია, მიუხედავად საინტერესო მასალებისა, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი (მცირე გამოწაკლისის გარდა – ლ. დ), მაგ: მდინარე სულორის ხეობაში, ლიხეთში (სოფლის სამოვარი) აღმოჩენილი კოლხური მონეტები, ამ ადგილის მნიშვნელოვან წარსულზე მიგვითი-

თებენ. თვით ტერმინი ლიხეთი თავის გეოგრაფიულ-სემანტიკური აგებულებით საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში, მაგ: ლიხის ქედი ან თვით ამ ადგილის ბუნებრივი გაგრძელება ლიხეიტბა. ეს ტოპონომიური წარმონაქმნი გარკვეულწილად გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოცანაა, რადგან ლიხეიტბა ერთ-ერთი მთის მწვერვალს ჰქვია და იქ არავითარი ბუნებრივი წყლის რეზერვუარი არ არსებობს. სავარაუდოდ, არც ადრე არსებულა.

სოფ. სულორის ტოპონომები მართლაც რომ გვესაუბრებიან ამ კუთხის წარსულზე. მდინარე სულორის ხეობაში ქვაბისკარის სახნავის მიწების შემდეგ მდებარეობს ადგილი საკაკილიე. ადგილობრივები აქ ხშირად პოულობდნენ უცნაურ მძივებსა და ყელსაკიდებს. მოგვიანებით ამ ადგილას მართლაც აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული, უნიკალური, მოჩუქურთმებული საბრძოლო ხელცული. სოფელ სულორის ტოპონიმთა შესწავლა საშური საქმეა და ბევრ საინტერესო მასალას გამოავლენს. მოხსენებაში საუბარია ტოპონიმთა ერთ ნაწილზე; მაგალითად: ბერთაქედი, კორდანო, წყაბომალი, ხუცნაყანები, ვანოიეს ნაბინვარი, სათევზიე დელე, საკაკილიე, ნამჭედვარე, მუხაგახვრეტილი, ორნანალიები, საკავის გორი, სახნავა, სახმარდელე, ხარკუდე, დასასვენებელი რცხილე, დიდბალი, პეტრეე სანადირო, დიდი უხტომი, პატარა უხტომი, ქაშვეთი, კატაკოდიების უბანი, საქაჯიე დელე, ქვაბისკარი, ანოული, ბზვარე, ლამაზ გორი, დიდვაკე, ბერის ტყე, ზედა საყივარე, ქვედა საყივარე, სატალახე, ღარები, ქალამანე, ციხიე და სხვ.

## **თამარ ვაშაკიძე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **გურული კილო ნ. დუმბაძის პროზაში („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)**

მოთხრობაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დიდოსტატურადაა დახატული გურიის ერთი პატარა სოფლის ცხოვრება. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირებიცა (ზურიკელა, ოლდა ბებია, ილიკო, ილარიონი) და სოფლის სხვა მცხოვრებნიც გურული კილოთი

საუბრობენ, რაც კიდევ უფრო ბუნებრივად აცოცხლებს მკითხველის თვალწინ მათს ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, შინაგან სამყაროს, მისწრაფებებს, ტკივილსა თუ სიხარულს.

ზურიკელა, ოლლა ბებია, ილიკო და ილარიონი ფაქტობრივად ერთ ოჯახად ცხოვრობენ – ერთად უხარიათ, ერთად სტკივათ, ერთად წყვეტენ საჭირბოროტო საკითხებს.

მოთხრობა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ადამიანური სითბოთი და სიყვარულით – ურთიერთგატანის მოჭარბებული განცდით... ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია ოლლა ბებიას წერილი (ზურიკელას რომ სწერს თბილისში). მკითხველის თვალწინ წარმოჩნდება გურულ კილოზე მოსაუბრე ტიპობრივი ქართველი ბებია, შვილიშვილზე რომ ამოსდის მზე და მთვარე და მასზე „ნასტავლი“ რომ არავინ ჰგონია ამქვეყნად („ვიცოდი, ნენა, რომ გააგიჟებდი ქვეყანას...“). ბებია სამომავლო გეგმებსაც ამცნობს შვილიშვილს წერილში („მაგის გაისად ქალს მოგგვრი, შენს ბაღანას ვინ დოურწევს აბა აკვანს?... მოვკვდები და შენ უნდა დამიკრიფო გულზე ხელი, შენ ამიტანო სასაფლაოზე და შენ დამიტყო, მარა შენს თვალზე კურცხალი არ დევიანახო...“); ილარიონის სატკივარსაც უამბობს, თვალის ტკივილს „უჩივალ“; სოფლის ახალ ამბებსაც უყვება („მატრონა დაფეხვილმა გაათხუა თავის ნუგუზალივით შავი მყვალა...“), ბოლოს კი სწერს: „მოგიკითხა მერიმ და ყველამ, გკოცნის შენი ბებია ვოლდა“.

მოთხრობის თითქმის ყველა მონაკვეთი გაჯერებულია (ზომიერად) გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმებით: ზურიკელას თბილისში გამგზავრება („დეპეშა გამოგზავნე, ფული თუ არ დაგირჩა...“), სტუდენტი ზურიკელას ნატვრა („გადმომიგდე ერთი სამიანი, ღმერთო, რა იქნება, ა, ღმერთო, გეყურება?“), ომის თემა („აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია, იგი უღვაში გამპარსე, ასე თუ არ ქნას...“), სოფელში დაბრუნებული ზურიკელასა და ოლლა ბებიას შეხვედრა („გელირსა, ნენა, ჩამოსვლა? რა ქენი, ბიჭო, აგი, ასე უნდა? გადაყვი ხომ სწავლას? დემეფსოს თვალეზი, რავა კირკიმელივით ჩამომხმარა...“), ფაქიზოს ეპიზოდი („მეზობლებო, ყველაფერს აქვს საზღვარი, ძროხა კაცივითაა, ცას ხომ არ გამოეკერება? აღარაა, დადნა, დეილია“...; „ჩვენ ძროხაზე ჩივი, ოლლა?“...; „რა მოხდა, ოლლა, ძლივს ეიდგა ფეხი, ახლა ამის გაჩერება რავა შეიძლება?“...; „გოუშვი ფეხი, მერე დოუჭირე ხელით“...; „ადი, ფაქიზო, ზედ... ადი, ძროხა, ზედ“...), ილარიონის თვალის დაკარგვის ამბავი



(„ტიტუ, ტიტუ, რა მითხრა აგი, შეჩვენდა შენი სახელი, მაგის ხუმრობა ვინ გეიგონა, თვალი არაა, მაგი რომ გაქვს?“..., „რა აჭამე, ბიჭო? ოქროსავით კაცი გამოგიგზავნე თბილისში და რაა აგი, შიშველი გადარეული რომ ჩამოიყვანე“..., „მაშინ მეორე თვალი დამფსებოდეს, თუ მართალს არ ვჩიოდე, გეყურება შენ? მე და შენ რამ გაგვყო, ბერიკაცო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიციგნე...“), ოღლა ბებიას საუბარი ზურიკელასთან სიკვდილის წინ („მოდი, ნენა? ტანმა გიგრძნო? აბა რავა გეგონა, ბებიაშენი ღვთიშობელი კი არ ყოფილა... მე ანდერძს არ გიტყვებ, ნენა, რასაც ხედავ, შენია ყველაფერი“...) და სხვ.

თვალშისაცემია ერთი გარემოება: ახალგაზრდების მეტყველებაში (მერისა და ზურიკელას) შედარებით ნაკლებად გვხვდება დიალექტური ფორმები; ოღლა, ილიკო და ილარიონი კი ძირითადად გურულ კილოზე საუბრობენ. რაც შეეხება ვითომ ლევარსიას (წინა თაობის წარმომადგენლის) დატოვებულ წერილს, ის კიდევ უფრო მეტადაა დატვირთული დიალექტიზმებით დარბაისლური გურული მეტყველების წარმოსაჩენად („ჩემი ილიკოზა ხაზარულა ვაშლის ძირში, ხელმარჯვნივ დიდი ქვაი რომ დენა, სიპი ქვაი, იმის ქვეშ არშინზე ერთ ბათმან ოქროს ვტიებ... ყორიფელი სიკეთე მაკლდა ცხოვრებაში... ხაზარულა ვაშლის ძირში ვიჯექი დღეი და ღამე...“).

მოთხრობაში დიალექტური ფორმებით დასტურდება არსებითი სახელები – საზოგადო თუ საკუთარი („სადამომდე გასცქერის ფანჯრის პირდაპირ მხარეთემოზე წამოწოლილ საპირფარეშოს და მის გვერდით ამართულ **ხეოლაზე** მხტუნავ ჩიტებს“..., „**ნიკოლოზე** რომ გადმოაგდეს ტახტიდან, შენხელა ვიყავი“...), ზედსართავები თუ მიმღეობები („ეს **ახდალი** მეგონა და ჭკუით გატენილი არ ყოფილა?“..., „მის ადგილზე დიდი **პირდაფჩენილი** შავი ორმო იყო“..., „სამამულო ომის მონაწილე და თვითონ **ცალთვალდაფსებულ** კერძო ექიმთან გავიქცეით“...), ნაცვალსახელები („**აგია** ცხოვრება? მაგის დრუნჩიან ღორს უბატონოდ ხმას ვერ უნდა ვცემდე“...), ზმნები – ზმნისწინებისა და თემის ნიშნების დიალექტური ვარიანტებით („სად წავა, არ **გოუშვა, დოუარე**“..., „ხმირ-ხმირად **გეიმეორე**“..., „თვალში რომ ჩაგივარდე, ხელს არ **ამოისობ**“..., „ის კი სველ შუბლზე **მისობს** თავის დაკოჟრილ ხელს“...), ზმნისართები („მათხოვარი იყავი **მიდღემჩი**“..., „თვალის ჩადება არ დაგავიწყდეს **ამელამ** ჭიქაში!“..., „ფიალა აუფეთქდა **გუშდამ**“..., „სხვაგან რომ იყოს, კიდე ჰო და **მაქროგორ** შეგიბერო?“...)

აღსანიშნავია ერთი სინტაქსური შემთხვევაც – როგორც ჩანს, გურული კილოსათვის დამახასიათებელი: გარკვეული ტიპის მსაზღვრელიან საკუთარ სახელებთან საზღვრული თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს მსაზღვრელს („ილიკო ბრუციაწო, იწექი ახლა და იკრუსუნე“..., „ზურიკელა უწმინდურო, თუ თავი გეცოდება, ფეხი არ ჩამოადგა ძირს“..., „როგორ ხარ, ილარიონ საცოდავო?“..., „ზურიკელა ვაშალომიძე მინდა... ზურიკელა სულძაღლიანი“..., „ზურიკელა ღვთისპირიდან გადავარდნილს გაუმარჯოს“..., „ზურიკელა ჯიბგირი თუ ყურობს ამ ამბავს?“)...

გურულ კილოზეა გაწყობილი წყევლის ფორმულებიც („ღმერთო, შენ დაანგრე ჰიტლერის ოჯახი, იმან არ გეიხარა თავის ცოლ-შვილში“..., „არ მეიყარო ჩემხელა, გაგონილა ჩემი ხნის კაცის ხეზე გასვლა?“...) და სიმღერებიც („ცოლად რეიზა არ მომყვები, ციცავ, თვალბდასაფსებო?“..., „შენც გურული, მეც გურული, რერო, ორივე ვართ მოდღურული, რერო...“), ირონია თუ იუმორი („აგი თუ მწიფვა, ჩემო ილიკო, მაშინ მე ღვიჭა ვყოფილვარ“..., „რადაც ამ ბოლო დროს სისუსტეს ვამჩნევ ამ ბაღანას, – თქვა ილარიონმა“...).

მოთხრობაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დიალექტური ფორმები ერთ-ერთი მთავარი მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებელია.

**მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **ნასესხები ლექსიკა ქართული ენის სამხრულ დიალექტებში და ადაპტაციის თავისებურებანი**

ენათა კონტაქტების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი წილი მოდის ლექსიკურ სესხებაზე, სესხების ხარისხი მით უფრო ოზრდება, რაც უფრო ინტენსიური კონტაქტი აქვს ენას სხვა, დომინანტ ენასთან (გრინბერგი, ტადმორი...).

ქართული მუდმივად განიცდიდა უცხო ენათა გავლენას, ეს განსაკუთრებით აისახა ლექსიკაზე. თუმცა ქართულის ზოგიერთი დიალექტი თავისებურ სურათს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით. იგულისხმება ქართულის სამხრული დიალექტები, კერძოდ, ტაოუ-

რი და იმერხეული, რომლებიც სხვა ენობრივ გარემოში არსებობს და მოწყვეტილია სალიტერატურო ქართულსა თუ სხვა დიალექტებს.

ქართულ სამეცნიერო წრეში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს დიალექტები მეტ-ნაკლებად ერთნაირად განიცდის უცხო ენის (თურქულის) გავლენას.

მოხსენებაში განხილულია ყველა ის უცხო ლექსიკური ერთეულები, რომლებიც წარმოდგენილია ამ დიალექტებში, შედარებულია ქართული ენის სხვა დიალექტთა სათანადო მასალასთან და გამოყოფილია შესაბამისი ჯგუფები: ა) უცხო სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ტაოურში დასტურდება; ბ) უცხო სიტყვები, რომლებიც მხოლოდ იმერხეულში დასტურდება; გ) ორივე დიალექტისთვის საერთო ნასესხები ლექსიკა;

კვლევა დაფუძნებულია ქართულ დიალექტურ კორპუსზე ([www.corpora.co](http://www.corpora.co)), რომელიც მოიცავს შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“, ნ. სურმაგას რედაქტირებულ თავისუფალი უნივერსიტეტის სალექსიკონო მასალას, ავტორთა ჯგუფის (ცინცაძე მ., ფაღავა მ., შიოშვილი თ.) „შავშეთის“ ტექსტებსა და სალექსიკონო მასალას. ამასთან, გათვალისწინებულია იქნება ხ. ჯანგაგაძის გამოუქვეყნებელი ტექსტებიც, რომლებიც 2007-2015 წლის ტაო-კლარჯეთში ექსპედიციების დროს შეკრებილ ჩანაწერებს მოიცავს.

მოხსენებაში განხილული იქნება უცხო სიტყვათა ადაპტაციის შემთხვევები. გამოვყოფთ ორ ჯგუფს: ლექსიკა, რომლებიც უცვლელადაა დამკვიდრებული იმერხეველებისა და ტაოელების მეტყველებაში და უცხო სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურად ადაპტირდნენ ქართული ენის ბუნების შესაბამისად.

ნასესხები ლექსიკის შინაარსობრივ ჯგუფებად განაწილება ხდება მსოფლიოს ნასესხობათა ელექტრონული ბაზის ლაიფციგ-ჯაკარტას ძირითადი ლექსიკის სიის მიხედვით.

## **დიანა კაკაშვილი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **მახვილი და ინტონაცია კახურში (ყვარლის მეტყველების მიხედვით)**

წარმოთქმის ელემენტების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები იჩენს თავს როგორც დიალექტებს, ასევე კილოკავებსა და თქმებს შორის. თითოეულ მათგანს გააჩნია წარმოთქმის ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიუანსები. კახურ დიალექტშიც გვაქვს ინტონაციური მრავალფეროვნება, რაც დიდწილად კავშირშია მახვილის ფუნქციონირებასთან.

კახური დიალექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს, თუმცა მახვილი და ინტონაცია ჯერ არ ქცეულა სპეციალური განხილვის საგნად.

მოხსენების მიზანს წარმოადგენს სრულად წარმოჩინდეს კახური დიალექტისათვის, კონკრეტულად კი ყვარლის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტუაციური და ინტონაციური თავისებურებანი. „მახვილის საკითხი, პირველ ყოვლისა, არის რიტმული ჯგუფის, ფრაზის მახვილის საკითხი: მახვილის ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, ფრაზაში უნდა იქნეს დასმული და გადაჭრილი“ [ჩიქობავა, 1942]. ვინაიდან, წინადადების ინტონაციური სტრუქტურა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება მისი სინტაქსური წყობით, ასევე, შეპირობებულია სემანტიკით, გაანალიზებული იქნება სხვადასხვა შინაარსისა და აგებულების ფრაზები, რომლებიც პირობითად შეიძლება ასე დაჯგუფდეს: ა) კითხვის ინტონაცია; ბ) პასუხის ინტონაცია; გ) მახვილის ინტონაცია; დ) გაკვირვების ინტონაცია; ე) მახვილის ინტონაცია; ვ) ალერსის ინტონაცია; ზ) სიხარულისა და აღტაცების ინტონაცია; თ) ბრძანების ინტონაცია; ი) დალოცვის ინტონაცია და სხვ.

**მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი,**  
**მარინა ჯღარკავა** (თბილისი, სოხუმის უნივერსიტეტი)

**„ტირილის“ კონცეპტი ქართველურში**

1. ქართველური ენების ლინგვოტიპოლოგიური აღწერა და ინტერპრეტაცია წარმოადგენს თითოეული ენის თავისებურებების დადგენასა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა სვანურის, მეგრულის, ლაზურის შესწავლა და ენობრივი მონაცემების შედარება-შეპირისპირება; ამჯერად, ტირილის კონცეპტის აღწერა-ანალიზით დავინტერესდით; წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს სწორედ ქართველურ ენებში შედარებით ფორმატში ზემოაღნიშნული ტირილის კონცეპტის კვლევა წარმოადგენს. „ტირილი მწუხარებას გამოხატავს. იგი ქართულში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით გამოიხატება: ატირება, წამოტირება, დატირება, გამოტირება, გლოვა, ზარი, მოთქმა, გოდება, ღაღადი, ზრუნი, სლუკუნი, სლუკ-სლუკი, ქვითინი, ქვითქვითი, ვალალი, ცრემლვა, აცრემლება, ბზუკუნი, ჩაბჭირება, ვაება, ვაგლახი, აბლავლება, ღრიალი, ღრიალება, მდუღვრა, ბლავილი, ღმუილი, წირპლვა, ფშრუკუნი, ყივილი, კივილი, კვნესა, კაკანება, ხვიობა, კოკოცება, წუწუნი, წუწკუნი, წკმუილი, ჩუხჩუხი“ (ნათია იაკობიძე, ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში, გვ.150).

2. საკმაოდ მრავალფეროვანია ტირილის გამოხატველი ლექსიკა ქართველურში.

მეგრულში:

**ნგარა (ნგარას), გარა** – ტირილი.

**ნანგარა (ნანგარას), ინგარს** – ნატირალი, ტირის.

**ნგარაფა (ნგარაფას)** – ატირება.

**ნგარებული (ნგარებულ), ნგარებულა** – ატირებული, ატირებულიად.

**ონგარალი (ონგარალ), ოგარალი** – სატირალი.

**ონგარუ (ონგარუს), ოგარუ** – ტირილი; სატირალი. გადატ. საგლოვი.

**მანგარინჯა (მანგარინჯას), მანგარინჯე (მანგარინჯეს)** – მტი-  
რალა, ტირია.

**ნგარა-მარა (ნგარა-მარას)** – ტირილ-მირილი.

**სხარსხალი (სხარსხალ), რსხიალი, სარსხალ** – მრავლის, მაგ.,  
ბავშვების, ერთად ხმაურობა-ტირილი, – სხრიალი.

**ღურღულუა (ღურღულუას), ღურღული** – ჩუმად ტირილი,  
ქვითინი; ღაპა-ღუპით ცრემლის ღვრა.

**ღიაფი (ღიაფის)** – ღნავილი; ძლიერი ტირილი.

**ღვარღვალი (ღვარღვალს)** – ცრემლის ძლიერი ღვრა, ფრქვევა.

**ღვეყელი (ღვეყელ), ღვეყელუა (ღვეყელუას), ღვეყელანს** –  
ხმამაღლა ტირილი; ზღავილი; ყვირილი.

**თვალუა (თვალუას), თვალუნს** – მოთქმით ტირილი, გოდება.

**ქვარქვალუა (ქვარქვალუას), ქვარქვალანს** – წუწუნი, ბუზღუ-  
ნი.

**კუმინუა (კუმინუას), კუმინუნს** – კმინვა, ნელი კვნესა.

**კუსანს** – კვნესის.

ფრაზეოლოგიზმებში:

**ჩილამურიში ღვარღვალი** – ცრემლის ღვრა, ფრქვევა; დენა  
ღაპა-ღუპით.

**ჩილამურიში თუდო რაგადი** – ცრემლის ქვეშ ლაპარაკი.  
გადატ. აღელვებული, შეწუხებული ლაპარაკი.

**ჩილამურიში მიშახუნა** – ცრემლში ჯდომა. გადატ.ძლიერი  
მწუხარება.

**ჩილამურიში რღვაფა** – ცრემლის ღვრა. გადატ. ტირილი.  
შდრ. ლაზ. ჩელამურე/ჩილამზრე ცრემლი (ნ. მარი).

**თოლიშე ჩილამურიში სქუალა** – ძალიან შეწუხება

**თოლიშ წყარით ეფშაფა** – თვალის წყლით ავსება, შეწუხება,  
ტირილი.

3. ლაზურში:

**ზგარა/მგარა, ზგარინი, ოზგარინუ/ომგარინუ, ომგარინი** – ტი-  
რილი.

**ოზგარინუ/ომგარინუ** [შდრ. ომგარუ], ომგარინი – ტირილი/  
სამგლოვიარო რიტუალი.

**გემგარინუ** – დატირება; იმავე მნიშვნელობით გამოიყენება  
კორეცხალა მოთქმა, მოთქმით ტირილი, ჩამოთვლით ტირილი  
(თანდ.). მეგრულში მოთქმას გამოხატავს ქართულიდან შემოსული

ძირის მქონე ზმნა თვალუა/თოლუა (აღსანიშნავია, რომ კოროცხუა/კოროცხალა ზანურში თვლას, დათვლას ნიშნავს).

**ბეჯღაფა** – ხმამაღლა ყვირილი, ტირილი.

**ამაკირუ** – კივილი, შეკივლება; ოკიუ კივილი, ყვირილი; ოწირუ წივილი, კივილი; წიოლი წივილი, კივილი; წიომა წივილი.

**დოკუსინუ** – დაკვნესა, დოკუსინაფა დაკვნესება.

**ემაკუსინუ** – ამოკვნესა; კუნკულა, **ოკუნკულუ** – ნელი კვნესა და წუხილი ძილში (გურული); **კუსუნი, ოკუსინუ, ომკუსუ** – კრუსუნი, კვნესა.

**ოქანცარუ** – კვნესა.

**დოკიუ /დოყიუ** – ყივილი.

**ზარი-ზარი** – ქვითინ-ქვითინით. (ცალკე ზარი მწარეს ნიშნავს).

ტირილის მნიშვნელობით გამოიყენება სხვა ლექსემები, ძირითადად ცხოველთა ხმოვანების აღმნიშვნელი: ოღრიალუ ღრიალი; მღორინი, ომღორუ ბღავილი, ობუღინუ ხარივით ბღავილი; ოჭირჭილუ წუწუნი; ორანცინუ დამაყრუებელი ყვირილი; ორუინუ /ოყურინუ ყვირილი; ოღუმინაფუ ყვირილი; ოყურინუ /ოყურუ ყვირილი; ოჩხირუ მთელი ხმით ყვირილი; პეჯღელი ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით (შდრ. მეგრ. ბერჯღელი); ყურაფა / ყუაფა / ურაფა ყმული, ყვირილი; ჭყვიოლა ჭყვივილი, წივილი, ყვირილი; ოწუმინუ (ათინ.) კვნესა (ძაღლისგან) / ოწუმინუ წკმუტუნი, გადატანითი მნიშვნელობით – წვრილი ხმით ტირილი.

ლაზურსა და მეგრულში ერთი ძირისგან იწარმოება ჩილამური (მეგრ.) და ჩალამურე / ჩელამურე / ჩელამრე / ჩილამბერე / ჩილამბი / ჩილამბრე (ლაზ.) ცრემლი.

თურქულიდან ნასესხებია ააში – ცრემლი;

ტირილის კონცეპტში შეიძლება გაერთიანდეს ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, როგორებიცაა: დეკიდუ დაწყება, კერძოდ, ტირილის დაწყება; ომლიპუ ფშვნეტა, აცრემლიანება თვალისა; წაპწაპი მუდამ ცრემლიანი თვალი.

ტირილთან, ცრემლთან დაკავშირებით ლაზურში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები და ანდაზები. მაგ.:

**მანჯურა იბგარა-სი, ჩელამრეფე ინჯილი ქვაფასენა** – მეორე იტირებს, ცრემლით ქვა გახდებო.

**ჩელამურე გელომოფუს** – ცრემლები ჩამოსდის (ჩამოჰყვება).

**ჩელამურე ქოგაოწაპუ** – ცრემლი დააწვეთა, დაიტირა.

**თოლი ოფშალუ** – თვალის ავსება ცრემლებით  
**თოლი ოწკარუ** – თვალის აცრემლევა, აწყლიანება

**4. ტირილის ლექსიკურ-სემანტიკური ზუდე სვანურში ასეთი სახით წარმოგვიდგება:**

**ლიგტნი** – ტირილი;

**ლეგტნი** – სატირილი;

**ლაგტნა** – გასვენება, სატირალი;

**ლიგტნი** – ატირება; დატირება;

**ლილჭალ** – მოთქმა, ხმამალა დატირება;

**ქემრალე ლიგტრანი** – ცრემლების ღვრა;

**ლიტფურალ** – კაემანი, ვარამი, ტირილით სახის ხოკვა;

**ლისენტყალ** – შეცხადება; გოდება;

**ლუ-წხაფე** „მეწუხებული“, **ლი-წხაფი** „მეწუხება“, **ლი-წხაფალ** „მრავალგზის მეწუხება“, **მა-კკერა** „დარდი, წუხილი“, **ლი-კკერე** „დარდი, ზრუნვა, წუხება“, **ნა-კკერუნ** „საწუხარი“, **ლე-კკერე** „დადარდიანებული“, **გურიმი მამფა** „გულისწუხილი, სატკივარი“, **გურიმი ლიფუე** „სიმწუხარე, ტკივილი, დარდი“, **გურიმიზიგ** „გულისტკივილი“, **გურიმილიზგუნე** „წყენა, გულისტკენა, სატკივარი“...

5. ქართველური ენები ტირილის კონცეპტის ლექსიკის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. დიდძალი ლექსიკური მარაგია განფენილი ქართველურ ენათა ფრაზეოლოგიზმებში, რაც ცალკე კვლევის საგანია. სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მონაცემები ტირილის კონცეპტისა საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობის, ასევე სიტყათწარმოებითი მოდელების მიხედვით. ქართველურ ენებში ტირილის კონცეპტის კვლევამ ასევე გამოავლიანა საყურადღებო სემანტიკური ნიუანსები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში.



## მ ა კ ა კ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი - ბ ე რ ი ძ ე ( ა ხ ა ლ ც ი ხ ე )

### დიალექტი და თანამედროვე პროზის ენა

1. ლინგვისტები ინტენსიურად იკვლევენ ენობრივ ნაირსახეობებს, საზოგადოებაში დიალექტური მეტყველების საკომუნიკაციო როლსა და ფუნქციას. სწავლობენ დიალექტებს მხატვრული ლიტერატურის ენის მიხედვით. ამ თვალსაზრისით სერიოზული კვლევებია გამოქვეყნებული დასავლეთში (Henzen W., Ammon U., Besch W., Mattheier K. J.]. საკითხისადმი დიდია ყურადღება რუსეთშიც (М. М. Гухман, Н.Н. Семенюк, А.И. Домашнева, Н.Г. Помазан, Л. Б. Копчук).

2. საკითხის შესწავლისას თავს იჩენს შემდეგი კითხვები: მხატვრულ ტექსტში რა ურთიერთმიმართება არსებობს სალიტერატურო ენასა და დიალექტს შორის, ასევე სალიტერატურო ენასა და სასაუბრო მეტყველებას შორის, დიალექტსა და სასაუბრო მეტყველებას შორის და ა. შ.

3. არსებობს მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტის შესწავლის ორი სხვადასხვა გზა. ერთი არის დიალექტოლოგიური, რომელიც იყენებს ლიტერატურულ ტექსტებს, როგორც სასაუბრო მეტყველების დადასტურებას. მეორე მიდგომა სტილისტური თვალსაზრისით განიხილავს დიალექტის გამოყენებას, იკვლევს ტექსტში მის ფუნქციასა და როლს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საჭიროა ორივე მათგანის სინთეზი. განვიხილავთ ისეთ ტერმინებს, როგორცაა: „ლიტერატურულად შემუშავებული დიალექტი“, ან „ხელოვნური დიალექტი“, ან „ლიტერატურული დიალექტი“ (Literary dialects).

4. დიალექტისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართების შესწავლისათვის შევარჩიეთ მხატვრული ტექსტები თანამედროვე ლიტერატურიდან, (თემურ ჭკუასელის, რევაზ მიშველაძის და სხვათა პროზა). მხატვრულ ნაწარმოებში შევუპირისპირეთ ენობრივი ნაირსახეობები: დიალექტი და სალიტერატურო ენა. ამ დაპირისპირებამ ხელი შეუწყო მათი გავრცელების სფეროების გამოვლენას.

5. მწერლები იყენებენ დიალექტს, რომ შექმნან იმ ადგილმდებარეობისა და დროის გარკვეული პერიოდის რეალური სურათი, რომელზეც წერენ. ლიტერატურაში დიალექტი ასევე გამოყენებუ-

ლია პირების სტატუსის განსასაზღვრად. ის სასარგებლო ინსტრუმენტია იმისათვის, რომ მწერალმა პერსონაჟები ჩასვას შემოსაზღვრულ სივრცეში, მიაკუთვნოს სოციალურ ფენას საავტორო ტექსტის გარეშე. დიალექტის გამოყენება საინტერესოა დიალოგის პროცესში, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მთხრობელის მეტყველებაში მისი ფუნქციის კვლევა. ხშირად დიალექტი გამოიყენება მთხრობელის პერსონალიზაციისათვის, მიანიშნებს წარმომავლობას ან ეყრდნობა იმ სტერეოტიპებს, რომლებიც არსებობს დიალექტურ მეტყველებასთან დაკავშირებით.

**იგორ კეკელია** (მარტვილი)  
**გიორგი ჯღარკავა** (თსუ)

### **ნასოფლარები ლეხურის ხეობაში (ტოპონიმური მასალების მიხედვით)**

ახალგორისა და კასპის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არის მდინარე ლეხურა//რეხულა, რომელიც სათავეს იღებს ხარულის ქედის სამხრეთ ნაწილში, ზ. დ. 2015 მ-ის სიმაღლეზე და მარცხენა მხრიდან შეერთვის მტკვარს. მდინარის სიგრძე 43 კმ-ია, აუზის ფართობი კი 285 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს.

ლეხურის ხეობა ოდითგანვე დასახლებული ყოფილა, მაგრამ ჟამთა სიავემ, განსაკუთრებით ხეობის ზემო წელზე მდებარე მჭიდროდ დასახლებული მრავალი სოფელი ნასოფლარად აქცია. მათ შესახებ წარუშლელი ცნობები შემოუნახავს ტოპონიმურ მასალას. ხეობის მხოლოდ ერთ თემში - ზაყორის თემში ორმოცზე მეტი ნასოფლარის სახელწოდება გვაქვს ჩაწერილი. ზაყორის თემის ცენტრს სოფ. ქვემო ზაყორი წარმოადგენს, რომელიც მდ. ლეხურის ხეობაში, ხარულის ქედის სამხრეთ მთისწინეთში მდებარეობს. თემში შედის 22 სოფელი: არმაზი, დუდაითი, ველურა, ზემო, შუა და ქვემო ზაყორი, ზემო და ქვემო ცხილონი, ზემო, შუა და ქვემო წირი, ზემო და ქვემო წოლდა, ზემო, შუა და ქვემო წუბენი, იკეთი, ნადაბური, უკანწირი, ქვითკირი, ქოლოთი, ჭაჭამური.

ზაყორის თემის ნასოფლართა სახელწოდებებია: **აგარა** (სახლობდნენ ბიტაროვები), **ბაიდარი** (სახლობდნენ ბიგანოვები და ბოკონოვები), **ბალისხიდი**, **ბალოვანი**, **ბერიჯვარი** (სახლობდნენ ბოლოთაევები და ბიგულაევები), **ბოსელთა** (ნასოფლარი ზაყორის ხეობაში, ცხრაწყაროს სათავესთან), **გაბითი ყაუ** (სახლობდნენ გაბოევები, ბოლოთაევები და ტუაევები), **გოინთკარი**, **გოჩითი ყაუ** (სახლობდნენ ქისიევები), **გუდითი**, **გუჯითა**, **დიდი ბაღითი**, **ვანი** (სახლობდნენ ვანიევები და ლაზაროვები), **ზადითი ყაუ**, **ზემო ბაღითი**, **იჩეთი**, **კრია**, **ლაბირდითი ყაუ**, **მეტესმანი**, **ოლოფთა**, **სათაგური** (უწინ საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა), **ტბეთი** (სახლობდნენ გურწიევები), **უკანძირი**, **უკანწირი**, **ურთბლიანი**, **უღელტეხილი** (სახლობდნენ ბიგულაევები და ბოლოთაევები), **ქარვისი**, **ქარტისი**, **ქედიგორა**, **ქსარგიჯინ**, **ღოთკარი** (სახლობდნენ ჩერტკოევები), **ყაბაური**, **ჩამჩხა//ცამჩხა**, **ჩანჩხარო**, **ცხინორისი**, **ცხინულიგორგა**, **ძუარი-ხუსსარ** (სახლობდნენ ავლოხოვები და გიგოლაევები), **წილიგორგა//წირიგორგა** (სახლობდნენ ქურტაევები და ცალაგოევები), **ჭაჭამურის გორგა**, **ხივათი ყაუ** (სახლობდნენ ჩარაევები), **ხინჩაგაანი**, **ხსარჯინ** და **ჯერანთი**.

წარმოდგენილი მონაცემებით ნასოფლართა სახელწოდებებში ქართულენოვანი ონიმები ჭარბობს. გვხვდება ოსური და ქართული ლექსიკური ერთეულებით ან სუფიქსებით (-ის, -ოვან, -თა, -ან, -ანთ) შედგენილი სინთეზირებული ტოპონიმები, აგრეთვე ტოპონიმური პარალელები (ჩამჩხა//ცამჩხა, წილიგორგა//წირიგორგა). ნასოფლართა სახელწოდებები მიუთითებს, რომ მათი უმრავლესობა თავის დროზე ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით მთლიანად ქართული იყო. ქართველებით დასახლებული სოფლების დაცლის შემდეგ კი ოსები დამკვიდრებულან. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ბერიჯვარსა და უღელტეხილში ბოლოთაევებისა და ბიგულაევების, ტბეთში გურწიევების... ცხოვრება.

## ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა (მარტვილი)

### ტოპონიმები ქსნის სათავეებთან

ქსანი მტკვრის მარცხენა შენაკადია. მდინარის სათავეს ოსეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, კერძოდ, ყელის ვულკანურ ზეგანზე, ზ. დ. 2914 მ-ზე მდებარე ამავე სახელწოდების ტბა წარმოადგენს. მისი სიგრძე 84 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 885 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს. ზემო და შუა დინებაში მდინარეს ვიწრო ხეობა აქვს, ხოლო მუხრანის ვაკეზე ფართოდ იშლება. შესართავთან, ანუ იქ, სადაც მდინარე სხალტბის ქედს კვეთს, ისევ ვიწრო ხეობაში მოედინება. ქსნის მთავარი შენაკადებია ცხრამძულა, ჭურთა და ალეურა (ქსე, ტ. X, 1986: 561). ქსნის დინებას ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოსცემს: „ხოლო მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოლოს ჟამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთათ. ქარჩოხს ქვეით სამხრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს“ (ვახუშტი, 1997: 70<sup>20-22</sup>).

ქსნის სათავეები საინტერესოა ტოპონიმური თვალსაზრისით. აქ ფერდობებს, ვაკეებს, სათიბებს, მთებს, ხევებს, წყაროებს, ნასოფლარებს, ტყეებს და ა. შ., საკუთარი სახელები აქვთ. ხეობის სათავეს და მის გაგრძელებას **ჟამური** (ჟამურის ხეობა) ჰქვია, ხოლო ხეობის ერთი მონაკვეთი **ქარჩოხად** (ქარჩოხის ხეობა) იწოდება (ვახუშტის ცნობა: „ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი“).

ქსნის სათავეებთან ფერდობების სახელებია **ვალყავ**/**ვალყაუ** (გამოიყენება სამოვრებად) და **ფაგათი ხუსსარ** (ხუსსარ „სამხრეთი“) (ჟამურის ხეობაშია); ვაკე-სათიბებს **ბაგინი** და **ყუგომ** „ველი“ ჰქვია.

მთების სახელებია: **გალადური**/**გალავდური** (ეკუთვნის ბალაანს), **გორგა** (ნასოფლარიცაა), **თაგოიანთ მთა** (მთა თაგოევებს ეკუთვნოდათ), **კორას მთა** (ნასოფლარ კორასთან), **მაყითიხოხ** (ჟამურის ხეობაშია), **პატარა გალადური** (ეკუთვნოდა ბალაანის კოლმეურნეობას), **ცადვაზ** (ცად „ტბა“)...

ხევებია: **ადაგ** „ხევი“ და **ვარაქომ**/**ვარალქომ** „განიერი, ფართო ხეობა“; წყაროების სახელწოდებად დადასტურებულია **დაბლა მყავე წყალი**, **მყავე წყალი** (ორივე ბაგინზეა) და **სვადონ**/**სვარდონ**/**სუადონ**/**სუარედონ** (სუარე „მლაშე“).

ქსნის სათავეების წარსულში მჭიდროდ დასახლების მაუწყებელია ნასოფლარების არსებობაც. მათი სახელებია: **ალავერდი//ალარდი** (ჟამურის ხეობაში), **გორგაა, გურწითა** (ჟამურის ხეობაშია, სადაც გურწიევები სახლობდნენ), **გურჭიანი, თოგოიანი** (ჟამურის ხეობაში), **კორა** (მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე), **მასკუთა//ნასახლარები, მაყითა//მაყითე, ნავისხევი** (აქაც გურწიევებს უცხოვრიათ), **პეტრიანი** (სახლობდნენ ბეგალოვი და გურწიევი), **ფაგათა//ფაგაიანი** (ჟამურის ხეობაში, სადაც სახლობდნენ ფაგაევები), **ჩიგოიანი//ჩილოიანი** (ქსნის მარჯვ. ნაპირზე).

ხეობის ზემოთში რამდენიმე ციხის ნაშთიცაა შემორჩენილი. ესენია: **თოგოიანის ციხე, კორას ციხე** (ქსნის მარცხ. ნაპირზე), **საუმასიგ** (შავი ციხე, ქსნის მარჯვ. ნაპირზე) და **ქარჩოხის ანუ ცხმორის ციხე**. ეს უკანასკნელი შუა საუკუნეებით თარიღდება და კლდოვან კონცხზე, ოხირისხევისა და ქსნის შესართავთანაა აგებული; XIV ს-ის დასაწყისში შალვა ქსნის ერისთავის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ქარჩოხის ციხის აღება უცდია მეფე დავით VIII-ს, მაგრამ უშედეგოდ. ვახუშტის ცნობით, „...ერთვის კსანს აღმოსავლიდამ ცხრაზმისხევი... და ამ ხევს ზეით, ჩდილოთკენ, არს ციხე ქარჩოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე...“ (იქვე: 71<sup>10-13</sup>). XVIII ს-ის დასასრულიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ქსნის საერისთავო გაუქმდა, ქარჩოხის ხეობა თავისი ციხითურთ მეფე ერეკლე II-ის ვაჟიშვილის – იულონის მფლობელობაში გადასულა. ციხის კომპლექსში სხვადასხვა დროს აგებული ზურგიანი კოშკი, უაფსიდო ბაზილიკური ეკლესია და გალავანი შედის (ჯ. გვასალია). საფიქრებელია, რომ მთიულეთიდან ქსნის ხეობაში უძველესი დროიდან გამავალმა გზებმა განაპირობა აქ რამდენიმე ციხესიმაგრის აგება.

აქვე, ქსნის ზემოთში ყოფილა ხატ-სალოცავები: **ვასტერჯენ//ვასთერჯი** და **სანიბა**; ვასთერჯი ოსურ მითოლოგიაში მგზავრთა და მეომარტა მფარველ ღვთაებად არის მიჩნეული. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი უტოლდება წმ. გიორგის და ზოგჯერ მის პარალელურადაც ასახელებენ. ასე, მაგალითად, წმინდა გიორგი//ვასთერჯი სალოცავებია ბენდერში, ქვემო ბიყარში, წიფორსა და საკვირეთში (ქ. გოდერძიშვილი).

ტყის სახელწოდებად დადასტურდა **ნავისხევიყად** „ნავისხევის ტყე“, ნაწისქვილართა სახელწოდებად – **ქროი** „წისქვილი“ (ჟა-

მურის ხეობაში), **ძაძოითა//მაწმოითა** (ქამურის ხეობაშია, სადაც სა-  
ხლობდნენ ძაძოელები) და **ხეტანი** (ქსნის მარჯვ. ნაპირზე), ხოლო  
ტბის სახელწოდებად – **ყელის ტბა**.

ქსნის სათავეებში დამოწმებული მიკროტოპონიმების ნაწილი  
ოსურენოვანია. მათი დათარიღება განისაზღვრება ოსთა მასობრივი  
გადმოსახლების შემდგომი პერიოდით (საფიქრებელია, უფრო ზუს-  
ტად, XIX საუკუნით). პარალელურ ტოპონიმად დადასტურებული  
**მასკუთას//ნასახლარების** ამოსავალი ქართული „ნასახლარები“ უნ-  
და იყოს. ტოპონიმი **ნავისხევიყად** სინთეზირებული გეოგრაფიული  
სახელწოდების ნიმუშია. მასში ორი საზოგადო სახელია გაერთიანე-  
ბული – ქართული ლექსიკური ერთეული **ნავისხევი** და ოსურენო-  
ვანი **ყად** „ტყე“. გვხვდება ქართული **-იან** და **-იანთ** სუფიქსით გა-  
ფორმებული მიკროტოპონიმებიც (გურჭიანი, თოგოიანი, პეტრიანი,  
ჩიგოიანი//ჩილოიანი, თაგოიანთ მთა).

## **მარიამ კიკონიშვილი, ნინო ჭუმბურიძე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში**

სიმცირის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულ სალიტერატურო  
ენაში საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის. განსაკუთრებით მრავალფეროვან  
სურათს გვიჩვენებენ ამ მხრივ ქართული ენის დიალექტები.

სიმცირის ლექსიკაში შეიძლება ორი ჯგუფი გამოიყოს:  
1. ზოგადად პატარის, მცირის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელშიც  
თავის მხრივ გამოიყოფა ნეიტრალური ლექსიკა (პატარა, მცირე,  
კნინი, ცოტა...) და ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა (კნიწა, ჩქიფა,  
წიწლიკა, ცუცნელა...); 2. კონკრეტულად რომელიმე საგნის ზომის,  
მოცულობის, ოდენობის სიმცირის გამომხატველი სიტყვები, რომ-  
ლებშიც ასევე გამოიყოფა ნეიტრალური (ბიჭი, კნუტი, გოჭი, ჭუ-  
კი....) და ემოციური შეფერილობის სიტყვები (ქვაბუნა, თავუკა, ჩა-  
ფრუკა, ბეწიკუა...). ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს ქმნის ერთი  
მხრივ, ბგერწერა, მეორე მხრივ კი დიმინუტიურ მაწარმოებელთა

დართვა. მოხსენებაში წარმოდგენილია ამ მხრივ საინტერესო დიალექტური ფორმები და მათი კლასიფიკაცია.

## **მარიამ კობერიძე (გორი)**

### **ფრონეს ხეობის ქართლურის შესწავლის ისტორიისათვის**

ფრონეს ხეობის მეტყველებაში დადასტურებული სხვა დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების შერევის შემთხვევები ყოველთვის იწვევდა მკვლევართა ინტერესს. ამ ხეობის შესწავლის ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია დიალექტოლოგიური ექსპედიციებისა და მივლინებების დროს ჩაწერილი და გაანალიზებული მასალები.

1935 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით საგანგებოდ მოწყობილი ექსპედიციის დროს შეკრებილ „მასალებში საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის“ გვხვდება მოხისის, ავლევის, სალოლაშენის, ატოცის, თიღვისა და სხვა სოფლების მეტყველების ნიმუშებიც.

არ. მარტიროსოვის ნაშრომში „ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში“ (ენიმკის მოამბე, IV3, 1938) წარმოდგენილია ბრეთში, არადეთში, სალოლაშენში, წვერსა და დირბში მოპოვებულ მასალის ანალიზი. ფრონეს ხეობის მეტყველების თავისებურებებს განიხილავს გრ. შალამბერიძე „დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში“ (იკე, ტ. IX-X, 1958).

პ. გაჩეჩილაძემ 1952 წლის ზაფხულში ჩაიწერა მასალები ბრეთში, წვერსა და სალოლაშენში (ქართლურის სალექსიკონო მასალა: იკე, XVII, 1970). 1965 წელს მერი მესხიშვილმა დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს მასალები შეკრიბა სალოლაშენში, არადეთში, წვერში, ბრეთსა და ძლევიჯვარში (მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის: იკე, XVII, 1970).

ფრონეს ხეობის სოფლებში ჩაწერილ მდიდარ მასალას გვაწვდის „ქართლური დიალექტის ლექსიკონი“ (შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, 1981) და „ქართლური ლექსიკონი“ (მასალები) (მ. მესხიშვილი, 2006).

გრ. იმნაიშვილის მონოგრაფიაში „ქართლური დიალექტი“ (I, II) გაანალიზებულია დირბში, წვერში, დვანში, სალოლაშენში, წვერში, დვანში, ზრეთსა და სხვა სოფლებში ჩაწერილი დიალექტური მასალებიც.

საინტერესოა ა. ლლონტის ნაშრომები „ნ-ს პროცესი დირბულში“ (ფილოლოგის ჩანაწერები, 1980, გვ. 218) და „ფრონეების ხეობის ტოპონიმია“ (ტოპონიმიკური ძიებანი, VII, 1988). ფრონეს ხეობის ტოპონიმებთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულია ადგილის სახელწოდების წარმოების, პროდუქტულ აფიქსთა ხმარებისა და ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიის საკითხებზე.

მოხსენებაში გავაანალიზებთ ჩვენ მიერ ფრონეს ხეობის სოფლებში ჩაწერილ მასალებსაც.

## **ლევან კოჭლამაზაშვილი** (თბილისი, ჩერქეზული კულტურის ცენტრი)

### **მახვილი – ქართულ დიალექტთა განმასხვავებელი ნიშანი**

მეცნიერთა შორის აზრთა სხვაობას ვხვდებით ქართული ენის დიალექტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. ამის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი საკლასიფიკაციო ნიშანთა საერთო ფაქტორის უქონლობა უნდა იყოს. როგორც წესი, იმდენსავე დიალექტს გამოყოფენ, რამდენი სუბეთნიკური ჯგუფიც არსებობს, ანუ ამოსავალია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული დაჯგუფება: კახური, ქართლური, იმერული, გურული, აჭარული, მესხური, ჯავახური, ლეჩხუმური, რაჭული, მთიულური, მოხეური, ხევსურული, ფშაური, თუშური, ინგილოური, ფერეიდნული, ტაოურ-კლარჯული, შავშური... (ავ. შანიძე, ბ. ჯორბენაძე...).

სტრუქტურული თავისებურების გათვალისწინებით ანაწევრებს ქართულ დიალექტებს არნოდდ ჩიქობავა. უმეტესი ყურადღება მახვილდება გრამატიკულ თავისებურებებზე და ფონეტიკური ცვლილებები კილოკავის მახასიათებლად განიხილება: კახური (ქი-



ზიყურითა და ფერეიდნულითურთ), ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), იმერული (ლექხუმურითურთ), გურული, აჭარული, მთიულური (გუდამაყრულითურთ), მოხეური, ფხოვური (თუშურ-ხევსურულ-ფშაური)...

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება მახვილის განმასხვავებელ ნიშნად განხილვას დიალექტთა დაჯგუფების საკითხში. კითხვისა და მიმართვის ინტონაცია განსხვავდება ქართულ კილოებში და იმდენივე სახეობა უნდა ჰქონდეს, რამდენი დიალექტიც სინამდვილეში გააჩნია ენას. ამჯერად განხორციელებული ჩემი დაკვირვება მოიცავს ფართო გავრცელების კილოებს: იმერულს, ქართლურსა და კახურს. კვლევამ ცხადყო, რომ სამსავე მათგანს რამდენიმე განსხვავებული ფორმა გააჩნია როგორც კითხვის, ისე მიმართვის მახვილისა.

### **კითხვის მახვილი**

ა) იმერულში მკაფიოდ განსხვავებულია მახვილი მთისა და ბარის დასახლებებში. მიუხედავად იმისა, რომ მთიან იმერეთში რამდენიმე ძირითადი ხეობაა, ინტონაციური წყობა საერთოა როგორც ჩხერიმელისა და ძირულის, ისე ყვირილისა და ბუჯის ხეობათა მეტყველებისა. მარგულში (ზემოიმერულში) კითხვით წინადადებაში მახვილი მოუვა ბოლო მარცვალს, ქვემოიმერულში კი – ბოლის წინას.

ბ) ქართლურის შემთხვევაში მკვეთრ სხვაობას ვხვდებით შიდაქართლურ და ქვემოქართლურ მეტყველებაში. შიდა ქართლის მეტყველებაში კითხვის მახვილი შეიძლება რამდენიმე თანამახვილისაგან, რომელიც სიტყვასა თუ შესიტყვებას გასდევს ბოლოსწინა მარცვლამდე ინტონაციის უცვლელობით, ბოლო მარცვალს მახვილი შეუსუსტდება და შემადღებული ტონით წარმოითქმის. ასეთი ინტონაციური წყობა ახასიათებს მტკვრის შენაკად ხეობათა – სურამის, ძამის, ფრონის, ტანის, ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის, კავთურის... შემადგენელ დაბა-სოფელთა მეტყველებას. ქვემო ქართლის სოფელთა მეტყველებაში კითხვის მახვილი ერთ ტონში ითქმის, მახვილი კი მოუდის ბოლოს წინა მარცვალს. ასეთი ინტონაციური სტრუქტურა ახასიათებს მაშავერის, ქციისა (ხრამის) და ალგეთის ხეობათა და თრიალეთის ქედისა და ქვაბულის სოფლების მეტყველებას.

გ) კახურში კითხვის მახვილი თავისებურია: სიტყვათმახვილი რამდენიმე თანამახვილისაგან შედგება, რომლებიც წარმოითქმება ნელ-ნელა შემადღებული ტონით და მახვილის სიძლიერე

პირველ მარცვალზეა, შემდეგ კი სუსტდება ბოლოსწინა მარცვლამდე, ბოლო მარცვალს კი მთავარი მახვილი მოუდის, ბოლოსწინა მარცვლის შემადლებული ტონი კი მსუბუქად დადაბლდება. ეს წყობა ახასიათებს გარე, შიდა და გაღმა კახეთის მეტყველებას, თუმცა მისგან მკვეთრად განსხვავდება ქიზიყურის ვითარება, სადაც შესიტყვებასა თუ სიტყვაში მახვილი შეიცავს რამდენსამე დაბლება-ტონიან თანამახვილს პირველიდან ბოლოსწინა მარცვლამდე, ბოლო მარცვალი კი მთავარ მახვილს დაირთავს და ტონი მაღლდება. ასეთი ინტონაცია გვაქვს ბოხორისა და ელდარ-შირაქის სოფელთა მეტყველებაში.

### **მიმართვის მახვილი**

ა) განსხვავებულია მიმართვის მახვილი ზემო და ქვემო იმერულში. ამ უკანასკნელში ბოლოსწინა მარცვალს მოუდის მთავარ-მახვილი, რომელიც დაბალი ტონით წარმოითქმება. ალერსობითისა/-იე-ბოლოსართიან (დათომა||დათოფე) ფორმებში პირველსა და ბოლოზე ნაწილდება თანაბარი ტონის თანამახვილები, ხოლო მთავარ-მახვილი დადაბლდება. მარგულში მთავარ-მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, მომდევნოები კი სუსტებადი თანამახვილით ხასიათდება.

ბ) ქვემოქართლურში მიმართვის მახვილი პირველ მარცვალზე მოდის, მისი წარმოთქმა დაბალი ტონისაა, მომდევნონი კი ონდავ შემადლებული ტონით ითქმის, შიდაქართლურში კი პირველი და მომდევნო მარცვლის მახვილი დაბალი ტონისაა, თუმცა პირველისა დინამიკურია, ბოლო მარცვალი მაღალი ტონალობის თანამახვილიანი სეგმენტია.

გ) კახურსა და ქიზიყურში მიმართვის მახვილი, უმეტესად, ორმარცვლიანი აქვს. სხვაობა კი მდგომარეობს ტონსა და მახვილთა სიძლიერეში. კახურში ბოლო მარცვალზე მოდის მთავარ-მახვილი და ორივე მონოტონურად წარმოითქმის, ქიზიყურში კი ორივე მარცვალი თანაბარ თანამახვილს შეიცავს, მაგრამ პირველი მათგანი მაღალი ტონის დადაბლებით ხასიათდება, მეორე კი დადაბლებულ ტონს საწყის მდგომარეობამდე ამაღლებს.

მახვილისა და ინტონაციის სხვაობა, როგორც აღმოჩნდა, მთავარი ნიშანია დიალექტთა კლასიფიკაციაში, ამ ნიშნებს ერთვის სხვადასხვა გრამატიკული ნიუანსი, რაც კი ქართული ენის ამ კილოებს ახასიათებს და მიმაჩნია, რომ კილოკავებად კვალიფიცირებული

მეტყველების ნიმუშებს – მარგულს (resp. ზემოიმერულს), ქიზიყურსა და ქვემოქართლურს დიალექტის სტატუსი უნდა მიენიჭოს.

## **მარინე კუხალაშვილი (ქუთაისი)**

### **იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალისათვის**

დიალექტიზმები სალიტერატურო ენაში კუთხური მეტყველებიდან, ანუ დიალექტიდან შემოსული სიტყვები და ფორმებია, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთა მეტყველებას და ზოგჯერ ნაწილობრივ ან სრულებით გაუგებარია სხვა კუთხის მკვიდრთათვის.

საქართველოში ჩვენს საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენასთან დღემდე მრავალი კუთხური მეტყველება ანუ ტერიტორიული დიალექტია შემორჩენილი.

დიალექტიზმები როგორც სიტყვების, ისე სიტყვათა ფორმების სახით ხშირად იჭრება როგორც სასაუბრო, ისე მხატვრული ლიტერატურის ენის სტილში. სალიტერატურო ენა დიალექტებიდან ითვისებს ისეთ ელემენტებს, რომლებიც მას ესაჭიროება შესავსებად და ფართო საზოგადოებაში საერთო აღიარების შედეგად ხდება ენის ლექსიკური შემადგენლობის ორგანული ნაწილი. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ელემენტები უკვე კარგავენ დიალექტიზმის სახეს, მაგრამ როდესაც სალიტერატურო ენა აღწევს განვითარების მაღალ დონეს, დიალექტიზმები უარყოფითად მოქმედებენ მის სიწმინდეზე, როგორც ლექსიკურად, ისე ფონეტიკურად, მორფოლოგიურად, სინტაქსურად და სტილისტიკურად.

დიალექტური სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც ღრმადაა ფესვგადგმულნი ხალხის ყოველდღიურ მეტყველებაში და განუმეორებელი ელფერი აქვთ, ყურადღებას იმსახურებენ, მაგალითად:

გასადარება – ფხიზლად ყოფნა;

გამოხუთშაბათება – მთვარის „ძველ-ახლობა“ დამძველებასთან მიახლოება;

გაორტაბახებული – მოყოყმანე;

გამონაბუცებული – დაბეჩავებული;

გამოტრიზია – სათქმელი გამოსტყუა ... და სხვა.

## მაკა ლაზარტყავა (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### თანდებულები გურულ დიალექტში

„გურული კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, ენობრივი თვალსაზრისით იგი საკმაოდ მრავალფეროვანია“. ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კონტაქტი სხვა კილოებთან (აღმოსავლეთით ქვემო-იმერულთან, დასავლეთით – აჭარულთან), მეორე მხრივ, თითქმის სრული იზოლაცია სხვა კილო-თქმათაგან .

გურული კილო ორ კილოკავად იყოფა: ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურულ თქმას და ოზურგეთულის ნაწილს, ქვემოგურული კილოკავი აერთიანებს ლანჩხუთურ და ოზურგეთულ თქმებს. იმავდროულად სხვაობაა თვით თქმების შიგნით, მაგ., ჩოხატაურულ თქმაში სხვაობს ზემო სურების, შუა სურებისა და დიდვანის ქცევები (ს. ჟღენტი).

საინტერესო მასალას წარმოგიდგენს გურული კილო თანდებულების თვალსაზრისით.

-**თან** და -**თანა** თანდებულის -**თ** იკარგვის ბრუნვისნიშნისეულ -**ს** სპირანტთან შეხვედრისას: „**სალფილესან** გაჭრილია რგოლი“; „**დათიკასან** მიიჩქაროდა გაბრაზებული“...

-**ზე** თანდებული წარმოდგენილია როგორც -**ზედა**//**-ზედ**, აგრეთვე -**ზენ** ფორმებით: „**სახურაგზედ** შაშვი ჩამომჯდარიყო“; „**გზაზედ** კვდარივით ეგდო კაცი“; „მწვანე **მოლზენ** ძალღი გორიალობდა“.

„ერთ-ერთ სპეციფიკურ მოვლენად გურულისათვის შეიძლება ჩაითვალოს სპირანტთა აფრიკატიზაციის ტენდენცია. აფრიკატიზაცია შედეგია ხშულისა და სპირანტის შერწყმისა, რასაც ზოგჯერ თან უძღვის რეგრესული ასიმილაციის პროცესი. ამ რიგის აფრიკატიზაციაც, ჩვეულებრივ, მორფემათა ზღვარზე ხდება ბოლოკიდურ პოზიციაში: **გვერდში** → **გვერთში** → **გვერჩი**“ (ბ. ჯორბენაძე). ეს მოვლენა შეინიშნება ორსავე დიალექტში (ქვემოგურულსა თუ ზემოგურულში): „**ზაფხულჩი** თუ გვალვები იყო, გახმებოდა ტალახი და

ვიარებოდით გამხმარ მიწაზე“; „ხუთი ოდა იყო ამ **სოფელში**, მე რომ პატარა ვიყავი“.

დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, როცა **-ში** თანდებული (ორსავე დიალექტში) უცვლელად არის წარმოდგენილი: „ძველად იყო ამ **ადგილეთში** ჩხავერი, ტევანდიდი, ჭუმუტად, ტრედისფხა“; „ბერს **ეკლესიაში** ქვაზე დუღუწერია: აი და აი საეკლესიო მიწა ეკუთვნის ამ ბაღნეფსო“; „**ჩაში** წასვლა და მუშოობა ყველა დღე შეეძლო“...

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მიცემითბრუნვისნიშნისანი ზმნისართის ნაცვლად **-ზე** და **-ში** თანდებულიანი მიცემითია წარმოდგენილი: „ჩამევიარდი ხეფეს, ბეჭერი ვაზები თუ იყო ზეთ, ჩამოყვრიდი **ძირში**“; „ბაღანაი ჩევიდა **ძირში** თუ?“; „კვტარის დამარხვის **დღეზე** იცოდენ ზარის თქმა“; „ქორწილის **ღამეზე** დიდი თოვლი მევიდა“...

გარკვეულ შემთხვევებში **-ში** თანდებულის ნაცვლად შეინიშნება **-ზე** თანდებულიანი ფორმები: „გიორგობა ერ დღეს იყო. ღამეს არ ათევედენ **ეკლესიაზე**, წვევიდოდენ სახლში“.

ცნობილია, რომ ხშირად **-თვის** თანდებულს ცვლის **-და** თანდებულიანი ნანათესაობითარი ფორმა: **კაცისდა** → **კაცისზდა** → **კაციზა**: „საგებათ იყო ჩალა. პატივსაცემი **კაციზა** იყო ღომის ჩალა“; „მაი ყვავილები იმ **ქალიზა** მინდა“.

ბუნებრივია, ნაცვალსახელებთანაც ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა გვხვდება: **მიზდა** (← **მისდა**), **ამიზა** (← **ამიზდა** ← **ამისდა**), **იმიზა** (← **იმიზდა** ← **იმისდა**), **იგინიზა** (← **იგინიზდა** ← **იგინისდა**) (გრ. იმნაიშვილი). მაგ.: „**ამიზა** გამასწორე და ჩამდე მიწაში“; „მერე ჩაგეყარა ურემში და მიგეტანა **მიზდა** სიმინდი“; „**ჩვენდა** გვინდოდა აი კაცური კაცი“...

არცთუ იშვიათად **-თვის** თანდებული წარმოდგენილია **-თვის** ფორმით: „კარგად რომ შევისტავლე, მერე გივედი **ჩემთვის** და მუშოობდი“; „**შენთვის** და **ჩემთვის** სიხარული მინდა, სხვაი აფერი“...

მოქმედებით ბრუნვაში ხშირად დაცულია **-იდ-გან** დაბოლოება: „მეორე **განყოფილებიდგან** დამითხუა სკოლას და დამაწყებია მასთან ყანაში მუშოობა“; „ეს ქილა იყო გვალი, გაკეთებული **ფანერკიდგან**“...

**-გან** თანდებულიანი მოქმედებითი ხშირად გამოიყენება ამავე თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად: „წერილი მივიღე **ძმაიდან** და გამეხარდა“; „წაბლის **ხეიდან** ციყვი გადმოუხტა და დეებერტყა ძირში“...

თუ **-დამ** თანდებულის სიტყვას მიმართულების გამოხატვა ეკისრება გურულ დიალექტში, მაშინ მას უნდა დაერთოს **-იდან** (← **იდგან** ← **ითგან**) ფორმანტი: „უკანა კარები **გარედამიდან** იკეტებოდა“; „**გარედამიდან** მწერები შემოფრინდენ, ძლივს მევიგერიეთ“, თუმცა ლანჩხუთურ მეტყველებაში უმეტესწილად **-დან** თანდებულის ფორმა გვხვდება: „**გარედან** ფიჩხი მეიტანე“, „**გარედან** ძალი შემევიდა“.

გურულ დიალექტში **-მდე//მდი** თანდებულების ბოლოკიდურა ხმოვანი ნაზალიზაციას განიცდის და გვაქვს **-მდენ//მდინ** (ბ. ჯორბენაძე). აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთურ დიალექტში ძირითადია **-მდი//მდინ** თანდებულის ფორმები: „**სახლამდი** დიდი გზა დარჩენოდა“, „**მდინარემდინ** ძლივს მიაღწია“.

**ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ქართული ენის დიალექტებში**

თანდებული ქართულში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. მისი სხვადასხვა ასპექტის კვლევას არაერთი საგულისხმო ნაშრომი მიეძღვნა. თანდებულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს შეეხო ბრუნვებისა და თანდებულების ურთიერთობასაც მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად შეიცვალა ცალკეულ თანდებულთა ლექსიკური მნიშვნელობა.

ძველ ქართულში დროითი და სივრცული მიმართებების გამოსახატად თანდებულების გამოყენება მეორეული ჩანს. არამარტიროსოვის დაკვირვებით, თანდებულის ფორმები უმეტესად ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება. რაც შეეხება ამ ფუნქციით თანდებულების გამოყენებას, აშკარად შეინიშნება სივრცისა და დროის გამოხატვის ფუნქციათა განაწილება. მაგ., **ზედა** თანდებული დროის გადმოსაცემად არ გვხვდება; **-გან** თანდებულის მოქმედებითის თავდაპირველი ფუნქცია დროითი მიმართების, კერძოდ, მოქმედების დაწყების აღნიშვნა იყო, ხოლო სივრცული მიმართებების გამოხატვა მეორეული, გვიან შეძენილი ჩანს (ქ. მოწინიძე).

როგორც ძველი ქართული ენის მონაცემები გვიჩვენებს, თანდებულისათვის დროის გამოხატვის ფუნქცია მეორეული, კერძოდ, სივრცული მიმართებების გადააზრიანების შედეგად მიღებული არ უნდა იყოს.

ახალ ქართულში აშკარად არსებობს ტენდენცია მიცემითი ბრუნვის მიერ ძველი ფუნქციების დაკარგვისა, იგულისხმება სწორედ ადგილისა და დროის გამოხატვა. ეს ძირითადად თანდებულების ხარჯზე ხდება (ე. ბაბუნაშვილი).

თანდებულები, რომლებიც დროულ მიმართებებს აღნიშავენ, ორ ჯგუფად იყოფა: 1. თანდებულები, რომლებიც დროულ ლოკალიზაციას ახდენენ (დროის ათვლის წერტილზე მიუთითებენ) და 2. თანდებულები, რომლებიც დროის ხანგრძლივობას აღნიშნავენ.

სალიტერატურო ქართულში დროის ლოკალიზაციისათვის, როდესაც საჭიროა კონკრეტული მომენტის ფიქსირება (როდის?), გამოიყენება უთანდებულო ფორმა (ძირითადად მიცემითი ბრუნვისა). ენაში, განსაკუთრებით მის დიალექტებში, შეიმჩნევა -ზე თანდებულის არეალის კიდევ უფრო გაფართოების ტენდენცია.

ხვალ **დილაზე** ადრე ავდგები და წავალაო (რაჭული).

მამრე აქ ჩამოვიდოდინ კვირა **სადამოზე** (მოხეური).

ერ **დროზე** ე ბერ კაც იგევეს (ინგილოური).

ერთ **ზაფხულზე** კიტრი დაგვირიგეს დღიურზე (იმერული)<sup>1</sup>.

დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულების ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლა დიაქრონიულ ჭრილში, ასევე ენაში არსებული ვითარების ჩვენება და უახლესი ტენდენციების გამოვლენა საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს მოდელი, რომლის საშუალებითაც ხდება დროის კონცეპტუალიზაცია ქართულში. ამ საკითხების მნიშვნელობა უნდა შეფასდეს როგორც კონკრეტული ენის შესწავლის თვალსაზრისით, ისე ენათა შედარებითი კვლევის კონტექსტში.

---

<sup>1</sup> მასალა მოყვანილია დიალექტოლოგიური კორპუსიდან (საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი).

## თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე (ქუთაისი)

### ენა და იდენტობა ქართველ ებრაელებთან

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ქართველ ებრაელთა თემი გამორჩეულია თავისი ხანგრძლივი ისტორიითა (ლერნერი 2008; გიპერტი 2006) და გარემომცველი კულტურის ენის უწყვეტი გამოყენებით. საქართველოში ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური უმცირესობის ადგილობრივ, დომინანტურ მოსახლეობასთან ხანგრძლივი და წარმატებული თანაარსებობა.

არსებული მონაცემთა ბაზების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ ქართველ ებრაელებს ახასიათებდათ ენობრივი იდენტობა, რაც ძირითადად, მართალია, ქართულ ენობრივ საშუალებებს ეფუძნებოდა, მაგრამ სოციო-კულტუროლოგიური ასპექტებით უფრო ებრაიზმების უხვ გამოყენებაზე იყო ორიენტირებული.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ხოლო შემდეგ 90-იანი წლებში ქართველი ებრაელების ყველაზე დიდი ნაწილი ისრაელს (დაახლოებით 120 000) დაუბრუნდა საცხოვრებლად. სხვა დიასპორული თემები ცხოვრობენ აგრეთვე ნიუ-იორკში, მოსკოვში, ვენასა და ანტვერპენში, სადაც ახალგაზრდა თაობა ქართულ ენას იშვიათად სწავლობს. ისრაელში, ბუნებრივია, დომინანტი არის ებრაული, ამერიკაში – ინგლისური, რუსეთში – რუსული, ვენაში – გერმანული და ა. შ. ამიტომაც ასიმილაციისა და ეთნოკულტურული იდენტობის კვალის გაქრობის ტენდენციები მძლავრია. ახალი თაობის წარმომადგენლები ხშირად ქართულად აღარც მეტყველებენ, თუმცა, მათ მეტყველებაში დასტურდება ქართული ლექსიკური სუბსტრატული ფენაც.

ბილინგვური სიტუაცია თავის კვალს ამჩნევს იმ თაობის მეტყველებასაც, რომელიც საქართველოში აღიზარდა. თუმცა ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმები საზღვარგარეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებმა უკეთ შემოინახეს, ვიდრე საქართველოში. მაგრამ თუ საქართველოში ცხოვრებისას მათთვის მშობლიური ენა ქართული იყო, დღეს ბევრი მათგანი მშობლიურ ენად უკვე ივრითს მიიჩნევს.



რაც შეეხება საქართველოში დარჩენილ მცირე თემს, რომელიც ძირითადად მხოლოდ რამდენიმე ქალაქში სახლობს, სტანდარტული ქართულის ათვისების საჭიროება და შესაძლებლობა ებრაული მეტყველების სპეციფიკური ელემენტების გადაცემას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

## **ნ უ გ ზ ა რ მ გ ე ლ ა ძ ე** (ბათუმი)

### **პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა საქართველოს შავიზღვისპირეთში**

პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა, მათ შორის, ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი მრავალმხრივია საინტერესო. უპირველესად საინტერესოა პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინოლოგიური პარადიგმა და მისი მიმართება ბერძნული სალიტერატურო, იმავდროულად, ბერძნული ენის სხვადასხვა დიალექტის ნათესაობის ტერმინთა სისტემასთან. პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში მრავალი ლექსიკური ელემენტის კონსერვაცია მოხდა, ბევრმაც სახე იცვალა და კლასიკური ბერძნული ენის ზოგად ნორმებს დასცილდა. ეს ცვლილებები საუკუნეების მანძილზე გარდაუვალი იყო, რადგან მათ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეთნიკურ გარემოსა და სოციალურ პირობებში უწევდათ არსებობა. ნათესაობის ტერმინოლოგია კი – კონსერვატული ბუნებიდან გამომდინარე სოციალურ წყობაზე მუდამ ფაქიზად რეაგირებდა და სტრუქტურაში საზოგადოების დონესთან შესატყვის ნათესაობის ტერმინოლოგიურ ტიპებს აყალიბებდა. ასე მოხდა ბერძენების პონტოური დიალექტის ნათესაობის ლექსიკის სფეროშიც.

პონტოელი ბერძენების გვარი (/გვარსახელი) – **ეპონიმო**, როგორც მას ადგილობრივი ბერძენები უწოდებენ, სიტყვა ეპონიმთანაა დაკავშირებული. ეპონიმად ლექსიკოგრაფები ისეთ პირს მიიჩნევენ, რომლის სახელისგანაც ხალხის, ადგილის და თუნდაც გვარის სახელწოდება წარმოდგება. გვარის წევრი – ნათესავი, რომელსაც **სინგენოს** ერქვა, დანარჩენ წევრებთან განსაზღვრული ვალდებულებე-

ბით იყო დაკავშირებული. უფლება-მოვალეობათა ტრადიციულ ციკლში წევრთა უფლებები, უმთავრესად, ქონებრივი ნორმების, სოციალური და სამართლებრივი, განსაკუთრებით, საოჯახო სამართლის სფეროში იყო დარეგულირებული. ამდენად, გვარის წევრები ერთმანეთის მიმართ სისხლის, სამოქალაქო სამართლისა თუ შრომითი დახმარების სფეროში სოლიდარები იყვნენ. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ბერძენთა კომპაქტურად დასახლებულ უბნებსა და სოფლებში გამოიყურებოდა, რადგან თავდაპირველად ბერძენებისათვის გარე ეთნიკური სამყარო მაინც უცხო იყო და თანადგომა მათი თვითმყოფადობის, ეროვნული მეობისა და ტრადიციული კულტურის განმსაზღვრელ გარანტს წარმოადგენდა.

აგნატური – მამის ხაზით შექმნილი ნათესაობა პონტოელ ბერძნებში ნათესაობის სისტემის საფუძველი იყო. ნათესაობის სისტემაში სამი უმთავრესი მიმართულება გამოიყოფოდა. ესენი იყო: სისხლითი ნათესაობა, მოყვრობითი ურთიერთობა და ხელოვნური ნათესაობა. აქედან რეალურად ნათესაობა მამის გენეალოგიურ სტრუქტურაში რელიზდებოდა, რომელიც გვარის წევრებსა და გვარში მონათესავე გენეალოგიურ სემენტებს ეფუძნებოდა. პონტოელი ბერძნების გვარი – **ეპონიმოს** ლოკალურ გაერთიანებას არ წარმოადგენდა, რადგან გვარის წევრები, რომლებიც საერთო გვარსახელს ატარებდნენ, ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ, ე. ი. გვარის წევრს შეეძლო ლოკალიზებულ გვარს მოწყვეტოდა და სხვა ადგილზე დასახლებულიყო.

გვარში ნათესაური წრეები თაობრივად და მუხლობრივად ნაწილდებოდნენ. აქედან ახლო და შორი ნათესაობა გამოიყოფოდა, რომლებიც შესაბამისი ტერმინებით აღინიშნებოდნენ. ძმობის შემდგომ სიახლოვით პირველი ბიძაშვილობა იყო, ხოლო კიდევ უფრო დაცილებული წრე, ვთქვათ, მუხლობრივად მესამე საფეხურის ბიძაშვილობა ტერმინ **ეჰსადელფე** თი გამოიხატებოდა.

პონტოელ ბერძენთა აჭარაში – სოფელ დაგვაში, ბობოყვათში, კვირიკეში, ახალშენში, ბათუმში და სხვა პუნქტებში მცხოვრები გვარებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო **მავროპულო, პაპანდოპულო, სანდოპულო, იანოპულო, გრამატიკოპულო, სანდინიდი, სტილიდი, ხორაფიდი, პოკაიდი, სილოინიდი, ხიონიდი, ევრემიდი, პაროციდი, სელფიდი, პოლიბრონიდი, ბუმბურიდი, კასიტიერიდი, ფუტურიდი, იოსეფიდი, გაითალიდი, ჩაკალიდი, ჩაიკიდი, ფილიდი, იორდანიდი, დერჩენიდი, პანტელიდი, ანასტასიადი, ქიმიციდი, სა-**

**ვიდი, სავილი, კაიტალიცი, ჩულფა, დოფხარა, კოჩაზაში, შინუსი (შონუსი), მურადოვი, პაიატოვი, ტერიევი (დერიევი), გრეესი...**

პონტოელ ბერძენთა ზოგიერთი გვარსახელი ადამიანის საკუთარ ანდა მეტსახელთან იყო დაკავშირებული. აჭარაში მცხოვრები ბერძენების სახელებიდან უნდა გამოიყოს: **ხრისტო, ლაზარე, პავლე, ტრიანდაფილე, პანაიოთი, გიორგი, იანე (ივანე), კონსტანტინე, თეოდორე, ლისანდრე, ნიკოლოზი, ანესტი, სტავრო, სპირიდონი, ილია, მიხეილი, ვასილი, ანესტი, ლისანდრე, ტრიანაპოლი, ესტაფი, ტრიანდაფილე...** ქალის სახელებში კი ჭარბობს: **მარიამი, ემორფილე, ევრიკლი, ელენე, ანთიგონა (ანთიღონა), მარინა, ანგელინა, არღირო, მარგარიტა, ოლღა...** როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა საკუთარ სახელებში აშკარად ჩანს ქართული და, ბუნებრივია, რუსული გავლენებიც.

ფორმალური, კერძოდ, ნათესაობის ტერმინოლოგიური სისტემის კომპონენტური ანალიზის მეთოდით, რომელიც რამდენიმე თანმიმდევრული პროცედურისაგან შედგება და ტერმინთა კოდირების პრინციპს ეყრდნობა, მოხერხდა არა მარტო პონტოელ ბერძენთა ნათესაობის ტერმინთა სიისა და ცხრილის შედგენა, არამედ დიფერენციული ცვლადების, ცნებათა და სოციალურ კატეგორიათა დენოტატებისა და დეზიგნატების, ტერმინთა სიგნიფიკატების დადგენა, რამაც ნათესაობის ტერმინებში მარკირებული ურთიერთობების საზოგადოებრივი ფუნქციებიც განსაზღვრა. ფორმალური - მათემატიკური მეთოდით სტრუქტურათმორისი კომპონენტების გამოყოფა, ნათესაური სქემის სტრუქტურული აგებულებისა და მისი პრინციპების ამოხსნა, საბოლოო ჯამში, ზოგად პარადიგმაზე თაობების მიხედვით პონტოელი ბერძენების ნათესაობის ცალკეული ტიპის გამოყოფისა და ბერძნული სამყაროს სხვა ლინგვისტურ ჯგუფებთან მათი შედარების, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე დადგენილი ნათესაობის ტერმინთა ტიპის ადგილისა და როლის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს.

## ნათელა მელიქიძე (ახალციხე)

### ასპინძის მუნიციპალიტეტის გვარსახელები ისტორიული წყაროების მიხედვით

1. ნაშრომში განხილულია ანთროპონიმები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით და შეჯერებულია რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტთან („მესხური დავითნის მატიაწე“, „ამილახორთა და კოპასძეთა მოსახსენებელნი“, „მცხეთის საბუთები“ და „თოფქაფის სასახლის არქივის“ მასალები).

2. ისტორიული წყაროების მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ქართული სახელდება ტოლერანტულია, სახელთა მოქართულეობის საკონტროლო საშუალება კი მისი გვარსახელში გადასვლაა.

3. მე-16 საუკუნის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ დოკუმენტებში გამოიკვეთა ყველაზე გავრცელებული სახელები; საკუთრივ ქართული წარმოშობის ანთროპონიმები; კალენდარული სახელები; ბერძნული, ებრაული, სომხური, სპარსული, არაბული, სკვითური და თურქული წარმოშობის სახელები.

4. სემანტიკური ჯგუფების მიხედვით დავახასიათეთ: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული სახელები; სურვილის სახელები; მეტსახელებიდან წამოსული საკუთარი სახელები; ტოტემიდან მომდინარე, ხელობის მიხედვით გამოხატული და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებიდან მომდინარე ანთროპონიმები.

5. ოსმალთა მოხელეების აღწერილ სოფლებში ორსახელიანობა დადასტურდა ხიზაბავრაში: პაპუნა ირაკლი. „მესხურ ქრონიკებში“ ორსახელიანობის მაგალითებია: ბექაი-პავლე, საბა-იანქო; „თოფქაფის სასახლის არქივში“ დაფიქსირდა ყვარყვარე-ყანდურალი.

6. სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ანთროპონიმების მაწარმოებელი სუფიქსებიდან აღსანიშნავია: -ა; -ია; -ალ/-ალ-ა; -ან-ა; -ატ/-ათ-ა; -აც-ა; -ეკ-ა; -ელ/-ელ-ა; -ენ-ა; -ეტ-ა; -იკ/იკ-ა; -ინ-ა; -ისა; -იტ-ა; -იჩ/იჩ-ა; -ო; -უ; -უა; -უკ-ა; -ულ-ა; -უნ-ა; -ურ-ა; -უტ-ა; -უჩ-ა

7. სამხრეთ საქართველოში გავრცელებული იყო -შვილ-ი, -ძე, -იან-ი, -არ-ი, -ელ-ი დაბოლოებით გაფორმებული მემკვიდრეობითი სახელები (თაქთირისძე, ამატაკიანი, ავალიშვილი, ან-

ძველი, სლესარი...), „მესხური დავითნის მატინესა“ და „მცხეთის საბუთებისაგან“ განსხვავებით, „თოფჯაფის სასახლის არქივის“ მასალებში არ გვხვდება სამცხის დიდგვაროვანთა გვარსახელები, ისინი მხოლოდ პირსახელით ან პირსახელითა და მამის სახელითაა მოხსენებული. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში დევთერდარებს მაინც „გაეპარათ“ ბერიძე, ბენაძე, გიორგაძე.

8. თუ დინამიკაში განვიხილავთ ისტორიულად დამოწმებულ ანთროპონიმებს, დავინახავთ, რომ ზოგიერთმა სახელმა მეტგვარსა და გვარსახელში გადაინაცვლა, მე-16 საუკუნეში დოკუმენტირებული ზოგი შემკვიდრეობითი სახელი დღესაც დასტურდება ასპინძის მუნიციპალიტეტში, ზოგი სახელიც ტოპონიმებში ცოცხლობს.

9. ისტორიულ წყაროებში დადასტურებული პირსახელიდან შემკვიდრეობით სახელში გადასვლის მაგალითებია: ლონდარა/ლომდარა > ლონდარიძე, დათა > დათაშვილი, მაზა > მაზაშვილი, მამუკა > მამუკაშვილი, ბალია > ბალიაშვილი, ველიჯან > ველიჯანაშვილი, მურადი > მურადაშვილი.

## **კობა მითაგვარია** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“ ლექსემის შემცველი იდიომებისათვის**

იდიომატურ გამოთქმებში სომატური ლექსიკა – სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები, სხვა სემანტიკურ ჯგუფებთან შედარებით, ხშირად გამოიყენება. ამ მხრივ საყურადღებოა მეგრ. **კუჩხ-ი** „ფეხი“. მისი მონაწილეობით გადმოიცემა სხვადასხვა შინაარსი:

**ხვეწა, ვედრება: კუჩხის ქითანთხ** „შეეხვეწა, შეევედრა“, ზედმიწ. „ფეხებში ჩაუვარდა“;

ძლიერება, დამოუკიდებლობა, სიცოცხლე, არსებობა: **კუჩხის გერე** „ძლიერია, დამოუკიდებელია, ცოცხალია, არსებობს“, ზედმიწ. „ფეხზე დგას“;

**დაზარება, თავის არიდება: კუჩხი ქათორღუ** „დაიზარა, თავი აარიდა“, ზედმიწ. „ფეხი ითრია“;

**შეფერხება, დაბრკოლება: კუჩხიქ აკაბორკ** „შეფერხდა, დაბრკოლდა“, ზედმიწ. „ფეხი შეეკრა“;

**მსახურება, მორჩილება, პატივისცემა: კუჩხის უბონგნს** „ემსახურება, ემორჩილება, პატივს სცემს“, ზედმიწ. „ფეხს ბანს“;

**უპატივცემლობა, შეურაცხყოფა, დამცრობა: კუჩხი ქიგიობიჯ-გუ** „უპატივცემლოდ მოექცა, შეურაცხყოფა მიაყენა, დაამცრო“, ზედმიწ. „ფეხი დააბიჯა“;

**ამპარტავენება, თავის დაფასება: კუჩხი გოდგგ** „ამპარტავენა, თავი დაიფასა“, ზედმიწ. „ფეხი არ გადადგა, არ გაინძრა“;

**მანძილი, ფართობი: კუჩხიში გოდგუმუს** რე „ძალიან ახლოს არის“, ზედმიწ. ფეხის გადაბიჯებაზე, ერთი ფეხის ნაბიჯზე: **კუჩხიში გადგგმალი** ვარე „ძალიან ცოტა ფართობია“, ზედმიწ. „ფეხის გადასადგმელი ადგილი არ არის“;

**დაღლა, სისუსტე, უძლურება: კუჩხიქ ქათუოლ** „დაიღალა, დასუსტდა, დაუძლურდა“, ზედმიწ. „ფეხი მოსძვრა“;

**არაფრად მიჩნევა, უგულვებელყოფა: კუჩხგშა გილებუნუ** „არაფრად მიიჩნია, უგულვებელყო“, ზედმიწ. „ფეხზე დაიკიდა“;

**სიკვდილი: კუჩხი გორჭიპუ** „მოკვდა“, ზედმიწ. „ფეხი გაფშიკა“;

**წარუმატებლობა, დამარცხება: კუჩხი ქეკატახე** „დამარცხდა, წარმატებას ვერ მიაღწია“, ზედმიწ. „ფეხი წაიმტვრია“;

**გამპატიოსნებელი: კუჩხიშ მათინალ-ი**, ზედმიწ. „ფეხის გამჭიმავი, გამსწორებელი“.

მეგრ. **კუჩხ-ი** „ფეხი“ ლექსემის შემცველი იდიომები სხვა შინაარსაც გადმოსცემენ. საანალიზო მასალა საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ძირითადად გვხვდება ორკომპონენტური იდიომები, ისინი გადმოიცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, ამ მხრივ აქტიურია სახელი და ზმნა.

## მაია მიქაუტაძე (ქუთაისი)

### ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებებისათვის ტაოურში (ასიმილაცია, დისიმილაცია)

განვიხილავთ ტაოურ დიალექტში ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგად მომხდარ ხმოვანთა ფონეტიკურ ცვლილებებს.

ვეყრდნობით ჩვენ მიერვე 2006-2014 წლებში იმერხევსა და ტაოში მოძიებულ მასალას; ასევე, ვიყენებთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაში დაცულ და ნ. მარის, შ. ფუტკარაძისა და მ. ფაღავას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს.

#### ასიმილაცია:

სრული რეგრესული ასიმილაციით: **აე** > **ეე**: დაეთესა > დეეთესა, წაველი > წეველი, მეცხვარე > მეცხვერე... **ოუ** > **უუ**: მოურწყველი > მურწყველა, მოუნდება > მუნდება (ზოგჯერ პროცესი უფრო შორსაც მიდის: მუნდება)... **იუ** > **უუ**: მიუყვანა > მუყვანა...

იმერხელისაგან განსხვავებით, ტაოურში დადასტურდა სრული რეგრესული ასიმილაციის შემდეგი მაგალითები:

**აო** > **ოო**: გამოვყრით > გომოვყრით, ჩამოვალთ > ჩომოვალთ... **ეო** > **ოო**: მეზობლები > მოზობლები, შემოახტა > შომოახტა... **ეო** > **ეე**: მეორენი > მეერენი... **ეა** > **აა**: შეახტა > შაახტა... **ოა** > **აა**: შემოაყარი > შემაყარო, მოამოებს > მაამოეფს...

ხშირია **ოი**, **აი**, **ეი** > **იი** სრული ასიმილაციის ფორმები: მოგვიკლია > მიგვიკლია, დამიწერა > დიმიწერა, გაგისხნა > გიგისხნა...

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით: **აუ** > **ოუ**: დაურგა > დოურგა, გაუხარდა > გოუხარდა (ხშირად **ოუ** > **უუ**: დუურგა, გუუხარდა) **ეუ** > **ოუ**: შეუბერო > შოუბერო, შეურთავ > შოურთავ (ხშირად პროცესი გრძელდება: **ოუ** > **უუ** > **უ**: შუუბერო > შუბერო, შურთავ > შურთავ)...

**აი**, **ოი** > **ეი/ეე**: პროცესს ვერ აბრკოლებს ზმნისწინისეული ან აფიქსისეული თანხმოვნები: დაიზარდნენ > დეიზარდნეს, გამიყვანე > გემიყვანე...

ტაოურში ხშირია **ლებუო** ფორმის გამოყენება, რომელიც მიღებულია ლობიო > ლებიო > ლებუო ფონეტიკური გადასვლებით.

**დისიმილაცია:**

**ეა > ია > უა:** შეახვევთ > შუახვევთ... **ეო > აო:** შემოგითვლი > შამოგითვლი... **აა > ეა:** შაქარი > შექარი... **აა > ია:** გადავჭირპიდით > გიდავჭირპიდით, გადაადგოს > გიდაადგოს... **ოე > უე:** მოველი > მუელ... **ოა > უა:** მოახვედრე > მუახვედრე... **აა > ია > უა:** მამამთილი > მუამთილი; გავანიაებდით > გუანიაებდით, დავასხამთ > დუასხამთ, დავახოვთ > დუახოვთ...

ტაოურში არ დაგვიდასტურებია **აე > ეე > იე** გადასვლა (თმაები > თმეები > თმიები...); აქ პროცესი **აე-ზე** სრულდება: ბაღანაები.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ტაოურ დიალექტში დადასტურებული ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგადაა მიღებული, ძირითადად, მსგავსია სხვა ქართველური დიალექტების მონაცემებისა; ზოგჯერ გვხვდება მხოლოდ ტაოურისათვის დამახასიათებელი ფორმებიც.

**მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ა მ ე** (ქუთაისი)

**იმერხველთა მეტყველების ზოგიერთი დეტალი (მამია ფაღავას წიგნის „შავშური ჩანაწერები“ მიხედვით)**

1. კლარჯეთი ისტორიული ზემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა, გაშლილი მდინარე ჭოროხის აუზის შუა წელის სამხრეთ-დასავლეთში და მოიცავდა ყოფილი ართვინის „ოკრუგს“. კლარჯეთის შემადგენლობაშია თვით კლარჯეთი, ამ სახელის ვიწრო მნიშვნელობით. საერთოდ კი იგი მოიცავდა შავშეთს, იმერხევს, ნიგალისხევსა და აჭარაში დაცული საისტორიო წყაროების მიხედვით, კლარჯეთი არის „არსიანითგან ზღუამდე“.

კლარჯეთის სოფლები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიხსნულია მაღალი მთებითა და კლდოვანი ადგილებით. ასეთი გე-



ოგრაფიული განლაგება საუკუნეთა განმავლობაში აყალიბებდა ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ტომობრივ დასახლებებს, როგორცაა მაჭახელი (მაჭიხელი, ისტორიული მიჭიხიანი), იმერხევი, შავშეთი, იგალი//ლიგანი (ლივანი) და საკუთრივ კლარჯეთი.

ქართულენოვანი მოსახლეობა ძირითადად იმერხევეში ცხოვრობს, რომელიც შედის შავშეთის რაიონში. შავშეთის სოფლების დიდ ნაწილში წარმოშობით ქართველები ცხოვრობენ, უმრავლეს მათგანს ქართული ენა დავიწყებული აქვს. თუმცა „ახსოვთ, რომ წინაპრები გურჯები ჰყავდათ“ (გ. ყაზბეგი).

იმერხევის სოფლებია: შერთული, შარაბული, სინკოთი, ჩაქველთა, დასამობი, ბრილაგარა, დავლათი, ოთკლდე, სვირევანი, ჯვარისხევი, ჩიხის ხევი (რომელიც იყოფა უზნებად: ბარები, დუდუბეთი, ზიბიეთი, კოკვერეთი), ბაზგირეთი, დიდხანი, ზიოს, ხევწვრილი, დაბა, უბე, ჩიხორი, თეთრაგეთი, არდიასწმინდა (ნ. მარი – ანდრიაწმინა), ლიბანი, წყალსიმერი, შოლტიხევი, ბზათა, წეთილეთი, ხოხლევი, ზაქიეთი, მაჩხატეთი, მანატბა, აგარა, იფხრევილი, ქოქლიეთი, დიობანი, ივეთი, გამეშეთი, დავითეთი, კარნუხი (ფარამუხი), დიდმერე, რიოლეთი (ნიოლეთი), გოგიეთი, გომთა, ჯვარები, ჩიხვტა.

იმერხევის სოფლები გაშლილია მდინარე ფაფართის ორივე სანაპიროზე, უმთავრესად მაღალი მთების (აჭარა-შავშეთის მთარეხილის) სამხრეთ კალთებზე. გ. ყაზბეგის ცნობით, „აქაურები ქართველები არიან სუფთა ქართველური ჯიშისა, სახლში ლაპარაკობენ საქართველოს მთიანეთის მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტით, როგორც კავკასიონის მთიულეთლები. ბევრი სიტყვა გვხვდება ხევსურული დიალექტიდან“.

თუ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებს გადავხედავთ, შავშეთ-კლარჯეთის ზოგიერთი ადგილის ბუნება კარგადაა აღწერილი (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

2. იმერხეველთა მეტყველებაში, როგორც მ. ფადავას ჩანაწერებში იკვეთება, იოტა დამოუკიდებელ ფონემას არ წარმოადგენს. იგი აქტიურად რეალიზდება სხვადასხვა პოზიციასში და გვხვდება, როგორც დადმავალი დიფთონგის ელემენტი:

იყო მოსული, იმან მითხრა, რა სოჲადი ხარო? (გვ. 104)

მე ყურანის ეზბერაჲ ვიცი (გვ. 102)

ეს სახლიც მისი ტაძას სახლია (გვ.103)

რამ ვაილაპარაკო არ ვიცი კი (გვ. 104)

ერთ იმედან და სამასი მილიონი ფარა'და გედემეხადა, და ასოთხი ციხე'და მომეხადა (გვ.104).

ისევე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, იმერ-ხეველთა მეტყველებაშიც დასტურდება უმარცვლო უ. იგი კბილ-ბაგისმიერი ვ-ს ხმოვანვარიანტია:

ზემოთ ლეწილ გჭაქ.

ახლა ჩტენ იქიდამ კი არ გამეეშვა.

წინედან ძველებურ თაჭრობის ხიდია.

საქტარის ადგილები.

ვერაფერი ვერ მიყტეს (გვ. 103-109)

ქილისაც დანგრევლა. იმათვინ ქართველებისთჳნ ეს ადგილი წმინდა არი, იციან (გვ.110).

აქტიურად გამოიყენება ხარ-ი ბგერა.

იქედამ მოსულა, სამი ეშხია, ქალი, ზალი, ბაჯალა წუუს-ხმიან (გვ. 105).

ჩემი ბაჯალა არი, იმა ფენა იცის (გვ. 105)

აქ არიან ქართველები იმერჯევში (გვ. 105)

ასე დადებინ ჳე ჰარზე (გვ. 109)

ყარტოფილი გაჯმა (გვ. 109)

ჩვენ იშთა საკმამობელი არა ჰყავსო (გვ. 104)

ბზესა ჩვენ ჳარებით გავლეწევდით. იმ კვერში შეაბემდი ჳარებსა. ჳარ ვალარ ვინახავთ (გვ.113).

როგორც ჩანს, დამახასიათებელი არ უნდა იყოს, თუმცა იხმარება გრძელი ხმოვნები:

კი, აჰჰ

ჳეჳებიდამ ჳსე

ჰ, მე ძილა ვიტირე.

იმა იშთა თჳყვილი არ ვიცი იშთა.

განსაკუთრებულად ხშირია ფონეტიკური პროცესები: ასი-მილაცია და დისიმილაცია.

ფუძისეული ე ავიწროებს მის წინამავალ უფრო ფართო ა ხმოვანს და სრულიად იმსგავსებს მას:

იმათდამ **დევსწავლე**

ბაზრობაზე **დევჭირე**

თოვლი ჩამეიტანეს

პემ ქართულა დეისწავლეთ

ბითთევი მეეპარეს

ყველამფერი წეილე

პური წუღე (ასიმილაციის შემთხვევები (გვ. 105-112)

ჯარსა და ხპოსა ერთ დ გამოვლადრე კისერი

კალონის დარღოვა არ იქნება ესა?

ახლა სამივე ერთად ვერ გაგიწევს ისეთ ძმობას, რავალსაც

– მე

ჰავა დ ვერაფელი კარქია (დისიმილაციის შემთხვევები გვ. 112-123).

3. საინტერესოა გარკვეული მოვლენები მორფოლოგიის თვალსაზრისით. სახელობითი ბრუნვის ნიშნის ხმარების მხრივ ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ერთნაირ სურათს არ გვიჩვენებს. ზოგ შემთხვევაში ასეთი სახელები ამ ბრუნვაში უნიშნოდ არის წარმოდგენილი, ზოგში კი ი-ს დაირთავენ, როგორცაა დედეი, ანაი.

შვიდი კვამლი ვართ ზველებური თაჭრობა.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები ხშირად გვხვდება:

ჩემ ბიჭებ უთხარ

ჩემ შვილებ მივსცე?

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია:

იმ ქალმა ბილა იტირა

იციან ჩემმა ბიჭებმა

მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

ჩემ დედ-მამამა

ჩონ ბიჭებმა

მრავლობითის მაწარმოებლად წარმოდგენილია ებ. ე ბოლოკიდურთან სახელებზე -ებ სუფიქსის დართვისას ორი ე იყრის თავს:

პოლისიეებმა ემეი გატეხეს.

გვხვდება ნარიან მრავლობითში დასმული სახელების რიცხვში შეთანხმება:

ბიჭები არიან შდრ ორი შვილი მყავს.  
გვაქვს -ზე თანდებულის ხმარების შემთხვევები:  
პასპორტზე, ფულზე, რამეზე  
ქურდობაზე დევჭირე  
ჩვენებურ თავრობაზე  
მოქმედებითში -დან თანდებულის ნაცვლად შეგვხვდა -  
დამ ვარიანტი:

ბზათიდამ ვარ გამოთხოვლი

გავაბანებთ აქედამ

ფეხებიდამ ასე მოკოჭილია.

ქართველებიდამ ეშინიათ, მაგრები არიან (გვ. 107).

მიუხედავად იმისა, რომ იმერხეველთა მეტყველებაში არსებითი განსხვავება სხვა ქართული ენის დიალექტებთან არ ფიქსირდება, მათ მეტყველებაზე დიდია თურქულის გავლენა.

4. დიდი მადლობა პროფესორ მამია ფაღვას დაუღლეელი შრომისათვის. გადარჩეს, შთამომავლობას შემოუნახოს, შეისწავლოს თურქეთის საქართველოს ქართველთა მეტყველება.

## **ნიკოლოზ ოთინაშვილი (გორი)**

### **ქსნის ხეობის ანთროპონიმები წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული ჩანაწერების მიხედვით**

ისტორიული ქსნის საერისთავო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა მთისა და ბარის ზოლში. მთელი რიგი მოვლენების, მათ შორის, მიგრაციის შედეგად სოფლები დაიცალა და გვარებიც გადაშენდა, ბევრი სოფლის სახელი და გვარიც შეცვლილია, რასაც გამოვლენა და შესწავლა სჭირდება. ამჯერად წარმოვადგენთ ანთროპონიმებს, რომლებიც დადასტურებულია „ქსნის ხეობის 1774-81 წლების სტატისტიკურ აღწერებში“. აღწერებში გვხვდება გვარების სხვადასხვა წარმოება, რომლებმაც გავლენა მოახდინეს შტოგვართა წარმოებაზეც და ისინი დიალექტური ნაირსახეობებია.

მეცხრამეტე საუკუნიდან მშვიდობიან ცხოვრებაზე გასვლის შემდეგ მთაში მოსახლეობა გვარების მიხედვით სახლდებოდა და ასე გაჩნდა მონოგამური დასახლებები.

ცხრაზმის ხეობაზე სოფელ დაბაკნეთში ადრიდანვე სახლობდა ბაშარულების გვარი და შემდგომ სოფელსაც ბაშართი გვარის მიხედვით დაერქვა. ბაშარულის თავდაპირველი გვარი იყო წიკლაური, გადმოცემით ორი ძმა ყოფილა ბაშარა და შიუკა, რომლებიც ცალ-ცალკე ხეობაში დასახლდნენ და მივიღეთ სოფლები ბაშართი და შიუკაანი. მათი შტოგვარებია: ელიზბარაანი, მოურავიანი, გოდერძანი, ნადირაანი, თედორეანი, გარსიანი.

ზოგადად გვარის საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია -**ან** სუფიქსი, რომელიც ფუძეზე დართვისას აღნიშნავს კრებითობას, ხოლო-თ-ს დამატებით ვიღებთ კუთვნილებას: მოურავიანთ ამირანი.

-**ურ** სუფიქსიდან გვარებში შენარჩუნებულია -**ნ** სუფიქსი: წიკატაურნი, დავითურნი, კაიშაურნი.

წარმოვადგენთ თეხალაშვილის, ჩიტისვილის, ნარიმანიძის, ხადელაშვილის, ბასილაშვილის, ბერიანიძის, ყველაშვილის, პარსალიშვილის, წიკატაურის, ფსუტურის, შერმადინის, ელოშვილისა და სხვა გვარების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

## **რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკის კვლევის ზოგი საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში**

ქართული ენის დიალექტებში დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) წარმომავლობის ლექსიკა. როგორც ცნობილია, ენათა კონტაქტების შედეგები ყველაზე მეტად ლექსიკის სფეროში ვლინდება.

ჩვენ ხელთ არსებული დიალექტური ლექსიკონების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ქართული ენის დიალექტებში გვხვდება არაბულ-სპარსული, თურქული ლექსიკა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უცვლელადაა შემოსული და წარმოდგენილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილის სახით. მაგ. **ხალახანა** (შდრ. *bālāxāne* „ზედა ოთახი სახლში“), **დასტამალ**-ი (შდრ. სპარსული *dastmāl* „თავმალი, მოსახვევი; ხელსახოცი“; „ჩვარი, რომლითაც ხელს, პირს იწმენდენ“); **დასტანდაზ**-ი (შდრ. სპ. *dastandāz* „ღრანტე, ოდროჩოდრო“; „სახელური, მოაჯირი“; „საიდაყვე, სამკლავური“ (ხელის ჩამოსაყრდნობი სავარძელზე), **დუშმან**-ი (შდრ. სპარს. *došman* „მტერი“), **თემიზ**-ი (შდრ. არაბ. *tamiz* „სუფთა“, „ფაქიზი“), **ჰერს**-ი (შდრ. არაბ. *hers* „ბრაზი“, „რისხვა“);

დიალექტებში აღმოსავლური ლექსიკა გვხვდება ზმნებშიც. დიდ ყურადღებას იმსახურებს უცხო (სპარსულ, თურქულ) რთულ ზმნათა გავლენით მიღებული აღწერითი წარმოების ზმნები. ამ ზმნათა სახელადი ნაწილი უცხო ენიდანაა ნასესხები, ხოლო ზმნა თარგმნილია. ამ ტიპის ზმნები დიდი რაოდენობით გვხვდება ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში (მაგ. **ზაჰმათს ეზიდების** = სპარს. *zahmat kešidan* „შრომა“, „მუშაობა“, სპ. *zahmat* „შრომა“, „მუშაობა“, „ძალა“, „ღონე“, სპ. *kešidan* „გაწევა“, „გაქაჩვა“). უცხოენოვანი გარემოს გავლენით შექმნილი აღწერითი ზმნები გვხვდება ჩვენებურების ქართულშიც, თუმცა შედარებით იშვიათად (მაგ.: **ტელეფონი მოსწია** „ტელეფონით დარეკა“, **ტელეფონი დუჟკრა** „ტელეფონით დაელაპარაკა“);

აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვები გვხვდება, აგრეთვე, ორგანული წარმოების ზმნებშიც. ამ ზმნათა ძირები ნასესხები სიტყვებია, თუმცა მოქცეულია ორგანული წარმოების ზმნის ყალიბში (მაგ. ჩვენებ. ქართ. **აფაქებს** „ასუფთავებს“, „წმენდს“, „კარგავს“ (შდრ. სპარს. *pak* „სუფთა“, „წმინდა“); **დააქორებს** „დააბრმავებს“ (შდრ. სპარს. *kur* „ბრმა“).

## იზოლდა რუსაძე (ქუთაისი)

### ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შესავსებად

შესრულდა 100 წელი ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის, ლეჩხუმური დიალექტის პირველი მკვლევრის, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მიხეილ ალავიძის დაბადებიდან. პროფ. მ. ალავიძის მეცნიერული მოღვაწეობა მრავალმხრივაა საინტერესო. მან შთამომავლობას ბევრი საყურადღებო მეცნიერული სტატია დაუტოვა.

პროფ. მ. ალავიძის მეცნიერულ ნაღვაწში გვხვდება რამდენიმე ისეთი სიტყვის განმარტება, რომლებიც საერთოდ არ არის შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ანდა შტანილია, მაგრამ არასრულყოფილად ან კიდევ მართლწერა არასწორადაა წარმოდგენილი.

ჯერ კიდევ 1968 წლის 21 დეკემბერს გაზეთ „ქუთაისში“ N 246 (10762) მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც მითითებულია, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილი არ არის ქართული ღვინის ისეთი ცნობილი სახელწოდება, როგორცაა „ქინძმარაული“ (იხ. ტ. მე-7, 1962). ამ ლექსიკური ერთულის ეტიმოლოგიური ანალიზის შემდეგ მეცნიერი აკეთებს დასკვნას: „ქინძმარაული“ ქართული ენისათვის დამახასიათებელი სწორი თხზული სახელწოდებაა. იგი „ქინძმორელს“ უდრის, ყვარლის ტერიტორიაზე მდებარე ადგილსა და იქ მოსულ ღვინოსაც ჰქვია. ხმარებაში განმტკიცებული ეს დიალექტიზმი შეცვლას არ საჭიროებს და ყოველთვის ასე უნდა დავიცვათ.

დასანანია, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ქინძმარაული“ არ მოიპოვება. აქ კი მის ბუდეში ასე უნდა იკითხებოდეს: შავი ყურძნის ერთ-ერთი ჯიშის (საფერავის) საუკეთესო ღვინო. მოდის მხოლოდ ყვარელში (კახეთი)“.

არც „უსახელოური“ მოიპოვება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (იხ. ტ. მე-6, 1960), თუმცა ღვინის, შამპანურისა და კონიაკის საერთაშორისო გამოფენებსა და დეგუსტაციებზე ბევრჯერ გაიმარჯვა „უსახელოურმა“. ამ ღვინოს მრავალგზის მიენიჭა ოქროს მედალი. მიუხედავად იმისა, რომ განმარტებით ლექსიკონში სათანადოდ არის წარმოდგენილი მევენახეობა-მეღვინეობის სხვა

უამრავი ტერმინი, გამორჩენილია საყოველთაოდ ცნობილი ტერმინები: მტევანდიდი, მუჯურეთული, ნაკუთნოური, უსახელოური, ქინძმარაული.

არც ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში გვხვდება „უსახელოური და ქინძმარაული“ – წერს მ. ალავიძე 1969 წლის 6 ივნისს გაზეთ „ქუთაისში“, სადაც საბოლოოდ ამ ჯიშის ყურძნის სახელწოდების ეტიმოლოგიის შემდეგ ასეთ დასკვნას ვკითხულობთ: „სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან მოპოვებული ცნობების მიხედვით, განმარტებით ლექსიკონში თავის დროზე უნდა შეეტანათ ლექსიკური ერთული „უსახელოური“ და მის ბუდეში ამოგვეკითხა ამგვარი მოკლე ახსნაც: ა. ლეჩხუმში (ოყურეში, ისუნდერი, ზუბი) გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიში. ყურძენს მრგვალი მარცვალი და შეკრული მტევანი აქვს. მტევანს აქვს ერთი ან ორი მხარი (კუფხალი), უმთავრესად კი ერთი მხარი. ბ. ამ ყურძნის საუკეთესო ღვინო...“ 1975 წლის 15 მაისს გაზეთ „ქუთაისში“ პროფ. მ. ალავიძე ყურადღებას ამახვილებს ხალხური წარმოშობის ნეოლოგიზმზე „შინმოუსვლელი“. მიუთითებს, რომ ეს სიტყვა ერთ ცნებას გამოხატავს და პრესაში უდევსოდ იწერება. ეს სიტყვა ქეგლ-ში გამორჩენილო იყო, მაგრამ შეიტანეს ქეგლ-ის ერთტომეულში 1968 წელს, თუმცა აქ სიტყვის დაწერილობა არასწორადაა წარმოდგენილი. წერია ცალ-ცალკე. საჭიროა გასწორდეს სიტყვის დაწერილობა და ამასთანავე განმარტებაც, რომელიც ამ სიტყვას ახლავს ერთტომეულში. „სიტყვის ბუდეში სრულად ასე უნდა იკითხებოდეს: „შინმოუსვლელი“ – ადამიანი, ვინც შინ ვერ მისულა – სხვაგან, შორს დაღუპული (მკვდარი) ან გადაკარგული (ცოცხალი). დოკუმენტაციაში შევა ომამდელი და ომისშემდგომი ფრაზეოლოგიური მასალა...“

1980 წლის 6 ნოემბერს პროფ. მ. ალავიძე გაზეთ „ქუთაისში“ (N 215) წერს, რომ განმარტებითი ლექსიკონის მე-5 ტომში 1958 წელს სიტყვა „მერანის“ ახსნის დროს დამოწმებულია ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ფრაზები, ხოლო შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი ნახსენები არც არიან. დიალექტური მერანი შოთა რუსთაველმა მოიპოვა და ის ცხადყოფს რუსთაველის ენის ხალხურობას. ამიტომ აქ რუსთაველის უგულვლყოფა დაუშვებელია.

პროფ. მიხეილ ალავიძის ამ გამოკვლევების გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. დღეს ამ მეცნიერის დაბადები-



დან 100 წლისთავზე, ახლა, როცა განმეორებით გამოდის ქეგლი შევსებული სახით, შესაძლებლობა არის, გათვალისწინებულ იქნეს მ. ალავიძის შენიშვნები.

## **ნ ა ნ ა ს ა ა კ ა ძ ე** (თბილისი)

### **სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინააარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები (ქვემოქართლური კილოკავის მიხედვით)**

ქვემოქართლურის ლექსიკაში შემონახული მრავალი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობის მხრივ საერთოა სხვა დიალექტების ლექსიკურ ერთეულებთან. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ფონეტიკური სახესხვაობით არის დამოწმებული და მიჩნეულია სხვა კუთხის კუთვნილებად, სინამდვილეში კი იმავე მნიშვნელობით ქვემოქართლურშიც გვხვდება. მათი გამოვლენა-აღნუსხვა შესაძლებლობას მოგვცემს ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით ზუსტად განვსაზღვროთ დიალექტების გავრცელების არეალები და შესაბამისად მოვახდინოთ დიალექტური ლექსიკის კლასიფიცირება და ლოკალიზაცია. სხვა დიალექტების ლექსიკურ ერთეულებთან ფორმითა და შინააარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები, ჩანს, საერთოენობრივი ლექსიკის არქაული ფენიდან მომდინარეობს, როდესაც იგი მონოლითური იყო და არ იყო დაწყებული დიალექტური დიფერენციაციის პროცესი. ამ მხრივ აღსანიშნავია: **ალავის კაბა** – პატარძლის კაბა; **ამგალები** – მთაში მწყემსების შეამხანაგება; **ანეული** – ადრე გაზაფხულზე მოხნული; **ბადია** – რძის ჭურჭელი; **ბუზურა** – გარეული ფუტკარი; **ბურდო** – ჩალა; **ბუჩო** – ნაგავი, ჩალაბულა; **გერში** – ნადირის მიერ შეჭმული საქონლის ნარჩენი; **კორდი** – მოუხნავი მიწა; **ლიხი** – გამხმარი ბალახი; **კრიახი** – ხრიოკი ადგილი; **მანანა** – ფუტკრის მიერ ყვავილებისგან აღებული მასა ბლარტების გამოსაკვებად; **მემთე** – მთაში წასული ქალი; **მესვეური**, **მოში**, **ნაზაგი**, **ნაგერალა**, **ნადი**, **ნაკვირწლი**, **ნამზდლო**, **ნაცვალგარდი**, **ნადინტალი**, **ნემსუ-**

**ლა//ნაჩიფი//ალაო, ოდოში, ყიეო, ყიჟმატი, სათვალე, საწმინდარი, სირისკუდი, ხადურა, ხირხიტი....**

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება განხილული ჩვენ მიერ ჩაწერილი ქვემოქართლური მასალის საფუძველზე სხვა დიალექტებთან ფორმითა და შინაარსით იგივეობრივი სიტყვები და გამოთქმები.

**რ უ ს უ დ ა ნ ს ა ლ ი ნ ა მ ე** (ქუთაისი)

**მ ა ი ა კ ი კ ვ ა მ ე** (ბათუმი)

**ხ ა ტ ო ვ ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ა - თ ქ მ ა ნ ი ფ ა ზ ა რ ი ს ჰ ა მ ი დ ი ე ს ქ ა რ თ უ ლ შ ი**

ქობულეთელ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების რამდენიმე ოჯახი სახლობს რიზეს რეგიონში, კერძოდ, ფაზარის რაიონის სოფელ ჰამიდიეში. ისინი ქობულეთურ კილოზე მეტყველებენ. ჰამიდიე ზოგიერთი მათგანისთვის მუდმივი საცხოვრისია, ზოგიერთს კი თურქეთის დიდი ქალაქები (სტამბოლი, ანკარა, ბურსა...) აურჩევია და მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ სოფელს. უფროსი თაობა დღემდე სათუთად ინახავს წინაპართა ენას, ქართულ ტრადიციებს, კულტურას, რაც ნაკლებად ჩანს ან თითქმის დაკარგულია საშუალო და უმცროს თაობაში.

უფროსი თაობის ჰამიდიელთა მეტყველება მდიდარია ხატოვანი სიტყვა-თქმებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, რომელთაგან ზოგიერთი უცხოა ქართული სალექსიკონო სივრცისთვის. ეს ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც, საზოგადოდ, ყველაზე მეტად არის დაცული უცხოენოვანი გავლენისაგან და რომელშიც ყველაზე მეტად არის შენახული ენა. ამგვარი სიტყვა-თქმების გავალისწინების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია ჰამიდიელთა ქართულის შესწავლა.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მყარ გამოთქმებში განივთებულა წინაპართა ენა და ცნობიერება. მათი სიტყვა და ფრაზა ზედმიწევნით მოქნილი და ექსპრესიულია. ასეთია ფრაზეოლოგიური შესიტყვებები: **დათლილი კაცები, მოყალიბებული სახლები, ხატის მტეხელი ზავში, ჭკვაშეფუშული ქალი...** გვხვდება როგორც

ქართულში საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული, ისე სიტუაციური ფრაზები და გამოთქმები, რომლებშიც გამოხატულია სხვადასხვა სემანტიკა: ა) დაკარგვა-დავიწყება: *ჰამიეთი დაბერდა და ტვინი გაფრინდა; თურქულ სკოლაში ვისწავლე, მარა ქართული არ დაგვარქე; ალა-ალაჰ, სა დემეკარგა ეს სიტყვა;* ბ) მეტყველების სირთულე: *მეჰმედი გურჯიჯე* (თურქ. Gürcüğe – ქართული) *ღეჭავს...* გ) საცხოვრისის აგება-აღდგენა-მოწესრიგება: *ჰამიდიეში ქართველები მოსულები არიან. გააკეთილშობილეს აქაურობა, არხები გეიყვანეს, ტყეები გაკაფეს; ქართველებმა სახლები გაასწორეს და აქ დაჟდენ; ეს სახლი მე და ჩემმა ქმარმა ავაშენეთ, მე მოვ(რ)თე, ყველაფერი ისტამბულიდან მოვზიდე...* დ) საცხოვრისის მოშლა-განადგურება: *მე არ ვყოფილიყავ, აქოურობა წეიქეოდა... არ მინდა წახთვის აქოურობა...* ე) ტრადიციები, ადათ-წესები: *ახალ წელზე ფერხვა ვიცოდით. მფერხავი მევლოდა. იმის ფეხი დეითლებოდა; ბაირამმა* (თურქ. Bayram – დღესასწაული) *დეილია – საჭმელმაც დეილია;* ვ) გულისწყვეტა-გაბრაზება: *ყაურმა მიაჭამე, მემრე ხათ(რ)ი დაგრჩება; რა ვენა, გადამრიეს ამ იარიჯებმა* (თურქ. Yardimci – დამხმარე), *დავრჩი ამ ბეჩებში. თუ ბეჩი ხარ, კაია. კუჭით ვსკდები; ზოგჯერ კუჭი მისწობს...* ზ) დასვენება, მოსულიერება, უზრუნველად ყოფნა: *ისტამბულში დიდი სიცხე იყო. მემრე სუადამ თქვა: წევდეთ, სული მოვითვათო და აქ ჩამოვედით; ახლანდელებმა შეფერილად არიან, ფულით კითხულობენ...* თ) გარდაცვალება: *სახლის დირედი* (თურქ. Direk – ბოძი) *წეიქვა; თავი გეითავა, რათ უნდა მაი ქონება; მისი თავი მან გეითავა, თავი წეიხთინა...*

ჰამიდიეს ქართულში შედარებით ნაკლებად დასტურდება თურქულის გავლენით მიღებული ფრაზები. ერთ-ერთი ასეთია *ქუსურა ბაქმაზე არ შემხედოთ*, რომელიც თურქულში გავრცელებული მობოდიშების გამომხატველი გამოთქმის **Kusura bakmain!** (ქართ. ნაკლი არ დამინახოთ!) კალკირებული ვარიანტია.

მოხსენებაში ფაზარის ჰამიდიეს ქართულში დადასტურებული მასალა გაანალიზებული იქნება არა მხოლოდ თურქეთში არსებული სამხრული კილოების, არამედ საერთოქართული ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით. ჰამიდიელ ქართველთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი მყარი გამოთქმები უთუოდ უნდა აისახოს ქართულ სალექსიკონო სივრცეში.

## მედეა საღლიანი (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### ფონოსემანტიკური მოდელების ფონემური სტრუქტურა სვანური ენის დიალექტურ მონაცემებზე დაყრდნობით

#### I. სვანური ენის კონსონანტური მოდელები და მათი აგების პრინციპები

სვანური ენის ფონოსემანტიკური მოდელების აგებაში მონაწილეობს ყველა სერიისა და რიგის კონსონანტი. სვანურშიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მჟღერი, ფშვინვიერი და გლოტალიზებული, ასევე სისინა და შიშინა თანხმოვნების მონაცვლეობა ქმნის ბგერწერით კონებს. ხშირად ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მეორე ნაწილში თავკიდური თანხმოვნის მონაცვლედ გვევლინება ბაგისმიერი ბგერები (**ბ - ბ, გ - გ, დ - დ, ზ - ზ, თ - თ, კ - კ, პ - პ, ჟ - ჟ, ტ - ტ, ფ - ფ, ღ - ღ, ყ - ყ, შ - შ, ჩ - ჩ, ც - ც, ხ - ხ**), ხშირ შემთხვევაში კი პროგრესულ დისიმილაციასთანაც გვაქვს საქმე (**თ - თ > თ - ფ, კ - კ > კ - პ, ყ - ყ > ყ - ჭ, ბ - ბ > ბ - დ, გ - გ > გ - ჰ, ფ - ფ > ფ - თ, ჟ - ჟ > ჟ - ყ...**). გვხვდება, ასევე, მარცვლის შეცვლით გაორკეცების შემთხვევები (**თ - თხ, ჩ - ჩხ, ც - ცხ, წ - წკ, ჯ - ჯდ...**)...

ხმაბადვით ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი იწარმოება უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მიღებულ გაორმარცვლიანებულ ფუძეებზე **-უნ/-უნ, -გნ/-გნ** და **-ინ/-ინ** სუფიქსთა დართვით, რომლებიც ფონემური შედგენილობის მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

როდესაც ანლაუტში თითო თანხმოვანია, ეს თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი (**ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ, ჭ, კ...**), მათ შორის ზოგი სონორიც კი. ინლაუტში კი ამ შემთხვევაში ორწევრა ან სამწევრა მიმდევრობები გვხვდება, რომელთა შედგენილობა ასეთია:

ორწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტი ყველგან სონორია, მეორე კომპონენტად კი ჩქამიერი თანხმოვნები დასტურდება (**რბ, რდ, რტ, რმ, რკ, რჰ, რჩ, რგ, რქ...**), იშვიათად სონორი + სონორი (**რმ**): **ბერბგნ, გურბუნ, ღურდუნ, ფგრდგნ, ცგრდინ, ტგრტგნ, ბგრტგნ, ღურმუნ, კურკუნ, ყგრჰგნ, ყურჩუნ, ბურგუნ, ჰგრჰგნ...**

სამწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტიც მუდამ სონორია + ჩქამიერი + ჩქამიერი თანხმოვნები (**რთქ, რდგ, რთხ, რტყ, რუდ, რსგ, რსდ, რჩხ, რგხ, რწკ, რჭყ, რჭკ, ლჯგ**): **ბგრთქგნ, დგრდგგნ, თგრთხგნ, მგრტყგნ, ჟგრუდგნ, ფურსდუნ, ფგრჩხგნ, ფგრცხგნ, ღგრწკგნ, ჰგრჭყგნ, ჰგრჭკგნ, ჯგლჯგნ...**

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანლაუტში ორწევრა ჯგუფი დასტურდება – ჩქამიერი + ჩქამიერი, ინლაუტში კი ამ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისების გარდა (შდრ. **რსგ – ტყურსგუნ**) მუდამ ორწევრა მიმდევრობები გვხვდება – ჩქამიერი + ჩქამიერი (**დგ, ტყ, შკ, ჩხ, ძგ, წყ...**): **დგურბუნ, ტყურფუნ, შკურფუნ, ჩხგრკგნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, წყგრგგნ...**

-უნ/-უნ და -გნ/-ნ სეგმენტური რთული სტრუქტურის ფუძეები (**შკურფუნ, ძგურბუნ, წყგრგგნ...**), რომლებიც სავარაუდოდ რედუქციაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, **სიტყვაწარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები** და შესაბამისად რედუქციაციაც დაჩრდილულია; ინლაუტში ორწევრა და სამწევრა მიმდევრობების გამოყოფაც სწორედ ამის გათვალისწინებით მოხდა.

როგორც დიდძალი ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა აჩვენა, სამწევრა SCC მოდელის მიმდევრობებს სვანურში აშკარად სჭარბობს ორწევრა SC/CC მოდელის მიმდევრობები. რაც შეეხება ოთხწევრა მიმდევრობებს, ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება აღნიშნულ მასალაში შემდეგი მიმდევრობით – SCCS. ამგვარ მიმდევრობებში ანლაუტშიც და აუსლაუტშიც თითქმის ყოველთვის დასტურდება სონორები, პირველ წევრად შესაძლოა იყოს **მ, ნ, რ** სონორები, მეოთხე წევრად კი – **ჭ** და **ღ**. მაგ.: ლიშუნშხაჟე „ქსუტუნი“, ლირტყაჟი „ყლაპვა“, ლიმინჩხლაჟი „დამსხვრევა“ და ა. შ.

სვანურში (ფონოსემანტიკურ მასალაში) A და B რიგის თითქმის ყველა თანხმოვანთკომპლექსი გამოვლინდა როგორც **უსუფიქსო-მარტივი (ე. წ. შიშველი)** ფუძეების ანლაუტში, ისე **-უნ/-უნ** და **გნ/გნ** სუფიქსიანი ფუძეებში. აღნიშნული ორწევრა კომპლექსები კი შეიცავენ შემდეგ დიფერენციალურ ნიშანთა კომბინაციებს: **მედერი + ნაპრალოვანი, ფშინვიერი + ნაპრალოვანი, მკვეთრი + ფარინგალური, მედერი + ნაპრალოვანი, ხშული + ნაპრალოვანი, ხშული + ფარინგალური, მედერი + ხშული, ფშინვიერი + ხშული, მკვეთრი + ხშული, მედერი + ხშული, ფშინვიერი + ხშული, ხშული + ხშული,**

**ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი, ნაპრალოვანი + ხშული**, თუმცა ამა თუ იმ დიალექტში ერთეული შემთხვევები რეალიზდება.

სვანურში ფონოსემანტიკური ფუძეების ანლაუტში ასევე დასტურდება სონორთა შემცველი შემდეგი ორწევრა კომპლექსები: **ღრ: ღრიპ, ღუ: ღუიპ, ყლ: ყლიპ, ყლიფ, ყლიტ, გლ: გლიფ, კლ: კლიპ, კლიქ, ყუ: ყუიფ, ქლ: ქლიფ, წრ: წრუფ, ხრ: ხრუკუ, კლ: კლიფ, ზღ: ზღუიპ, ფლ: ფლიფ, ყუ: ყუიფ, ჩრ: ჩრით, ჩლ: ჩლითხ, ჭუ: ჭუიხუ, ჯრ: ჯრიხ, ბრ: ბრახ, ბრიხ, დრ: დრიხ...** გარდა ორწევრა მიმდევრობებისა, ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეთა ანლაუტში დადასტურდა სამწევრა მიმდევრობებიც: **ტუტრიმ, ქუტლიზ, ჩხუიფ, ჭკუიპ, ხუტრიფ, ხუტრიპ, ჯგუიხ, დღუღიბ, ტუტრიმ, ღუღიპ, ჭკუიპ** და ა. შ., რომელთა ერთ-ერთი წევრი (ზოგჯერ ორიც) სონორია.

## II. ხმოვნითი ბგერწერა

ძირითად ხმოვანთაგან (ა, ე, ი, ო, უ + გ), როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურ ბგერწერით მოდელეებში /ე/ ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვანი მონაწილეობს. ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში კი გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა: 1. **ო ~ გ | ი ~ ი | ი ~ ა** (მაგ. **ბითქ – ბითქ-ბითქ – ბითქ-ბათქ – ბურთქუნ – ბერთქენ** „ბათქაბუთქი; ხმაური“...) და 2. **უ ~ გ** (მაგ. **თხურბუნ – თხერბუნ** „ხმაურით ჭამა; ხვრეპა“...), რომელთა განაწილება დიალექტური დიფერენციაციის საფუძველია.

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება განხილული სვანურ ფონოსემანტიკურ მასალაში წარმოდგენილი კონსონანტური მოდელეები და ხმოვნითი ბგერწერა.

## ნ ა ნ ა ს უ ლ ა ვ ა (სენაკი)

### ზოგიერთი ფონეტიკური პროცესისათვის სენაკის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიაში

**რედუქცია.** მეგრული ტოპონიმის ანალიზი ცხადყოფს, რომ რედუქციას იწვევს ყველა პრეფიქსი: **ღე-, ნა-//ნო-, ო-, სა-, მა-** და სხვ.; ამასთანავე, რედუცირდება ხუთივე ხმოვანი და ირაციონალური **გ**. პრეფიქსის დართვის შედეგად ფუძის თავკიდურ ან მომდევნო

მარცვალში სუსტდება და ამოვარდება ხმოვანი. რედუქცია მეგრულში დაკავშირებულია თავმარცვლის მახვილთან. პ. ცხადაიას დაკვირვებით, „პრეფიქსული წარმოებისას სიტყვის მთავარი მახვილი პრეფიქსზე გადადის, რაც ადვილებს მომდევნო პირველი ან მეორე მარცვლის ხმოვნის დასუსტებასა და დაკარგვას“ (პ. ცხადაია 2002). ფუძე-გვარში ხმოვნის რედუცირების ფაქტი დასტურდება სენაკის მუნიციპალიტეტის შემდეგ ანთროპოტოპონიმებში: **ბარძემასქუა** → **ლე-ბარძემსქუ-ე**, **ტყებუჩ[ავა]** → **ლე-ტყებჩ-ე**, **ლორთქიფანიძე** → **ლეთქიფანიძე** → **ლეთქიფანიძემ ნოხორი** „ლორთქიფანიძის ნასახლარი“, **ქუჩულორია** → **ლექუჩლორთი/საქუჩლორთი**, **ხარებ[ავა]** → **ლეთხარბე**; **ბარძემასქუა** → **საბარძემსქუო**, **გარუჩავა** → **საგარჩა/მიჯია ტყორი**, **გოგებაშვილი** → **გოგებასქუა** → **საგოგებასქუო**, **გოგინაშვილი** → **გოგინასქუა** → **საგოგინასქუო**, **კალანდარიშვილი** → **კალანდარისქუა** → **საკალანდარსქუომ ჯიხა**, **კემულარია** → **საკემულარო**, **ნაროლშვილი** → **ნაროლსქუა** → **სანარსქუო**, **სანიკიძე** → **სანიგია** → **სანგია** → **სანგიაშ ნოხორი** „სანიკიძის ნასახლარი“, **ქაშიბაძე** → **საქაშიბაძო**, **ქაჩიბაია** → **საქაჩიბაიო**, **საქაჩიბაიოშ ტყა**, **ძიმისეიშვილი** → **ძიმციეიშვილი** → **საძიმციესქუო** „საძიმციეიშვილო“, **ხუბულ[ავა]** → **სახუბლა**; **ოთიფურე** „სათიბარი“ → **ნაოთიფურენი** → **ნათფურენი** „ნასათიბარი“, **ლაბახუა** → **ნალაბახუ** → **ნალბახუ**, **ოზინეხ** „სავენახე“ → **ნაოზინეხუ** → **ნაოზინეხუ** „ნავენახარი“, **სანიკიძე** → **სანიგია** → **სანგია** → **ნასანგუ**, **სამიკიტნო** → **ნასამიკიტანო**, **საანგურო** „სააგურო“ → **ნასაანგურგ** → **ნასანგურგ**, **საყარაულო** → **ნასაყარულგ**, **სილახ[ავა]** (გვარია) → **ნასლახუ**; **ბადილე** „ბეღელი“ → **ნობადლენი**, **ობულე შანი** → **ობლემანი**, **ობირეში** → **ობრეში** „სამღერეთი“, **პურასკია** „პრასი“ → **ობრასკიე//ობრასკია**, **ოტურე** „სატურია“ → **ოტურედალი**: **ოტრედალი**, **ოგოფარე** „მოსავლიანი, ნაყოფიერი“ → **ოგოფარეში** → **ოგოფრეში** → **ოგობრეში**; **არჯევანიძე** → **არჯამანიძე**: **არჯამანიძემ წყუ**, **არჯევანიძემ წყუ** „არჯევანიძის წყარო“; **აფშილავა** → **აფშია**: **აფშიამ წყუ** „აფშილავას წყარო“; **ბასილიკა** (პირსახელია) → **ბასილკა**: **ბასილკამ წყუ** „ბასილკას წყარო“; **ბიბლაია** (გვარია) → **ბიბლა**: **ბიბლამ წყურგილე** „ბიბლაიას წყარო“; **გერასიმე** → **გერასიმემ ნაკარუ** „გერასიმეს ნაკარვალი“; **გუდაუთური** „ის, ვინც ან რაც გუდაუთიდანაა“: **გუდაუთურობა** → **გუდათურობა**, **გუდაუთურონი** → **გუდათურონი**; **ყვანია** → **ყვანიძე**: **ყვანიძემ ნოხორი** „ყვანიას ასულის ნასახლარი“, **სურო** → **სურონა** → **სურნა** „სუროვანი“; **ტობაურა** „ტბაშვი“ → **ტობრა**, **ტყებუჩავა** → **ტყებჩაშ ჭალე** „ტყებუჩავას ჭალა“, **ჩემინ[ავა]** (გვარია) → **ჩემნეფიშ**

**ნოხორი** „ჩემინავების ნასახლარი“, **ჩემნეფიშ წყუ** „ჩემინავების წყარო“; **ჩხეტია** (გვარია) → **ჩხეტიხე**: **ჩხეტხეშ ნაფაცხუ** „ჩხეტიას ასულის ნაფაცხევი“; **ცხემური** „ცხილა“ → **ცხემურიონი**: **ცხემრონი** „ცხილნარი“; **ძიმისეიშვილი** → **ძიმციეშვილი** → **ძიმცესქუა**: → **ძიმცესქუაშ ნოხორი** „ძიმისეიშვილის ნასახლარი“; **ძიმცესქუაშ წყურგილე** „ძიმისეიშვილის წყარო“; **ჭაავა** → **ჭეფიშ ოხვამე** „ჭაავების ეკლესია“; **ჭიჭიკო** (პირსახელია) → **ჭიჭკოშ ნაკარუ** „ჭიჭიკოს ნაკარვალი“; **ჭოლონა** „ჭილნარი“ → **ჭოლნა**, **ჭყონიშჯინჯი** „მუხისძირი“ → **ჭყოიჯინჯი**, **ხაჭაპურიძე** → **ხაჭაპურიძეშ ნაისირუ** „ხაჭაპურიძის ნაისლევი“; **ხუბუნაია** (გვარია) → **ხუბნაიეფიშ ნოხორი** „ხუბუნაიების ნასახლარი“; **ხუტუნა** (ეპონიმი) → **ხუტნათი**, **ჯოჯუა** (გვარია) → **ჯოჯხეშ ჭალე** „ჯოჯუას ასულის ჭალა“; **ჯღანჯღ[ავა]** (გვარია) → **ჯღანჯღეფიშ ნოხორი** „ჯღანჯღაების ნასახლარი“.

საინტერესოა პ. ცხადაიას დაკვირვება რედუქციასთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე: ფუძე-გვარების ნაწილში რედუქცია უნდა მომხდარიყო ამ გვარებით ტოპონიმების წარმოქმნამდე (ცხადაია 1985: 153). ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნას ტოპონიმის წარმოქმნამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ გვარებში: **ტყებჩა**, **გარჩა**, **გოგნასკუა**, **კემლარია**, **სანგია**, **ქაჩბაია**, **ძიმცესქუა**...

**ბგერათა გადასმა (მეტათეზისი)**. სენაკის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ტოპონიმში დადასტურდა ბგერათა გადასმის (მეტათეზისის) ისეთი ფაქტები, როგორიცაა: **სხუნელა/სხულონა** „მსხალნარი“, **ნადანური//რადანული**, **ნოდარბაზენი//ნოდაბარზენი**, **რშიმი//შრიმი**, **შორნობა//შონურობა**, **ორწუბელი//ოწურბელი**, **ორზე//ერზო**, **ოფერწეი//ოფერწიე** (შდრ. ქართ. **მუხნარი//მუხრანი**, **თხუთმეტი//თუთხმეტი**).

**დიფთონგიზაცია**. აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა – დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილება იკვეთება ტოპონიმში – **შოლა/შვალა** „შუალელე“. ცვლილების პირველი საფეხურია **უა**-ს დავიწროება **ო**-დ: **უა** → **ოა** → **ოო**: **შუალა(ო)** → **შოალა(ო)** → **შოლა(ო)**.



**თეა ტეტელოშვილი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **დიალექტიზმები – როგორც გამომსახველობითი საშუალება ანა კალანდაძის ფშაური ციკლის პოეზიაში**

ანას პოეზიის შესახებ საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა, თუმცა ალბათ კიდევ ბევრია საკვლევი მისი მხატვრული სიტყვისა და ენობრივი საუნჯის ბოლომდე ამოსაცნობად. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში ანას ფშაური ციკლის პოეზია მოექცა. კერძოდ, დიალექტიზმები, როგორც პოეტის სათქმელის გადმოცემის საშუალება; ხერხი, რომელსაც შემოქმედი მიმართავს არა მხოლოდ სათქმელის მკითხველამდე უკეთ მისატანად, არამედ ფშავის ბუნებისა და ფშაური ყოფის ზუსტი ასახვისთვისაც.

როგორც ცნობილია, ანა კალანდაძე სამსახურებრივი მიზნებით სტუმრებია ფშავ-ხევსურეთს 1955 წელს და სწორედ ეს ვიზიტი გამხდარა შემოქმედის პოეტური შთაგონების წყარო. „ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული! თავი მთვარეზე მეგონა! ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ასე შევხმინებოდი, მხოლოდ – „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში“ – აღნიშნავს პოეტი. როგორც გამოკვლეულია, ანას ფშაური ციკლის ლექსების მეტრიკისა და რითმების სათავე ხალხური პოეზიაა. ეს მშობლიური ხმიანობა და ფშაური გარემოსა და სულის მისტიკა ანამ მკითხველამდე არაჩვეულებრივი ოსტატობით მოიტანა. ამ ოსტატობის ერთ-ერთი მხარე ენობრივი გამომსახველობის საშუალებებში უნდა ვეძებოთ.

ფშაური ციკლის პოეზიის ენობრივი ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მთის კოლორიტის გადმოცემას პოეტი მრავალფეროვანი ლექსიკითა და ფშაური დიალექტიზმების გამოყენებით ახერხებს. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პოეზიაში ფშავის ლანდშაფტისა თუ ფლორის იმ დოზით და იმგვარად წარმოჩენა, როგორც ეს მგოსანმა მოახერხა, მკითხველს წარმოსახვითი რეალობის გმირად აქცევს და ამ კუთხეს მთელი თავისი თავისებურებებით წარმოადგენინებს. ფშაური ციკლის პოეზიაში სრული სიცხადით წარმოჩნდება **არაგვი, თეთრახევა, კიჩოსწყალი, მარიაშულა, ნაროუ-**

**ლას ხევი, ციხეგორი, ჭაფნაგის გორი, ხიდათგორი, მირინაულის მინდორი, უძილაურთა, ბორბალო, ხოშარა, შუაფხო...; კენკემა, უკადრისა, ვარდკაჭაჭა, სატყრობელა, შალშავი, შალანი, ლილიფარა და სხვ.**

რაც უმთავრესია, პოეტი ფშაური კოლორიტის გადმოსაცემად მოქნილად იყენებს დიალექტურ ლექსიკასა და გრამატიკულ საშუალებებს. პირველის მაგალითებია: **შაგრა, შინში, ლემადე, კოტორი, ჭერხო, საზოინო, თულუხი..**, გრამატიკული საშუალებებიდან კი ფშაური ციკლის პოეზიაში ვხვდებით ფშაური დიალექტისთვის ბუნებრივ ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა, მაგ., სახელობით ბრუნვაში მდგარი თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოდგენა, **ა** ხმოვანზე ფუძედამთავრებული სახელების უკვეცელობა ნათესაობითში, უთანდებულო მიცემითის ფორმების ადგილის გარემოების ფუნქციით გამოყენება, **-ზე** თანდებულის **-ით** სუფიქსით გართულება... ასევე ფშაურში გავრცელებული ზოგი ფონეტიკური პროცესი: **ვა > ო, ბ-ტ > პ-ტ** და სხვ. (აღნიშნული მოვლენები უფრო ვრცლად იქნება განხილული მოხსენებაში).

მასალაზე უბრალო დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ შესანიშნავ პოეტურ უნართან ერთად ანას ფშაურ პოეზიას თავისი წარუშლელი და ღირებული კვალი დააჩნია მისმა ლინგვისტურმა ცოდნამ და ენობრივმა ალლომ, რომელთა დახმარებითაც შესანიშნავად შეძლო არაფშაველმა ანამ ფშავის ბუნებისა და იქაური ყოფის გაცოცხლება.

## **მ ა მ ი ა ფ ა დ ა ვ ა** (ბათუმი)

### **ექსპედიცია მუჰაჯირთა შთამომავლებთან და მაჭახლური კილოკავის დიალექტური სტატუსის შესახებ**

2016 წლის 16 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში იმუშავა თურქეთის რესპუბლიკის რამდენიმე პრო-

ვინციაში მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების, ფოლკლორისა და ყოფის მასალების შესაგროვებლად.

ექსპედიციის უპირველესი მიზანი იყო მაჭახლელ მუჰაჯირთა მეტყველებისა და ყოფის შესწავლა, თუმცა არც სხვათა დასახლებებში მუშაობაზე უთქვამთ უარი.

აღვნიშნავთ, რომ მაჭახლის ხეობაში ზემო (თურქეთის) და ქვემო (საქართველოს) მაჭახელში ოცამდე დიდი და პატარა სოფელია, თურქეთის სხვადასხვა პროვინციაში კი მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლებს 50-მდე სოფელი დაუარსებიათ, რომელთა უმეტესობაში დაუცავთ წინაპართა ენა, უმეტესად უფროს და საშუალო თაობას. ახალმა თაობამ ქართული ენა, მცირე გამონაკლისის გარდა, არ იცის. უცხო კულტურულ გარემოში მოქცეულ ქართველთა იდენტობის უპირველესი ნიშნის მომავალი ნათელია, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა ეროვნული უმცირესობების ენისა და კულტურის გადარჩენის გარკვეული შანსი გააჩინა...

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მუჰაჯირად წასულ მაჭახლელებს სოფლები დაუარსებიათ ოსმალეთის იმპერიის შემდეგ რეგიონებში:

**ორდუს ილი, უნიეს ილჩე:** ახზაბა, თექქირაზი, აქჩად, ენიკენთი, იქინჯუქი, ესენთეფე, ქაინართაში.

**ორდუს ილი, ორდუს ილჩე:** საიჯა, რაფაიე, ჯიჰადიე, ფასაფუნარი.

**ორდუს ილი, გოლქოას ილჩე:** ჯიჰადიე, უუფინარი.

**სამსუნის ილი, ჩარშამბას ილჩე:** მუსლიბე, ქესტანეფინარი, ყარა დერე, ამაზმა, ჩათახი, დერეჩათი, გოლჩუხური, კავღალი, გულდაზი, ყარაბახჩე, აღუბაბა.

**იზნიკის ილი, ჩაინარჯის ილჩე:** თეშვიქიე, ესენქოდ, თერმალი.

**იზნიკის ილი, არმუთის ილჩე:** ჰამზალი.

**საქარიას ილი, კარასუს ილჩე:** აზიზიე, დემირ აჩმა, ქოფერი, მენანაზი.

**ბურსის ილი, ინეგოლის ილჩე:** ჰაირიე.

**ბურსის ილი, გემლიქის ილჩე:** ჰამიდიე.

**იალოვას ილი, არმუთლუს ილჩე:** მეჯიდიე.

**იალოვას ილი, ორჰანგაზის ილჩე:** ჰამზალი.

**სინოპის ილი:** არმუთ დერი.

**სინოპის ილი, გურზეს ილჩე:** ლომანიე.

**თოქათის ილი, ერბაას ილჩე:** სოღალლი.

**ამასიის ილი, თაშოვას ილჩე:** თათლიფინარი, ალთინლი, ილიფინარი, ჩათმა.

**ამასიის ილი, ამასიის ილჩე:** ძუვა, ჩივი, აქმაზი, ელიქთეფე, ბაღდალი.

შესადლოა, მაჭახლეღ მუჰაჯირთა სხვა სოფლებიც იყოს, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობი.

წლების განმავლობაში დაგვიგროვდა მაჭახლელთა მეტყველების მრავალფეროვანი მასალა. დადგა დრო განისაზღვროს მაჭახლურის დიალექტური სტატუსი. აღვნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა მაჭახლური დიალექტის გამოყოფისა. ახლა, როდესაც გარკვეულად შესწავლილი გვაქვს აჭარული, შავშური და კლარჯული დიალექტები, შესაძლებელია, დადგინდეს მაჭახლურის ადგილი მომიჯნავე დიალექტებს შორის. წინასწარი დაკვირვებით მაჭახლური შავშურის კილოკავია.

## **ლევან ფაჩულაია, მერაბ ნაჭყეცია** (თბილისი, სოხუმის უნივერსიტეტი)

### **მიმართვისა და რეფერენციის ფორმათა ფუნქციონირების საკითხისათვის მეგრულში**

ცნობილია, რომ მიმართვის ფორმები მსოფლიოს ენობრივი სამყაროს უნივერსალურობისა და ცალკეულ კონკრეტულ ენათა განუმეორებელი თვითმყოფადობის, ინდივიდუალობის გამოვლინებებია; იმ საერთო წესებისა და სისტემურობის გამოხატულებებია, რომელიც ამა თუ იმ ტიპოლოგიურ ჯგუფსა თუ გენეტიკურ ერთიანობას ახასიათებს და განპირობებულია კულტურული განსხვავებულობით, ტრადიციებით, აღმსარებლობით, სოციალური და პოლიტიკური სისტემებით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით.

მიმართვა მეგრულში, ისევე როგორც მსოფლიოს ენათა სხვა გენეტიკურ თუ ტიპოლოგიურ ჯგუფებში, თავისი საბაზო (ვოკატიური) ფუნქციით ვერბალური ურთიერთობის ფართო კონტექსტის განსაკუთრებული ელემენტია, რომელიც თავის თავში მოიცავს ვო-

კატიურ, სოციალურ-მარეგულირებელ (ეტიკეტურ), ექსპრესიულ-ემოციონალურ შინაარსს, ზოგადკულტურულ ნორმებს და მჭიდროდ უკავშირდება პრაგმატულ, სოციოკულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ამასთან, ვერბალური ურთიერთობა გულისხმობს გარკვეული ლოკუციისა და პროპოზიციული შინაარსის, ე. ი. რეფერენციისა და პრედიკაციის აქტს. მიმართვისათვის კი პროპოზიციული ფუნქცია დამახასიათებელი არ არის. შესაბამისად, მიმართვისა და რეფერენციის ფორმათა ფუნქციონირების წესები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამ მხრივ, ინტერესს იწვევს მეგრულში დადასტურებული ცალკეული ლექსემები, მაგალითად, კოჩი „კაცი“, რომელიც, მსგავსად ქართულისა, გამოიყენება შორისდებულის ფუნქციით: სი კოჩი // სი კოჩ, მუს მირაგადუქ (//მეჩიე-ბუქ) „შე კაცო, რას მეუბნები (// მელაპარაკები), რაც მნიშვნელოვანია „კოჩ“- სახელური ფუძის მიმართვის ფორმით გამოყენებისა და აღნიშვნის თვალსაზრისით; კერძოდ, „კოჩი“ ვოკატივის ფუნქციით ნაკლებ სავარაუდოა. მეგრულისათვის, როგორც წესი, ჩვეულებრივია და უფრო ბუნებრივი ჩანს „კოჩ“- სახელური ფუძის გამოყენება მიმართვის ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი შორისდებულის ფუნქციის მატარებელია და ახლავს ნაცვალსახელი სი „შენ“: სი კოჩი // სი კოჩ, მუს მირაგადუქ „შე კაცო, რას მეუბნები“.

მოხსენებაში წარმოდგენილი და გაანალიზებული იქნება სხვა მაგალითებიც, რომლებზე დაყრდნობითაც ვასაბუთებთ, რომ რიც შემთხვევაში მეგრულში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მიმართვისა და რეფერენციის ფორმები, რადგან მათი ფუნქციონირების წესები განსხვავებულია.

## **ნათია ფონიავა** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **ტაპონიმ მზულუს ეტიმოლოგიური ანალიზი**

სოფელი **მზულუ** მდებარეობს ისტორიულ ლაზეთში (თურქეთის რესპუბლიკაში), კერძოდ, რიზის პროვინციის ვიწის (ფონდიკ-

ლის) რაიონში. სოფელი რაიონული ცენტრიდან 10 კმ-ითაა დაშორებული.

სოფელ მზულუს ადრე **ზულუ** რქმევია (მ გვიან ჩანს გაჩენილი თავკიდურ პოზიციაში) და იყოფოდა ორად: ზედა და ქვედა ზულუდ. მოგვიანებით ქვედა ზულუს **მზულუ სუჭლა** (ძვ. თურქ. süflü „ქვედა“) დაერქვა, ხოლო ზედა ზულუს – **მზულუ ულა** (თურქ. ulja „ზედა“). ლაზურ ტოპონიმთა ლექსიკონში ზედა ზულუს აღმნიშვნელად დასტურდება **იუქარგ ზულუ** (თურქ. yukara „ზედა“), ხოლო ქვედა ზულუსი – **აშაღ ზულუ** (თურქ. aşayā „ქვედა“) (ალექსივა, ბუჯაკლიში). შემდეგ ზედა და ქვედა მზულუ ცალ-ცალკე სოფლებად გაყოფილა და ზედა მზულუს **ღაინა** (çajna) დარქმევია. როცა თურქეთმა დაიწყო ტოპონიმთა გათურქულება, **მზულუ სუჭლას** დაერქვა **სულაქი** (თურქ. Sulak), ხოლო **ღაინას** – **იჰლამურლუ** (თურქ. əhlamurlu „ცაცხვიანი“).

ტოპონიმი **მზულუ** აღნიშნულია ს. ნიშანიანის რუკაზე, სადაც ავტორი სვამს კითხვას, ხომ არ ნიშნავს ეს ტოპონიმი „ზღვიანს“? (იხ. <http://nisanyanmap.com/?y=sulak&t=&lv=1&u=1&ua=0>). დამატებითი მსჯელობა და ანალიზი მკვლევარს არ აქვს მოცემული.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ ტოპონიმი **მზულუ** მართლაც უკავშირდება ზღვის აღმნიშვნელ ლაზურ ლექსემას. ლაზურის კილოკავებში ზღვა გვხვდება **მზოღა / მზულა / ზოღა / ზულა** ფორმებით. ვიწეში, სადაც ეს ტოპონიმი დასტურდება, ამჟამად სწორედ **მზულა** ფორმა გამოიყენება.

სოფელი **მზულუ** მთაგორიანია და იქიდან ხელისგულივით მოჩანს ზღვა, თითქოს ზღვის გაყოლებაზე მდებარეობდეს. ტოპონიმის სახელდებისას გადამწყვეტი ეს გარემოება უნდა ყოფილიყო – ზღვის პირას მდებარე ვრცელი ადგილი. ტოპონიმი რომ ზოგადად წყალთან არის დაკავშირებული, ამას მისი ამჟამინდელი თურქული სახელიც (**სულაქი**) გვიჩვენებს, რაც ნიშნავს **წყლიან ადგილს**.

გასარკვევია მზულუს ბოლოკიდური **უ**-ს ფუნქცია, ის იმავე ოდენობისა ჩანს, რაც მეგრულ ტოპონიმ **ჟულუ**-შია, რომელიც, ჩვენი აზრით, ზღვის აღმნიშვნელ ზანურ ფუძეს უკავშირდება.

## ტარიელ ფუტკარაძე (ქუთაისი)

### ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხისათვის

**ნ. მარის** აზრით, „ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები და სხვანი.... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანური და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის“ (ნ. მარი, 1905, გვ. 9-10). მსგავს მოსაზრებას ავითარებს **ოგ. ჯავახიშვილიც**: ქართული სამწიგნობრო ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულელებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა... წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედებაა (1908, გვ. 4; 1979, გვ. 154-156)... არცერთი დასახელებული მკვლევარი უშუალოდ არ ეხება სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხს. **არნ. ჩიქობავა** თვლიდა, რომ ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა კი ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 114-115). **გ. ახვლედიანის** რედაქტორობით გამოქვეყნებულ „ენათმეცნიერების შესავალში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით (ავტორია გ. ნებიერიძე) „ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს...“ (გ. ახვლედიანი, 1972, გვ.27); შდრ., ასევე, **ბ. ჯორბენაძის** თვალსაზრისი: „თბილისში გამომუშავდა ის საერთო-ქართული სამეტყველო თარგი, რომელმაც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების გეზი... თბილისური ქართული ის თარგია, სამირკვლად რომ დაედო ქართულ სალიტერატურო ენას (განსაკუთრებით ეს ითქმის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაზე“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 172-173).

ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო მეტყველების დადგენის პროცესში მნიშვნელოვანია ენობრივი ფაქტების ჩვენება; ამ თვალ-

საზრისით არსებითია ის, რომ სხვადასხვა სკოლის მეცნიერთა მიერ საერთოქართველურისათვის აღდგენილი სიტყვა-ფორმები ძირითადად ემთხვევა სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; კერძოდ:

1. ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; შესაბამისი მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ. მარის, ა. ცაგარლის, პ. ჭარაიას, არნ. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, ჰ. ფენრიხის, ზ. სარჯველადის, მ. ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში.

2. საერთოქართველური ფუძეენის ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: თანხმოვნები (ჩქამიერები, სონორები), სონანტები და ხმოვნები. ფუძეენის ხმოვანთა სისტემაში აღდგება ა, ე, ო ხმოვნები. ი და უ ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან ორწევრიან სონანტთა კლასს. ი/ა და უ/უ/ვ სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი). ქართული ანბანის საყრდენი მოდელის მიების კუთხით არსებითია ის, რომ ასომთავრულში დასტურდება: ჰ, ა და უ ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები; ისინი არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა დიდი ნაწილისათვის; არ არის ქართლურ კილოში. ლოგიკურია ვთქვათ, რომ ასომთავრულის ფონემური საფუძველი უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური (სადაც არ ჩანს ჰ).

3. ერთი მორფემის ფარგლებში ქართველური ქვესისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის ხმოვანთკომპლექსები; მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთმიმდევრობები (განსაკუთრებით: აე, ეა, ოა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც ქართლური (თუ სხვა რომელიმე კილო) უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრული ანბანის საყრდენი მეტყველება.



4. სვანურ და ფხოვურ კილოებში პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე. წ. ხანმეტობის დროინდელი ხ- პრეფიქსი: ახ. წ. V-VII საუკუნეების ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად, სვანურში ხ- პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი „იწვი“, ხ-ასყი „აკეთებ“, ხ-ატბიდე „ათბობ“... ხ-ალატ „უყვარს“, ხ-აჰუდი „ამღევს“, ხ-აგდი „სმინავს“...). იგივე ხ- პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის ხ+ჟ- სემანტში (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ. როგავა, 1956; მ. სუხიშვილი, 1986; ნ. მაჭავარიანი, 1986) და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშიც; მაგ., ხევსურულ მასალაში: მი-ხ-გვრიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ... დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი:  $s > \beta > 0$  და  $s > \beta > x > (ლ)$ : სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ ხ-ს (და არა ჰ-ს) შეუძლია მოგვცეს მქლერი ლ; შდრ., ხევსურული: მადგვრის, ღვანდი, ღვონებავ (შდრ., ა. შანიძე, 1920 და ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 96-98)...

წარმოდგენილი და სხვა ლინგვისტური ფაქტების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ:

არქაული ქართული სამწიგნობრო ენის (ხანმეტი ტექსტების ენის) ფონემატური სტრუქტურა და ლექსიკა საერთოქართველურის იდენტურია. ბუნებრივია, ხანგრძლივი ისტორიის პროცესში ცენტრალური ქართველური დიალექტები ზემოქმედებდნენ სამწიგნობრო ენაზე, თუმცა, ვფიქრობთ, ქართული სამწიგნობრო ენის საფუძველად ვერ დავსახავთ ვერც ქართლურ დიალექტს და ვერც ჩვენთვის ცნობილ რომელიმე სხვა ქართველურ ქვესისტემას; უფრო ლოგიკურია დაშვება, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულებში არსებული საერთოქართველური ენის (რომელიც ისტორიულად შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთოიბერიულ-კავკასიური ენის ერთ-ერთი დიალექტი) უშუალო გაგრძელებაა არქაული სამწიგნობრო ენა: **წელთაღრიცხვათა მიჯნაზე სამწიგნობრო ქართული დაეფუძნა საერთოქართველურ ენობრივ სისტემას; თანამედროვე სამწიგნობრო ენა კი არქაული სამწიგნობრო ენის უშუალო გაგრძელებაა.**

## **ნინო ფხაკაძე (ქუთაისი)**

### **ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური დიაბაზონისათვის დიალექტებში**

1. ვერბალური სტრუქტურის სემანტიკური მოცულობა განიხილება როგორც ენის ისტორიული (ქრონოლოგიური) საფეხურების, ისე მისი გეოგრაფიული და სოციალური განშტოებების (ქვესისტემების) მიხედვით.
2. ენის მეშვეობით ადამიანი წარმოდგება არა განკერძოებულად, არამედ გარკვეული ერთობის წევრად.
3. კოლექტიურობა საერთო კულტურული ცნობიერებითა და ენობრივი გამოცდილებით დასტურდება. ენობრივი ნიშნები რეალობის აზრობრივ ხატს ქმნის და წარმოაჩენს მოცემული ენის ვერბალური სტრუქტურის ნაციონალურ ბუნებას. ნაციონალური აზროვნება სიტყვას ანიჭებს ღირებულებათა გამომხატველი ერთეულის სტატუსს და მას ზოგადი ცნობიერების რთული და მრავალმხრივი სისტემის წევრად აქცევს.
4. დიალექტები ენობრივი კოლექტივის აზროვნების ნაციონალური სპეციფიკის წარმოჩენისათვის კარგ მასალას გვაწვდის. მათში გამოვლენილი მნიშვნელობები, ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები, სემანტიკური მარკირების ენობრივი მექანიზმები ადასტურებს, რომ დიალექტი ენის შინაარსობრივი სიღრმის წარმომჩენი სტრუქტურაა.
5. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს („შინ“, „სახლი“, თავისახლი“....) დიალექტურ კონტექსტებში გამოვლენილი მნიშვნელობების მიხედვით.

## მარინა ქაცარავა (ქუთაისი)

### ქართული დიალექტოლოგიის პრობლემური საკითხები შ. ძიძიგურის შრომებში

აკად. შოთა ძიძიგური ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შ. ძიძიგურის ღვაწლი ქართული დიალექტოლოგიის შესწავლის საქმეში.

ქართულ დიალექტოლოგიაში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაგროვილი მასალა მან წარმოადგინა ნაშრომებში „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“, „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“ „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“, „მოხეური ლექსიკა ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით“, „ხანური სტრუქტურის სიტყვა ქართულ დიალექტებში“, „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში“.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს შ. ძიძიგურის მოსაზრებანი ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე. მას მიაჩნდა, რომ საბუთების ენის შესწავლას მნიშვნელობა აქვს როგორც დიალექტოლოგიის, ისე სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. ამ საბუთებში აღბეჭდილია ხალხური მეტყველების ელემენტები. შ. ძიძიგურის აზრით, საბუთების ანალიზი საგულისხმოა დიალექტოლოგიურ მოვლენათა ევოლუციის გასათვალისწინებლად.

როცა შ. ძიძიგური საუბრობს „მახვილისა და ინტონაციისათვის ქართულ დიალექტებში“, მრავალი მეცნიერის მოსაზრებას განიხილავს და მიიჩნევს, რომ „თუ მისაღებია დებულება, რომ ფრაზის აქცენტუაცია უფრო ძველია, ვინემ ცალკე სიტყვის აქცენტუაცია და მით, მუსიკალური მახვილი პირველადია შედარებით დინამიკურ მახვილთან, მაშინ ჩვენს ენებში მუსიკალური აქცენტუაციის რღვევა და დინამიკური მახვილის გამარჯვება უნდა მიგვეჩნია ენებში საზოგადო ტენდენციის კერძობით გამოხატულებად“.

შ. ძიძიგური თავის წიგნში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კავშირების თავისებურებებს ქართულ დიალექტებში. მას დიდი სიზუსტით აქვს გაანალიზებული აღნიშნული საკითხი და დასკვნის სახით აქვს გადმოცემული, რომ

1) კილოებისათვის საზიაროა თუმც(ა), თუნდ(აც), გინდ(აც).

- 2) გურულ-ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია რომ(ც)
- 3) კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა თუმც(ა), თუნდ(აც), გინდ(აც), რომ(ც).
- 4) კილოებში არაა დადასტურებული დაღათუ-დაღაცათუ, თუცა.

მეტად მნიშვნელოვანია შ. ძიმიგურის დაკვირვება ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პრინციპებზე ქართულ დიალექტებში, მას მიაჩნია, რომ A, B, C კომპლექსთა ფონეტიკური პროცესის სხვადასხვა საფეხურის გათვალისწინება გამოდგება ქართულ კილოთა კლასიფიკაციის ერთ-ერთ ნიშნად.

70-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა შ. ძიმიგურის შრომები: „მესხური დიალექტი“, „იმერული დიალექტი“, „ლეჩხუმური დიალექტი“ „რაჭული დიალექტი“, რომელთაც საფუძველი დაუდეს ქართული დიალექტოლოგიის კვლევა-ძიების ნამდვილ მეცნიერულ წარმართვას.

საინტერესოა შ. ძიმიგურის დაკვირვებები ზანური სტრუქტურის სიტყვის შესახებ ქართულ დიალექტებში, აქ ავტორს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მეგრულიდან შემოსული სიტყვა დასავლური დიალექტებიდან გზას იკაფავს აღმოსავლურ კილოებში. „ეს ფორმა, – წერს შ. ძიმიგური, – საგულისხმოა თვით ზანურის ისტორიისათვისაც, რამდენადაც სიტყვა მეგრულში არ შემონახულა“.

იმ დროისათვის მეტად ფასეული იყო აკად. შ. ძიმიგურის მიერ „ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფიის“ გამოქვეყნება.

შ. ძიმიგურის ნაშრომებში ჩანს ნამდვილი მკვლევრისათვის დამახასიათებელი ენის წიაღში თავისუფლად წვდომის უნარი, მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალის სიუხვე და მასზე დამყარებული მრავალი მნიშვნელოვანი დებულება.

**მედეა ლლოტი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

**ქართ. ერთ-ისა და ქართ. ცალ-ის დიალექტური ვარიანტულობა**

ქართ. ერთ-ის (500-მდე ლექსიკური ერთეული) და ქართ. ცალ-ის (200-მდე ლექსიკური ერთეული) ლექსიკურ-სემანტიკური ბუდეების 7 მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებათა ანალიზით დგინდება, ერთი მხრივ, ამ პოლისემიური სინონიმური წყვილის ლექსიკური მარაგიდან (მათი ლიტერატურული, ფრაზეოლოგიური და დიალექტური მონაცემებიდან) აღმოცენებული სემანტიკური ველის მრავალფეროვანი სპექტრი, მეორე მხრივ – ამავე წყვილის ყურადსაღები დიალექტური ვარიანტულობა,

ქართ. ცალ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისაგან განსხვავებით, თვალში საცემია ქართ. ერთ-ის როგორც ლიტერატურული და ფრაზეოლოგიური, ისე დიალექტური ლექსიკური მარაგის მაღალი პროდუქტიულობა, ხოლო საკუთრივ ბუდეებში დიალექტური ლექსიკა განსხვავებულ პროდუქტიულობას ავლენს ლიტერატურულ-ფრაზეოლოგიური ლექსიკის მიმართებით.

ერთ-ისა და ცალ-ის ლექსიკური მარაგიდან ყურადღებას იქცევს გადამკვეთი (ზიარი) სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ამ ბუდეების გარეთ ეძებნებათ სინონიმები (კენტი/კენტად, ოდენ/ოდენა, მხოლოდ/მარტო, ნახევარი, ნაწილი, რთული/შერთვა, ცალ-ება, ცერ-ი/ცერ-ა/ცეროდენა...).

## **ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **სულთან, კელთან, ფეხთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური და იდიომატური გამოთქმები ქიზიყურ კილოკავში**

ყველა ენასა და დიალექტში მყარი შესიტყვებები მნიშვნელოვნად ამდიდრებს ენობრივ ბაზას. ამგვარ გამოთქმებში აისახება ამ ენასა თუ დიალექტზე მეტყველ ადამიანთა აზროვნება, წარმოსახვა და შინაგანი განცდების, ემოციების გადმოცემის უნარი. ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავიც ფრაზეოლოგიზმებითა და იდიომატური გამოთქმების სიუხვით გამოირჩევა. ქიზიყურ კილოკავში მყარი შესიტყვებები მრავალფეროვანი და საინტერესოა. ჩვენ მიზნად დავისახეთ ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომატური გამოთქმების შესწავლა კახურში, მაგრამ მოხსენებაში წარმოვადგენთ მხოლოდ ქიზიყური კილოკავის მიხედვით დამუშავებულ და გაანალიზებულ მასალას. საკვლევ მასალად გამოვიყენეთ სტეფანე მენთეშაშვილის მიერ 1943 წელს გამოცემული „ქიზიყური ლექსიკონი“. ყურადღებას შევაჩერებთ კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში **სულთან, კელთან და ფეკთან** დაკავშირებულ მყარ შესიტყვებებზე.

**სულთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიური გამოთქმები ადამიანის შეგრძნებებსა და გრძნობებს გადმოგვცემს: **„სულის აიწრაფება“** სულის წასვლას ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით აჩქარებას (171); **„სული გაკანკვა“** „სული გაკანკვა შიშისაგან“ (171) – გაჩუმდა. **სულის გამგნაფვა** – გამგნაფვა (171); გატრუნვა, გაჩუმება (37). სიტყვა **სულს** უკავშირდება შემდეგი იდიომატური გამოთქმა: **„სულის მუჭაში ჩაბერვა“** (171), რომელიც საიდუმლოს შენახვას ნიშნავს.

**ფეკთან** ძირითადად დაკავშირებულია მოძრაობის, გადაადგილების გამომხატველი ფრაზეოლოგიური გამოთქმები. **„ფეხის აკაუჭება“** (185); **„ფეხის აკანჭურება“** (185) ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონეა და მტკივნეული ფეხის მაღლა აწევას ნიშნავს, მიწას რომ არ დაეკაროს. გვხვდება იდიომატური გამოთქმა: **„ფეკის გაქსნა“** (186), მგლოვიარის პირველად სახლიდან გაყვანას ნიშნავს ხალხში, საზოგადოებაში.

**კელთან** დაკავშირებული ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ადამიანის შესაძლებლობასა და სხვადასხვა მოქმედებას გამოხატავს: ფიზიკურ ძალას: „**კელის დანაცვლება**“ მძიმე ტვირთის აწევისას ტვირთზე ხელის გადანაცვლება უფრო მარჯვედ ასაწევად (262). „**კელის აფროლაგება**“ აფროლაგება (262), ხელოვნებით ხარჯვა. **კელთან** არის დაკავშირებული იდიომატური გამოთქმა „**კელის შაჰრა**“ (263), გადატანითი მნიშვნელობით სხვისი ქონების მითვისებას ნიშნავს.

საგულისხმო ფაქტია, რომ ზოგიერთმა ფრაზეოლოგიურმა გამოთქმამ მნიშვნელობა იცვალა დღევანდელ ქიზიყურში. **სულის გამგნაფვა** უკვე აღარ ნიშნავს გაჩუმებას, იგი გამოიყენება სიკვდილის მნიშვნელობით. ვფიქრობთ, ახალი მასალის მოპოვება და დამუშავება საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ, რომელი ფრაზეოლოგიური გამოთქმები შეიცვალა ან უცვლელი დარჩა დღევანდელ ქიზიყურში.

**ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი , ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **ზერთული წინადადებებისათვის სვანურში**

სვანურში, განსაკუთრებით გაბმულ მეტყველებაში, ამა თუ იმ ამბის თხრობისას, ხშირად დასტურდება ისეთი სახის რთული წინადადებები, სადაც ერთდროულად მონაწილეობს თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც ზერთული, შერეული, ნარევი სახის რთული წინადადებები:

**ხედჷჳა ხუნკჷი სკ'ადასკინი, ეჯის ხეკჷეს ლაკგდედ ჟიქანჩუ ბჳჩ ი ეჩანდო სკ'ალალონახიდ ჳჷჳანდს** (ლნტ., სვან. ქრესტ., 305:28-29) — რომელიც პირველი შეხტება, იმას უნდა ჩავარტყათ ზემოდან ქვა და მერე შევუტნიოთ კედელს.

წარმოდგენილ ილუსტრაციაში ქვეწყობა გვხვდება ზერთულის პირველ ნაწილში და ირიბ დამატებით დამოკიდებულ წინადა-

დებას მოსდევს კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებები.

**ეჯი განქა ასკნე, ხედ ხოშა ფხოტელ ზეფშ ლი ი იშგენ ბოფშარს ხედღულენი სგა** (ჩოლ.) – ის გვერდზე ხტება, რომელიც უფრო მოხერხებული ბავშვია და სხვა ბავშვებს ეფარება („შეეფარება“).

ამ შერეული სახის რთულ წინადადებაში თანწყობის გზით ორი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული (**ეჯი განქა ასკნე; იშგენ ბოფშარს ხედღულენი**) და თანწყობილის პირველ წინადადებას მოსდევს დამოკიდებული წინადადება (**ხედნ ხოშა ფხოტელ ზეფშ ლი**).

მოხსენებაში განხილული იქნება ზერთულ წინადადებაში მონაწილე ერთგვარი და არაერთგვარი რამდენიმე დამოკიდებული წინადადება და მათი პოზიცია თანწყობილ წინადადებებთან მიმართებაში.

**ეთერ შენგელია** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

## **წვიმასთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში**

მეგრულში წვიმის აღმნიშვნელი ორმოცდაათამდე ლექსიკური ერთეული და შესიტყვება გამოვლინდა. მასალად გამოყენებულია გამოცემულ ტექსტებსა თუ ლექსიკონებში დადასტურებული და, აგრეთვე, ჩვენ მიერ 2016 წლის აგვისტოში სამეგრელოში მოპოვებული მასალა. წვიმის სახეობების კლასიფიკაციისთვის გამოვიყენეთ სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ და ბიძინა ფოჩხუას „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“.

წვიმის აღმნიშვნელად გამოიყენება ზოგადი ტერმინი **ჭვიმა** || **ჭვემა**.

წვიმა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: **კოკისპირული: ზღველა ჭვიმა; ყუყუნა: ჩხაპალა** „წვრილი (ყუყუნა) წვიმა; წკაპუნა წვიმა“; **დეღგმა: ღვარუა** „თავსხმა, დეღგმა“; **თქეში: შქაფალი** „საშუალო სიმძლავრის ხანგრძლივად მომდინარე წვიმა და მისი ხმაური“; **თავსხმა: ზღვარი** „ღვარი, ზღვისდამყენებელი წვიმა“; **თქორი: ყუმორი** „თქორი, წვრილი წვიმა“; **შხაპუნა: შხაპია** „შხაპუნა წვიმა“;



**ჟინკლი:** ციზაფი „ჟინჟვლა“; **მერეხი:** მერეხი „დეღმა“; **ქარიშხალი:** შიფი „ქარ-წვიმა“.

მოხსენებაში მასალა ვრცლად იქნება წარმოდგენილი. საანალიზო ერთეულები საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც – გამოიყოფა: მარტივი, რთული, ნაწარმოები ფუძეები და შესიტყვებები.

## **ვაჟა შენგელია** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **ერთი ატიპური სტრუქტურის სუფიქსის შესახებ მეგრულში**

ქართველური ენობრივი სისტემისათვის ნიშანდობლივად (კანონიკურად) მიიჩნევა გარკვეული სტრუქტურის აფიქსები, კერძოდ, სახელურ დერივაციაში -CV და -V ტიპის აფიქსები, -VC და -V ტიპის სუფიქსები, აგრეთვე, მათი კომბინაციები პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაში. ბუნებრივია, ასეთივე ვითარებაა მეგრულ-ლაზურში, მაგრამ მისთვის არც სხვა ტიპის აფიქსაციაა უცხო. მეგრულ კონფიქსურ სიტვაწარმოებაში გვხვდება -VVV ტიპის სუფიქსი -აია, რომელიც ო- პრეფიქსთან ერთად თვისების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებლად გვევლინება.

1. ო-თბიორ-აია „ფრიალა“, შდრ. ბიორი „ფრიალი, ქანაობა“, იბიორ „ფრიალებს, ქანაობს“.

2. ო-ბანდალ-აია „მობარბაცე, მობორძიკე, მოტორტმანე“, შდრ. ბანდალი „ბარბაცი, ტორტმანი, ბორძიკი“, მიბანდალ „მიბარბაცებს, ბორძიკით, ტორტმანით მიდის“.

3. ო-ხურჩინ-აია „ჩქრიალა“, შდრ. ხურჩინი „ჩქრიალი“, მიხურჩინ „ჩქრიალით მიედინება“.

4. ო-ვარკალ-აია „გაკრიალებული, ელვარე“, შდრ. ვარკალი „კრიალი, ელვარება“, ივარკალ „კრიალებს, ელვარებს“.

5. ო-რშვინ-აია „სასტვენნი“, შდრ. რშვინუა „სტვენა“, რშვინუნს „უსტვენს“.

6. ო-ჭუმინ-აია „მოზუზუნე“, შდრ. ჭუმინი „ზუზუნე“, მიჭუმინ „მიზუზუნებს“.

7. ო-ხარჭალ-აია „ჩხარუნა“, შდრ. ხარჭალი „ჩხარუნი“, იხარჭალ „ჩხარუნებს“.

8. ო-ღუმინ-აია „მოდმულიე, ღმულია“, შდრ. ღუმინი „ღმული“, ღუმინუნს „ღმუის“.

9. ო-ბურგონ-აია „ბრაგუნა, ხმაურიანი“, შდრ. ბურგონი „ბრაგუნე“, იბურგონ „ბრაგუნობს“.

10. ო-გარგანჩ-აია „გიზგიზა“, შდრ. გარგანჩი „გიზგიზი“, იგარგანჩ „გიზგიზებს“ და მრავალი სხვა.

**ო-აია** წარმოება საყრდენად ზმნის ან მასდარის ფუძეს იყენებს. ზოგ შემთხვევაში სათანადო ზმნური ფუძე არ ჩანს.

-აია სუფიქსი **მა-** პრეფიქსთან კომბინაციაში გვხვდება: მარწკინა**აია** „მბრწყინავი; ციცინათელა“, მაქანცა**აია** „მოქანავე“, მაისირა**აია** „ისლურა“, ბაყაყალა**აია** „ბაყაყი“...

დიაქრონიული თვალსაზრისით ატიპიური სტრუქტურის -აია სუფიქსი მეორეული უნდა იყოს, რთული შედგენილობისა.

## **იოსებ შენგელია** (თბილისი, საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი)

### **ქართული ჭიდაობის მეგრული ვარიაცია და ტერმინები**

ქართული ჭიდაობა როგორც სულისკვეთებით, ისე ხერხებითა და ილეთების მრავალფეროვნებით, ოდითგანვე მიმზიდველ რაინდულ სახეობას წარმოადგენდა და თაობათა ფიზიკური წრთობის მძლავრი საშუალება იყო.

ჭიდაობის ჩატარებას თავისი წესი და რიგი ჰქონდა. იგი იმართებოდა უმთავრესად უქმე დღეებში, რელიგიური დღესასწაულების დროს, ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა ქალაქის სხვადასხვა უბანი. ასპარეზობას იწყებდნენ მოზარდები, რომელთაც თანდათანობით ჭაბუკები ცვლიდნენ და ბოლოს კი სახელგანთქმული ფალავნები საასპარეზოდ გამოდიოდნენ ნახერხით დაფარულ მიწაზე. ქართული სა-

ბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „ხრიდოლის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოვლენილ იქნა ჭიდაობის ორი ათეული სახეობა, რომელთაგან უმრავლესი, თუ მცირედ განსხვავებებს არ მივიღებთ მხედველობაში, ერთმანეთს ჰგავს და ზოგადქართული ჭიდაობის ვარიანტს ენათესავება. ეს სახეობებია: მეგრული **რკინება**, გურული **ჭედობა**, მთიულური **ილიდორა**, რაჭული **დოჯური**, სვანური **ლიბრგიელ** და სხვა.

მეგრულში ჭიდაობის ზოგადი ტერმინია **რკინება**, შდრ. ძვ. ქართ. **რკენა**.

2015-2016 წლებში სამეგრელოს რაიონებში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ მცოვან მოჭიდავეთაგან, რომელთა ასაკი ხშირ შემთხვევაში ოთხმოცსაა გადაცილებული, დავაფიქსირე მეგრული „რკინების“ ათამდე ტერმინი და ვიდეოფირზე ჩავიწერე ილეთის ჩვენების ეპიზოდები, მოჭიდავეთა უმრავლესობას ილეთები ახსოვს, მაგრამ მათი სახელების გახსენება უჭირს.

სამეგრელოში ჭიდაობას დღემდე „რკინებას“ ემახიან. მოხუცები იხსენებენ, რომ მათ ერთ-ერთ საყვარელ გასართობს ჭიდაობა წარმოადგენდა. აღსანიშნავია ის სამწუხარო ფაქტი, რომ იმ ადამიანთა ასაკი, ვინც ჯერ კიდევ ფლობს ქართული ჭიდაობის მეგრული ვარიანტის ილეთებს, ოთხმოცს გადაცილებულია.

ილეთთაგან აღსანიშნავია: **ალაშქვაფური**, **გალენ კაჭა**, **დინახალენ კაჭა** იგივე **შქაშ კაჭა**, **მერთელი**, **მოგორდია**, **ხასლური** და სხვ.

ყველაზე გავრცელებული ილეთი ჩანს **გალენ კაჭა**, **დინახალენ კაჭა** და **მერთელი**, რაც შეეხება **ალაშქვაფურს**, იგი მხოლოდ ერთმა 95 წლის რესპონდენტმა გაიხსენა, ასევე **ხასლური**, რომელიც 91 წლის გ. გაბელიასგან ჩავიწერე.

მოხსენებაში დეტალურად იქნება განხილული ეს ილეთები, ასევე წარმოდგენილი იქნება ტერმინების ანალიზი სათანადო ქართული შესატყვისებით.

**მანანა ჩაჩანიძე, ნინო ხახიაშვილი,  
ნატა რაზმაძე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

**დიალექტური მასალის ასახვისათვის სინონიმთა  
ლექსიკონში**

ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფია მრავალ პრობლემურ საკითხს მოიცავს. ერთი ამგვარ საკითხთაგანია დიალექტური მასალის ასახვის თავისებურებანი სინონიმთა ლექსიკონში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა დიალექტური ლექსიკის წარმოდგენის თაობაზე საკუთრივ დიალექტურ, სალიტერატურო ენის განმარტებით და სინონიმურ ლექსიკონებში (მიხ. ჭაბაშვილი, ლ. ნოზაძე, ქ. ძოწენიძე, პ. გაჩეჩილაძე, სტ. მენთეშაშვილი, ივ. ქავთარაძე, ალ. ჭინჭარაული, გ. ხორნაული, უ. სახლთხუციშვილი...).

ჩვენი აზრით, სინონიმთა ლექსიკონში დიალექტური მასალის ასახვისას უნდა შევიდეს სიტყვათა როგორც მორფოლოგიური, ისე ფონეტიკური ვარიანტები სათანადო კვალიფიკაციითა და ტექნიკური აღნიშვნით. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ვაზის კულტურასთან დაკავშირებულ ლექსიკას ქართულში.

ეს საკითხი მონოგრაფიულადაა დამუშავებული მკვლევარ ლილი ასათიანის მიერ, რომელიც განიხილავს რა ვაზის კულტურასთან დაკავშირებულ ლექსიკას, წერს: „ნაშრომში განხილულია ვაზის კულტურასთან დაკავშირებული 250-მდე ძირითადი სახელწოდება. თითოეულ მათგანთან თავს იყრის სინონიმების კონა. სინონიმური ვარიანტები მევენახეობის ტერმინთა რიცხვს 1200-მდე ზრდის. მაგალითად, ვენახს აქვს 8 სინონიმი, ვაზს – 7, გარეულ ვაზს – 31 სინონიმი, გართხმულ ვაზს – 3, ფეხის ვაზს – 7, ბაბილოს – 12, ჭიგოს – 18, დედა-ვაზს – 19, ერთწლიან რქას – 24, წალამს – 17, ნამორჩს – 13, ნამხრევს – 35, პწკალს – 22, კლერტს – 31, კუფხალს – 19, წიპწას – 17...“

სინონიმური ვარიანტების წყარო არის ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები და თანამედროვე ქართული კილოები. ძველ ქართულ ძეგლებს შემოუნახავს მევენახეობის ძირითად ტერმინთა დიდი ნაწილი: ვენახი, ვაზი, ყურძენი, მტევანი, რქა, ბაბილო, წიღნა, ნასხლევი, მასკნე, კლერტი, ზუარი, მეზუარე, ნაზურევი, ახალნერ-

გი, მევენაჯე, სავენაჯე, საყურძენი, ვენაჯოვანი... საბას ქართულ ლექსიკონში დამატებით ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: არაკალი, ზაგა, ბურძენი, გურტი, დობილო, ეტი, დაგამინება, კუფხალი, მარნა, მარნეული...

ყველა ეს ტერმინი, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა (არაკალი, ნოიჭი, აჯოჯვა), დღესაც ცოცხალია და გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმში)... (ლილი ასათიანი, „ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში“, 1978, 169).

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ამონარიდს საილუსტრაციო მასალიდან:

**ვაზის ხეიარა წამონაზარდის** აღმნიშვნელი ტერმინებია: **პწკალი** – კახ., **ბწკალი** – ლეჩხ., **პწყალი** – იმერ., **კაპწალა**, **კაპწკალა** – ქართლ., **ბრწყალი**, **პწყალი** – იმერ., **ბწყალი** – იმერ., ლეჩხ. **ფრჩხილი** – ქართლ., **ზჩხილი** – იმერ., **კვანჭი** – იმერ., **კანჭი** – რაჭ., **ჭვანგი** – იმერ., **შხანკო** – გურ., **წვირი** – იმერ., **ბაწარი** – ლეჩხ., **ბეწვი** – ქართლ., **ბიჭოურა** – იმერ., ლეჩხ. **მასკენე** – ძვ. ქართ., **მასკანა** – ქართლ., კახ. **ხოულა** – ლეჩხ., **მკაფანა**, **კაფანა** – კახ., **კავი** – ქართლ., **ულვაში** – ქართლ., იმერ., ლეჩხ. [იქვე, გვ. 41]

**ვაზის გასხვლის და სხვა სამუშაოების დროს წაჭრილი და წამტვრეული ტოტების** სახელწოდებებია: **წალამი** – ქართლ., კახ., იმერ., **წალარი** – იმერ., **წილამი** – იმერ., **ნასხლევი** – ძვ. ქართ., **ნასხლავი** – იმერ., **ლერწი** – იმერ., ლეჩხ. **ჯარჯი** – ლეჩხ., **ჩხანკო** – გურ., **ჩინჩხრები** – ქართლ., **ნამორჩი** – იმერ., **ნაფურჩქნი** – ლეჩხ., **თავნატები** – ლეჩხ., **ვენახის ნატები**, **გამონატები** – ლეჩხ., **კუნკული** – იმერ., **ლორდი** – იმერ., **ალერდი** – იმერ. [იქვე, გვ. 33] და სხვ.


ვფიქრობთ, ამ ერთი ნაშრომის მაგალითზე ცხადად წარმოჩინდება არა მხოლოდ დიალექტური მასალის ასახვის საჭიროება და სირთულე სინონიმთა ლექსიკონში, არამედ, საერთოდ, სინონიმთა ლექსიკონის შედგენის სირთულე.

## მალხაზ ჩოხარაძე (ბათუმი)

### ქართული დასახლებები ამასიის პროვინციაში

ამასიაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებათა რაოდენობა შავიზღვისპირეთის სხვა „ქართულ“ პროვინციებთან (ორდუ, სამსუნი, გირესუნი, თოქათი და სხ.) შედარებით ნაკლებია. ქართული სოფლები თაშოვას, სულუოვას და ამასიის ცენტრალურ რაიონებშია.

ამასიის ცენტრალურ რაიონში ექვსი ქართული სოფელია: აქი-აზი (Akyazi), ბელდაღი (Beldağ), ჩათალჩამი (Çatalçam), ჩათმა (Çatma), ჩივი (Çivi), ელიქთექქე (Eliktekke), იუვაქოი (Yuvaköy).



თაშოვას რაიონში სამი ქართული სოფელია: ალთინლი (Altınlı), ილიფინარი (İlipınar), თათლიფინარი (Tatlıpınar).

სულუოვას რაიონში ერთი ქართული სოფელია - ქილიჩასლანი (Kılıçkaslan), რომელშიც ტაოდან, სოფელ ბალხიდან გადასახლებული ქართველების ათიოდე ოჯახი ცხოვრობს. ბალხელთა გადასახლება თურქეთის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისინი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან სულუოვაში.

რაც შეეხება ამასიის დანარჩენ ქართველებს, ისინი ძირითადად აჭარისწყლის და მაჭახლის ხეობებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან. მათი ფუძესოფლებია, ერთი მხრივ, ბზუბზუ, ბედლეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა; მეორე მხრივ – ეფრატის, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ცხემლარა...

ქართული მოსახლეობის უფროსი თაობა დღემდე მეტყველებს წინაპართა ენაზე. უმცროს თაობაში ქართული ენის მცოდნე არ მოიძებნება.

## **მერაბ ჩუხუა** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **უფროობითობის -ილ სუფიქსისათვის სვანურში და მისი ზანური შესატყვისი**

ქართველოლოგიურ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში თითქმის სინონიმებად დამკვიდრებული *შედარებითი* და *უფროობითი* ტერმინები უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან, როგორც სხვადასხვა ხარისხის გამომხატველი ცნებები. ჩვენი თვალსაზრისით, შედარებითი ხარისხის ფორმებია ქართ. **ხ-უ – ე(-ის-)**, ზან. **უ – ა(-შ-)**, სვან. **ხ-ო – ა** კონფიქსებით მარკირებული სახეობები, ხოლო უფროობითობა, რომელიც ქართულისათვის უცხოა, ცალკე (დამოუკიდებელი) სუფიქსით არის გამოხატული სვანურში. ასეთ მარკერად აქ **-ილ** (ხაიშური: -იჷ<\*-ილ) მიიჩნევა, რომელსაც გავრცელების არეალად მხოლოდ ის შემთხვევები შემორჩა, როდესაც წარმოშობით შედარებითი ხარისხის გაქვავებული (დადებითი) ზედსართავებისაგან ხელახლა იწარმოება შედარებითი ხარისხის ფორმები, მდრ.:

#### **სვანური**

ხოშა „დიდი“ > ხოშ-ილ „უფრო დიდი“

ხოჩა „კარგი“ > ხოჩ-ილ „უფრო კარგი“

ხოდრა „ცუდი“ > ხოდრ-ილ „უფრო ცუდი“

ხოხჷრა „პატარა“ > ხოხჷრ-ილ „უფრო პატარა“

ხოლა „უვარგისი, ცუდი“ > [ხოლ-ილ], ხაიშ. ხოლ-იჟ „უფრო ცუდი“

სვანურში ცალკე გამოყოფილ უფროობითი ხარისხის მაწარმოებელ -ილ სუფიქსს ზანურში -იშ(ი)> // -შ(ი) უნდა შეესატყვისებოდეს; შდრ.:

### ზანური

დიდ-ი – უ-დიდ-ა-შ-ი „უდიდესი“ – დიდ-იშ-ი „უფრო დიდი“  
ჭიფე „წვრილი“ – უ-ჭიფ-ა-შ-ი „უწვრილესი“ – ჭიფე-შ-ი „უფრო წვრილი“

კუნტა „მოკლე“ – უ-კუნტ-ა-შ-ი „უმოკლესი“ – კუნტა-შ-ი „უფრო მოკლე“

ჯგირ-ი „კარგი“ – უ-ჯგირ-ა-შ-ი „უკეთესი“ – ჯგირ-ი-შ-ი „უფრო კარგი“...

სვანურსა და ზანურს შორის სხვაობა მხოლოდ დისტრიბუციაში ჩანს, ვინაიდან ამ ენებს შორის ფიქსირებული სვან. ლ : ზან. შ ბგერათმესატყვისობა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის ამოსავალ \*ს არქიფონემის არსებობას ვარაუდობს, შესაბამისად, \*-ის- „უფრ. ხარ. სუფ.“ რეკონსტრუქცია პროტოქართველურისთვის საფუძვლიანად გვესახება.

მოხსენებაში განხილული იქნება ასევე სვან. -ილ სუფიქსის შესახებ არსებული განსხვავებული თვალსაზრისები (ზ. ჭუმბურიძე, ალ. ონიანი).

## ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე (ბათუმი)

### კვლავ სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის შესახებ

უკანასკნელ ხანს ქართულ ენათმეცნიერებაში დაისვა ტაოური, კლარჯული და შავშური კილოების გამოყოფის საკითხი, რომ თითოეული აგლენს ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებს. დიფერენციაციაც სწორედ ამას ეფუძნება.

**ფონეტიკური თავისებურებანი.** საგანგებო ყურადღებას იქცევს ტაოური კილო: აქ გვხვდება როგორც მარცვლიანი, ისე უმარ-



ცვლო უ: თუალებისა; ჳკუები; ძალუან; შეგუაყვარე, აბუეფს, ბეუ-რი... ვე კომპლექსი ტაოურში ო'ს გვაძლევს (ეხოწებიან, ჩონი, ხოწნე-ბი, ქომოდამ), ვი > უ (ფაფაზისთუნ, ასკერებიოთუნ, გამოცხოზი-თუნ), გვაქვს უმლაუტის მსგავსი მოვლენა. ასიმილაციის საფუძ-ველზე ბერის დავიწროება აქ ხშირია: მოზოზელი, აქოვროზაში...

ტაოურს ახასიათებს სიტყვაში ხმოვნის ჩართვა: ქილიავი, სიქელი...

ტაოურში გვაქვს ტონური მახვილი, რომელიც სიტყვას ყო-ველთვის მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე: მოვი'და, ხე'დავ...

**ნაშთის სახით ტონური მახვილი სხვა სამხრულ კილოებშიც დასტურდება.**

**გრამატიკული თავისებურებანი. სახელთა ბრუნება.** შავშურ კილოში მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ბრუნვის ნიშნის სრული, არქაული ვარიანტიცა და ნ' მოკვეცილიც: მან / მა. გამოკვეთილია ასევე სავრცობი ა-ს გამოყენება. ტაოურ კილოში თანხმოვანფუძიანი სახელები ძირითადად შეკუმშულია: მანქნით, პარხლის... უკუმშვე-ლი ფორმები საზოგადოდ ცოტაა: დედოფალის, გელები...

შავშურსა და კლარჯულში თვალში საცემია უკუმშველობა: წყალის, წყალები, ცხვარის, მგელები, სოფელიდან, ყურბენის, სო-მებები. შეკუმშული ფორმები იშვიათია: სტუმრები, მუსლიმნები...

**ხმოვანფუძიანი სახელები. ტაოურში, კლარჯულსა და შავ-შურში** კვეცადი ა' ფუძიანი ზოგი სახელი ებ'იან მრავლობითში ორ ე'ს იჩენს: თეები, გზეები, ხოჯეები, ყანეები. გვხვდება დისიმი-ლირებული ფორმებიც: თხიები, ქვიები, თიები, ზახჩიები, ხოჯიები. **ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელები ძირითადად უკვეცელია: ქობა-დამ, აჭარადამ...** კლარჯულში არსებითი სახელი ღვინო უკვეცე-ლია.

კლარჯულსა და ტაოურში ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნისეული ს თანხმოვანი ხშირად დაკარგულია: მთებ ვხედავ, ღელი წყალი, თი თავში... თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნებისას ტაოურში ვულგარული სახეობა გვაქვს: ჩემ მამამს დედამ, მაღალ ხმითი, დიდვან კასრებით, ოთხი მარცუ-ალ... ხანდახან სახელობითი ბრუნვის ნიშანიცაა დაკარგული: ჩემ ბიჭი...

**ზმნა. პირის ნიშნები.** ტაოურში გამოკვეთილია სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარე-ბა, დასტურდება ჰემეტი და სანნარევი ფორმები: დავჰკლავთ, და-

**ვჭკრიტ, ჩაპყრი, დაპკრეფენ, შეპდეფ, გაპყიდიან, დავპკლათ, დაპკრიბავ, შესდგები, მოსწველენ, შესჭამს.** შავშურში დასტურდება ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები: **შეგპონავთ, ხქონდა, მოპკლავ...** გვხვდება კონტამინირებული დაწერილობაც: **მიპსცემდი, მოპსწველდი...**

შავშურში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში გამოკვეთილია **-ან** სუფიქსის უნიფიკაცია: **მიდევან, ესმიან.** –თ სუფიქსის ნაცვლად უნდა ზმნას ორმაგი **-ან** დაერთვის: **უნდანან.** ეს ფაქტი ყველაზე მეტად გამოკვეთილია კლარჯულში, ჩანს აჭარულშიც.

შავშურში **მყავს** ზმნაში არ არის **ს: მყავ.** კლარჯულში მაქვა ტიპის ფორმები ჭარბობს. **გავლა** ზმნა ტაოურში თავისებურია: **გევგართ, მოიდეს, ვიარებოდით.**

ტაოურსა და კლარჯულში ხშირია **ინკლუზივ-ექსკლუზივი: მემამებთან, მოქეწონან, მეტყვიან, მიყვარან, მაქვან, მეზარებთან.**

**ტაოურში** წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში ძირითადად **-ეს** გვხვდება, რაც ძველი ქართულის ნორმაა: **ისხდეს, იჯდეს, ეიღებდეს, გედეიტანდეს, ...**ამავე მწკრივში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში **ა'ს** ნაცვლად **-ო** დადასტურდა: **მოკდო.**

**ტაოურსა და კლარჯულში** დასტურდება **დეინახევი** ტიპის ფორმებიც. ამავე კილოთა თავისებურებაა II კავშირებითი მრ. რიცხვის მესამე პირში **ე'ს** ნაცვლად **ო'ს** გამოყენება: **შეშინდონ, მოქცოს, ამოვდონ, წევდონ.**

**თემის ნიშნები.** სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელია თემის ნიშანთა უნიფიკაცია, კერძოდ, ავ თემის ნიშანი დაერთვის ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნებსაც: **ვიჭირავთ, ვყიდავ, გამოჭრავ, ვკრიბავთ...** შავშურსა და კლარჯულში **-ავ** თემის ნიშანი ამ'ს ცვლის: **მიართავს, ურტყავს, შესვავს, დგავს, აართავს.** ტაოურში ხშირად გვაქვს **ამ** თემატური ნიშანი **ავ'ის** ნაცვლად: **შევდლოზამ, აადულამ...**

ტაოურში ვიდ/მიდ'იანი ფორმები ჭარბობს, მაშინ როცა შავშურსა და კლარჯულში **ევ/ემ'**იანებია გავრცელებული. კლარჯულში ევ თემის ნიშანი აწმოსა და მყოფადმიც დაჩნდება: **ზიდევს, აკოქევს, ძინევს (კირნ მარად.); დახრისევ...**

კლარჯულში **ებ** თემის ნიშანი ცვლის სხვა თემის ნიშნებსაც: **დააბებენ, გატებებენ, კლებენ, მეაპარებენ. ი** თემის ნიშანი ცვლის

ავს: მოკლის, მოხნის, უკრის. ამას ემყარება მიმდებარის თავისებურებანიც: მოკლილი, მოხრაკილი, დადებილი, ჩაფლილი, დარგილი.

ებ//ავ მონაცვლეობა აქ დასტურდება კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: გააცინავს, დააყენავს, აცემიავს, გაგატეხიავს, ატირავს, დაგაწერავს...

**ზმნისწინები.** ტაოურში თვალში საცემია ზმნისწინთა თავისებურებანი: ვლინდება ჩა ჩო'ს, წა>წო'ს, და>დო'ს, შემო > შომო/ შუმოს, გა > გო//გე ვარიანტები: წოუდიან, ჩოუფლიან, დოუმალავან, შოუტოლეფ, გოურეფ, გომოჩნდა, ჩომოვდენ. ტაოურსა და შავშურში დასტურდება მიაყრიან, მასახამენ, შასწავლებლით, მიაქვან, მიახტები, მამპარეს, გამამიყვანა... ფორმები.

შავშურში წა- ზმნისწინი გამოიყენება მი'ს ნაცვლად (წავდივარ), მა მო'ს (მაატყვილეფ, მააპარეფი), გა შე'ს (გაეწუხდე, გავპირდი), შა შე'ს ნაცვლად (შამოი, შამიყვანს); ჩე ჩა'ს ნაცვლად (ჩეგისხა).

**გვარი:** ვნებითი გვარის ზმნათა დაბოლოება არქაულია: გეშინის, მეხარშვის... შავშურში ხშირია პრეფიქსული წარმოება: გეეთხვა, გეეხარა, მეემშევა, დეესახლა, გეეჩქარე... კლარჯულში თვალში საცემია რედუცირებული ფორმები: მეყრა, გეიშლა, გეიზდა.

**სინტაქსური თავისებურებანი.** შავშურ კილოში იცის ზმნასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაშია: ხოჯა იცის გურჯული; სოფელი თურქია არ იცის. პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება ხშირად სახელობითშია: ჩაი ვადუღებთ; ზოგი მოხარშავ.

სამხრული კილოების საერთო თავისებურებაა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითი დგომა: ახლანდელგმა მოდიან...

## **როინ ჭიკაძე (თელავი)**

### **პარატაქსული კონსტრუქციის ჩამოყალიბების კვალი ქართული ენის შავშურ დიალექტში**

თურქეთის სამხრეთ ნაწილში (ისტორიულად ქართულ მიწებზე) მოსახლე ქართველთა მეტყველება ცნობილია სამხრული მეტყველების სახელით. სამხრული მეტყველება ქართული დიალექტოლოგიური სივრცის განუყოფელი ნაწილია, სადაც აქარულ,

კლარჯულ და ტაოურთან ერთად მოიაზრება შავშური დიალექტი (ფაღავა; გოგოლაშვილი).


ოთხ საუკუნეზე მეტია, შავშეთ-იმერხევი მოწყვეტილია საქართველოს, მას არა აქვს კავშირი ქართული ენის სხვა კილოებთან და ქართულ სალიტერატურო ენასთან. ამიტომაცაა შავშური კილო უადრესად ფასეული, ერთი მხრივ, ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, მის მიერ დღემდე მოტანილი ენობრივი საგანძურით.

ამჯერად კი გამოკვლევა ეძღვნება **პარატაქსული კონსტრუქციის** ჩამოყალიბების კვალის ძიებას შავშური დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით.

შავშური კილოს ენობრივი ანალიზით ჩვენ წინაშე იშლება პარატაქსული კონსტრუქციის გენეზისის ევოლუციური პროცესი, სადაც თვალნათლივ დაჩნდება მიმდინარე შუალედური საფეხური; კერძოდ, საუბარია ისეთ ნიმუშებზე, სადაც ერთსა და იმავე წინადადებაში ინტენსიურად მეორდება ერთი და იგივე შემასმენელი, რითაც იქმნება პრედიკაციული წყვილები და ეს მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები ერთმანეთს უკავშირდებიან თანწყობით; შემდგომ საფეხურზე ეს კონსტრუქცია დაიყვანება ერთ საერთო შემასმენელზე. ფაქტობრივად, ეს პროცესი ძველი ქართულის ანალოგიურია.

ნათელია, რომ შავშურ დიალექტს შემოუნახავს პარატაქსული კონსტრუქციის ის საფეხური, როდესაც სტრუქტურულად ჯერ კიდევ არ იყო გამიჯნული თანწყობილი და შერწყმული წინადადებები; ამ საფეხურზე თანწყობით დაკავშირებულ ერთი და იმავე ზმნა-შემასმენლის განმეორებით შედგენილ მარტივ სინტაქსურ კონსტრუქციებს იმავდროულად მოეპოვებათ საერთო წევრი. ასე რომ, ერთსა და იმავე წინადადებაში ერთდროულად გვაქვს როგორც თანწყობა, ისე შერწყმა, რაც ადასტურებს ენათმეცნიერთა იმ მოსაზრების მართებულებას, რომლის მიხედვითაც არ არსებობს მკვეთრი ზღვარი რთულ თანწყობილ წინადადებასა და ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებას შორის (ლ. ენუქიძე, გ. ბურჭულაძე, რ. ჭიკაძე...). აღნიშნული თვალსაზრისი შემუშავებულია ქართული წინადადების ისეთ კონსტრუქციაზე დაკვირვების შედეგად, სადაც ზმნა-შემასმენლები უკავშირდებიან წინადადების მთავარ წევრებს – როგორც ქვემდებარეს, ისე პირმიმართ დამატებას (ჭიკაძე, 1995):

430. მე ყარტოვ დავთესავ, სიმინდ დავთესავ, ლობიოს დავთესავ,



თუ თვალს გავადევნებთ შავშურ დიალექტში პარატაქსული კონსტრუქციის ჩამოყალიბების პროცესს, საფუძველს მოკლებულად გვესახება ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც თითქოს შერწყმული წინადადება თანწყობილის პირმშოა და „რთული თანწყობილი წინადადება გვამღევს შერწყმულ წინადადებას“ (კიზირია). მიგვაჩნია, რომ ერთი კონსტრუქციიდან კი არ მიიღება მეორე კონსტრუქცია, ანუ თანწყობილი კი არ გვამღევს შერწყმულს, არამედ სახეზე გვაქვს მიმდინარე პროცესი წინადადების ამა თუ იმ კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა.

ნიშანდობლივია, რომ შავშურში შემონახული ეს კონსერვირებული კონსტრუქციები უადრესად ღარიბია საკავშირებელი საშუალებებით და უმთავრესად გვაქვს ასიდენტური შეერთება; ესეც იმის მანიშნებელია, რომ „უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი“ (კვაჭაძე). ამასთანავე, გამოკვლეულია, რომ უკავშირო წინადადებებითაა მდიდარი ცოცხალი მეტყველება (ალ. ლლონტი, ლ. კვანტალიანი, თ. ბურჭულაძე...).

გაბმული ზეპირი მეტყველებისას სწორედ ასეთ კონტექსტურ სიტუაციას მიესადაგება თხრობის ასიდენტური სტილი.

ასე რომ, მიუხედავად ტერიტორიული და ენობრივი ოთხსაუკუნოვანი იზოლაციისა, შავშური დიალექტის ცოცხალმა მეტყველებამ დღემდე შემოგვინახა უძვირფასესი მასალა ენაში მიმდინარე პროცესების სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში შესასწავლად;

საკვლევი საკითხისადმი სწორედ ამგვარი მიდგომით გაირკვა, რომ **შავშურში ნათლად დაჩნდება კვალი პარატაქსული კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა.**

**წინო ხახიაშვილი** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **ვაზის კულტურის ამსახველი ლექსიკა ქართულ დიალექტებში**

ვაზის კულტურა, ამ კულტურის ისტორია, როგორც კულტუროლოგიური, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით, ერთგვარად ასახავს მსოფლიო ცივილიზაციათა ისტორიას, რადგანაც უხსოვარი დროიდან ვაზი (ღვინო) მსოფლიოს უძველესი ხალხების სამეურნეო კულტურისა და ტრადიციების შემადგენელი ნაწილია. მისი არსებობა დადასტურებულია შუმერულ, ეგვიპტურ, ხეთურ, ირანულ, ძველბერძნულ, სემიტურ კულტურებში. შესაბამისად, მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან ვაზის (მევენახეობა-მეღვინეობის) თავდაპირველ სამშობლოზე.

ვაზის კულტურა საქართველოში ათასწლეულებს ითვლის, ამ კულტურის რთული და მდიდარი ბუნების წვდომა საუკუნეების განმავლობაში ენაშიც აისახებოდა, რის შედეგადაც გვაქვს უხვი, მრავალფეროვანი, დიდი ისტორიის მქონე მევენახეობის ლექსიკა, – საქართველოში ვაზის კულტურის მდიდარი ისტორიის უტყუარი მოწმე.

მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინთა შესწავლის შედეგად ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: „ვაზისა და მისი ნაყოფის, ისევე, როგორც მევენახეობის ...ქართული ტერმინოლოგიის ანალიზი მკითხველს დაანახებდა, თუ რაოდენი ყურადღებით მოჰყვრობია ქართველი მიწისმოქმედი ამ დარგს. ხოლო ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა მრავალრიცხოვანი სახელების აგებულება-აღმნიშვნელობის ანალიზი და კლასიფიკაცია იმ დიდს სიყვარულსაცა და გონებამახვილი დაკვირვების ნიჭსაც აგრძნობინებდა, რომელიც ქართველ მევენახეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თაობითი-თაობამდე ამ ერთი ხე-

ხილისთვის შეუღევია. გადაუქარბებლად შესაძლებელია ითქვას, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ვაზ-ყურძნის თვისება, რომელიც მას არ შეემჩნიოს და ამა თუ იმ ჯიშ-სახესხვაობის დამახასიათებელ სახელად არ აღებეჭდოს..." [ივანე ჯავახიშვილი V, 611].

ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა მონოგრაფიულადაა დამუშავებული და წარმოდგენილი აგრეთვე ლილი ასათიანის ნაშრომში, რომელსაც საფუძვლად უდევს ავტორის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წლების მანძილზე შეგროვილი დიალექტოლოგიური მასალა, რომლის გაცნობაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სახელი [სიტყვა, ლექსიკა, ზოგადად – ენა] ძალიან ბევრ საყურადღებო და საინტერესო ინფორმაციას ინახავს. საგულისხმოა ისიც, რომ, – როგორც ავტორი აღნიშნავს, – თითქმის ყველა ტერმინი, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება, დღესაც ცოცხალია და გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად:

ვაზის [= ყურძნის ხის] აღმნიშვნელი ტერმინებია: **ვაზი** – ძვ. ქართ. და ახ. ქართ., **ვენახი** – ძვ. ქართ., ქართული ენის ძირითადად დასავლეთის კილოები, **მამული** – ლეჩხ., **ყურძენი** – აჭარ., **ლერწი** – რაჭ., ლეჩხ.

გარეული ვაზის [= ტყის ყურძნის] აღმნიშვნელი ტერმინებია: **კრიკინა ვაზი** – ქართლ., კახ., იმერ., რაჭ., **კირკენა** – ქიზ., **კირკინა** – ფშ., **მორცხულა** – გურ., **მორცხვილი** – იმერ., **მოცხარი**, **მენცხვარი**, **ომცხვარო** – ლეჩხ., **კაჭიჭი** – იმერ., **ზაბილო**, **ტყის ზაბილო**, **მთის ზაბილო** – ქართლ., **ძაღყურძენა** – იმერ., **დათვიყურძენა** – რაჭ., **პანტაყურძენი** – აჭარ., **თხილაგუნა**, **თხილაკუნა** – იმერ., **ზურუხი** – იმერ., **ზურძლუმი** – კახ., საინგ., **ზურზლუმი** – საინგ., **ბრძღვამლი** – იმერ., **ძღვამლი**, **რძღვამლი** – რაჭ., **ძღვამზლი** – რაჭ., ლეჩხ., **ზღვამზლი** – რაჭ., **ძღვლამი**, **რძღვლამი** – იმერ., **ზღვამილა** – იმერ., **უსურვაზი** – ქართლ., კახ., **ჭანჭყატო** – ქიზ.

ვაზის ერთწლიანი ტოტის სახელწოდებებია: **რქა** – ძვ. ქართ., ქართლ., კახ., ქიზ., იმერ., რაჭ., **ლერწი** – იმერ., ლეჩხ., ქიზ., ქართლ., **ვაზი** – ძვ. ქართ., ქართლ., იმერ., ლეჩხ., რაჭ., **ვენახი** – იმერ., ლეჩხ., გურ., **ზაბილო** – ძვ. ქართ., **პოწვი** – აჭარ., **ღერო** – ლეჩხ., იმერ., **ბოლი** – გურ., **რტო** – ძვ. ქართ. **შტო** – ქართლ., ლეჩხ. **ტოტი** – ქართლ., კახ., ქიზ. **შულა რქა** – ქართლ., კახ., **ყურძნიანი რქა** – კახ., **სანაყოფო** – კახ., **მოსაზამი რქა** – ლეჩხ., **საკავებელი** – ქართლ., კახ., **ბღუნძა** – კახ., **მოსახვევი**, **მოსახოვი** – იმერ., ლეჩხ., **შემოსახვევი** – იმერ.,

**მოსახრელი** – იმერ., **მოქიანი** – რაჭ., **გაბმულა//გამბულა** – ქართლ., **გასაბამი** – იმერ., რაჭ.

გაზაფხულზე ვაზის გაღვიძების აღმნიშვნელი სიტყვები და გამოთქმები: **ვაზი გაინძრევა** – იმერ., **გაირყევა** – რაჭ. **ამომრავდება** – რაჭ., **კვირტის ძვრა** – ქიზ., **გაიღვიძებს** – ქართლ., კახ., იმერ., **იხარებს** – ქართლ., **გაიხარებს, გახარება** – ქიზ., იმერ., ლეჩხ., **დახარდება** – ქართლ., **ხეირობს** – რაჭ., **იხეირებს** – აჭარ., **გაგება** – ქიზ., **ვაზის დასხდომა** – ქიზ., **ვაზი ტირის, ვაზი ატირდება, ვაზის ტირილი** – ქართლ., იმერ., ლეჩხ., **კვირტის წვიმა** – იმერ., **ვაზმა რქა ცისკენ ასწია...** და სხვ.

## **ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი** (თბილისი)

### **„ძეგლი“-სა და წმინდა გიორგის ქართველური სახელების ურთიერთმიმართები-სათვის**

1. ძველ ქართულ ტექსტებში არაერთგან დასტურდება სახელი **ძეგლი**. სათანადო ლექსიკონების მიხედვით მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: გამოსახულება, ქანდაკება, კერპი (აბულაძე 1973: 524); სამძღვარივით წერით და ორონად ითქმის (საბა 1993: 352); დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად, ანუ სამძღვარად (ჩუბინაშვილი 1961:441); 1. ნაგებობა ან ქანდაკება ვისიმე ან რისამე სამახსოვროდ. 2. წარსული მატერიალური კულტურის ნაშთი; 3. ძველი მწერლობის ნაწარმოები. 4. ისტ. კანონი (ან კანონთა კრებული), განაჩენი, დადგენილება, განწესება...(ქეგლ 1964: 729);
2. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „ძველი აღთქმის“ მიხედვით **ძეგლის** ძირითადი მნიშვნელობაა „**სვეტი**“ – *აღმართული ადამიანთა მიერ ნიშნად მნიშვნელოვანი შეთანხმება-ვალდებულებები-სა ერთმანეთისა და უფლის წინაშე*. (საზოგადოდ, „ძეგლის აღმართვაში“ აღიბეჭდება ქრისტიანობამდელი ცივილიზაციის უძველესი ხერხი).
3. **ძეგლს** (როგორც „საკრალურ სვეტს“) უნდა უკავშირდებოდეს და საგვარეულო სალოცავის ფუნქციასაც გულისხმობდეს აღმ. სა-



ქართველოს მთაში დადასტურებული ტერმინები **მეგლი/მენ-გლი**. შდრ.: „**მეგლი** ღვთის სამადლობელი ზედაშე“ (ცოცანიძე 2012: 282). **მენგლი** ესა თუ ის ოჯახი ან გვარი ამა თუ იმ ხატს აღუთქვამდა, რომ ამა და ამ დღეობაში (დღესასწაულზე) ყოველ წელიწადს უთევდა ღამეს, დანათლავდა დროშით, დაკლავდა საკლავს ან მოხარშავდა ლუდს და მისთ. *ტენგლი* შთამომავლობაზე გადადიოდა...“ (ჭინჭარაული 2005: 1053), ასევე, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს კილოებსა და აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მეტყველებაში სანათესაო წრის, გვარის, მეტსახელის აღმნიშვნელი **მეგლი/მენგლი/მერგლი/მერგი** და ლაზური მეტსახელი **მეგნე/მეგნი** (თანდილავა 2013: 848).

4. **მეგ-ლ-ი ლ-** სუფიქსით ნაწარმოები ფორმაა (მსგავსად: კოჭ-ლ-ი (შდრ.: კოჭ-ა), მად-ლ-ი (შდრ.: უ-მად-ურ-ი), თოვ-ლ-ი (შდრ.: თოვ-ს). **მეგ-** ლექსიკური ძირის სემანტიკა უნდა ყოფილიყო „შეერილი“ (საზოგადოდ, საერთოქართველურ დონეზე ვვარაუდობთ ლექსიკურ ძირებს *ა/ე* ალტერნაციით: \***მაგ-**//**მეგ** „ჩხვლეთა“ // „წვეტიანი რამ“.
5. შესაძლებელია მეგლის შესატყვისობების დამებნა ქართველურ ენებში, შდრ: *მეგრული*: **ჯგ**-ირ-ი/**ჯგ**-ერ-ი „კარგი, კეთილი; წმინდა (წმინდანის ეპითეტი); კეთილშობილი, კარგა ძლიერი, მრე“; **ჯაგ**-ა „მძლავრი, ღონიერი“; „**ჯაგა!** წმ. გიორგის მადლმა!“ (ქობალია 2010: 736, 737; 733); *ლაზური*: **ჯგ**-ირ-ი „კარგი, წმინდა“ (თანდილავა 2013: 894); *სვანური*: **ღგ-ჯგ**-ირ „კურთხეული, ღვთისნიერი, ალალ-მართალი, ერთგული; 2. ნაკურთხი; 3. გვირგვინდადგმული, ჯვარდაწერილი (სვანური ლექსიკონი 2000: 543); „**აჯგრი**<sup>1</sup> – აკურთხებს; **აჯგრი**<sup>2</sup> – არიგებს (ჭკუას), რჩევა-დარიგებას აძლევს“ (იქვე, 100).

შესაბამისად:

*ს.-ქ. მეგ-ლ-* „აღმართული ლოდი“; *ქართ. მეგ-ლ-*ი „საკრალური ქვის ნიშანსვეტი“; *ზან. ჯგ*-ირ/ერ- (<\***ჯაგ**-ირ) „წმინდა, ძლიერი“; *სვან. \*ჯგ*-ირ- (<\***ჯაგ**-) „კურთხეული“.

6. ამის მიხედვით, „**წმინდა გიორგის**“ ზანური და სვანური სახელწოდებები (ზან. **ჯგეგე** / **ჯგერგე** / **ჯგეგე**; სვან. **ჯგირწგ** / **ჯგვრწგ** / **ჯგვრწგ**) მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებისა და შემდგომი ფონეტიკური პროცესების განვითარების შედეგად უნდა იყოს მიღებული, მაგ., ზან.\***ჯაგერი გიორგი**

„წმინდა, ძლიერი გიორგი“ > \*ჯგერი გიორგი > \*ჯგერგიორ-  
გი > ჯგარგი/ე > ჯგაგე > ჯაგე.

7. გამოთქმულ ვარაუდს მხარს უმაგრებს ფოლკლორულ-ეთნო-  
გრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალები (წარ-  
მოდგენილია მოხსენებაში).

**ცირა ჯანჯღავა** (თბილისი, ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი)

### **დანაწევრებითი რიცხვითი სახელის შესახებ მეგრულში**

დანაწევრებითს უწოდებენ რიცხვით სახელს, რომელიც საგან-  
თა თანაბარ ნაწილებად დაყოფას აღნიშნავს (დანაწევრებითის სინო-  
ნიმური ტერმინებია **დაყოფითი** და **განაწილებითი**).

დანაწევრებითი რიცხვითი სახელი მეგრულ-ლაზურში იმავე  
პრინციპით იწარმოება, როგორც სხვა ქართველურ ენებში – რაო-  
დენობითი რიცხვითი სახელის რედუქციკაციის საშუალებით. ამ  
შემთხვევაში მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში რედუქ-  
ციკაციის სხვადასხვა სახეობასთან გვაქვს საქმე:

1. ფუძეუცვლელი გაორკეცება, რომელიც მარტივ რიცხვით  
სახელთაგან ექვსშია გამოყენებული (**ოთხ-ოთხი** „ოთხ-ოთხი“, **ამშე-  
ამშე** „ექვს-ექვსი“, **(ხ)რუო-(ხ)რუო** „რვა-რვა“, **ჩხორო-ჩხორო** „ცხრა-  
ცხრა“, **ეჩ-ეჩი** „ოც-ოცი“, **ოშ-ოში** „ას-ასი“).

2. რედუქციკაციის შედეგად მიღებული დანაწევრებითი რი-  
ცხვითი სახელის პირველ კომპონენტში ფუძის ბოლოკიდური თან-  
ხმოვანი მოკვეცილია (**ყი-ყირი** „ორ-ორი“, **სუ-სუმი** „სამ-სამი“).

3. რედუქციკირებულ რიცხვით სახელში დაკარგულია მეო-  
რე კომპონენტის თავკიდური თანხმოვანი / თანხმოვნები (**ხუთ-უთი**  
„ხუთ-ხუთი“, **შქვით-ითი** „შვიდ-შვიდი“, **ვით-ითი** „ათ-ათი“). შე-  
კვეცილი ფორმების გვერდით შეიძლება შეგვხვდეს სრული ფორმე-  
ბიც (**ხუთ-ხუთი**, **შქვით-შქვითი**, **ვით-ვითი**...).

რაც შეეხება რთულ რიცხვით სახელებს, მათი რედუქციკა-  
ციით დანაწევრებითი რიცხვითი სახელების მიღება, როგორც წესი,  
ფუძეუცვლელად ხდება (**ვითოყირ-ვითოყირი**, „თორმეტ-თორმე-

ტი“, **ვითოხუთ-ვითოხუთი** „თხუთმეტ-თხუთმეტი“, **ყარნეჲ-ყარნე-ჩი** „ორმოც-ორმოცი“, **სუმოშ-სუმოში** „სამას-სამასი“...), მაგრამ არ არის გამორიცხული მეორე კომპონენტად გამოყენებული ფუძე გამარტივებული სახით წარმოგვიდგეს: ექდოხუთ-ხუთი „ოცდახუთ-ოცდახუთი“ (მ. ხუბუა).

აღსანიშნავია, რომ მეგრულში რიცხვითი სახელისაგან **ართი** „ერთი“ რედუქციკაციით დანაწევრებითი რიცხვითი სახელი არ მიიღება (ართ-ართი „ერთ-ერთს“ ნიშნავს), **თითო** კი ქართულიდან არის შესული (მდრ. ლაზური, რომელშიც **თითო**-ს პარალელურად გვხვდება **არ-არი**).

## **ნინო ჯორჯენაძე** (თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

### **ინტერნეტენა და ქართული ენის დიალექტები**

თანამედროვე ქართულში დიალექტების გავრცელების არეალი გაფართოვდა და ის ვიწროგეოგრაფიულ ფარგლებს გასცდა. მართალია, ეს ფაქტი ყოველთვის შეინიშნებოდა, კონკრეტულად – ქალაქური მეტყველების შემთხვევაში; თავად სალიტერატურო ენაც, როგორც წესი, სხვადასხვა დიალექტს ეფუძნება ხოლმე; მაგრამ ისეთი ფართო და საყოველთაო გავრცელება დიალექტიზმებისა, როგორც დღეს ფიქსირდება, სხვა დროს არ აღნიშნულა და ის მართლაც სულ სხვა მასშტაბებს ატარებს.

კონკრეტულად და ყველაზე ინტენსიურად აღნიშნული პროცესი **ინტერნეტენაში** იჩენს თავს და ამ ფაქტს მნიშვნელოვანი დადებითი მხარეც ახლავს თან.

კერძოდ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განსხვავებით ტელევიზიისა, რომელიც, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, დიალექტების ნიველირებას უწყობდა ხელს, ინტერნეტი პირიქით – დიალექტიზმების (განსაკუთრებით, „კოლორიტული“ დიალექტიზმების) დამკვიდრება-გავრცელების ხელშემწყობი აღმოჩნდა; რაც, საბოლოო ჯამში, ზოგადად დიალექტების შენარჩუნება-გადლიერებას

განაპირობებს. ეს უნივერსალური მოვლენაა და თანამედროვე ქართულშიც კანონზომიერად ვლინდება.

აღნიშნული პროცესის განმაპირობებელი რამდენიმე ფაქტი შეიძლება დაიძებნოს: ინტერნეტენის არაოფიციალური ხასიათი, ინტერნეტმომხმარებელთა კუთხური მრავალფეროვნება, დიალექტიზმების გამომხატველობითი სიმდიდრე და სხვა...